

უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი
დაუყოვნებლივი ნირვანას მიღწევის გზა
საჩვენებელი ბუკლეტი უფასო ეგზემპლარი

შინაარსი

შესავალი.....	04
უზენაესი მეუფე ჩინ ჰაის ბიოგრაფია.....	09
მიღმა მყოფი სამყაროს საიდუმლო.....	12
უზენაესი მეუფე ჩინ ჰაის სიტყვით გამოსვლა გაეროში, ქ. ნიუ იორკი 1992 წლის 26 ივნისი	
„დაუფლება“: კუან ინის მეთოდი.....	70
ხუთი მცნება.....	73
ვეგეტარიანული დიეტის უპირატესობები.....	75
ჯანმრთელობა და კვება.....	76
ეკოლოგია და გარემო.....	84
მსოფლიო შიმშილი.....	84
ცხოველების ტანჯვა.....	85
წმინდანების ჯგუფი და სხვა.....	86
მეუფე შეკითხვებს პასუხობს.....	90
ვეგეტარიანელობა: წყლის გლობალური კრიზისის დაძლევის საუკეთესო გზა.....	106
სასიხარულო ამბავი ვეგეტარიანელებისათვის.....	108
გამოცემები.....	115
როგორ დაგვიკავშირდეთ.....	134

უფასო საჩვენებელი ბუკლეტის ჩამოტვირთვა:
დაუყონებლივი ნირვანას მიღწევის გზა (80-ზე მეტ ენაზე)
<http://sb.godsdirectcontact.net> (Formosa)
<http://www.direkter-kontakt-mit-gott.org/download/index.htm>(Austria)
<http://www.Godsdirectcontact.org/sample/> (U.S.A.)

„მე არ ვარ ბუდიზმის ან კათოლიციზმის მიმდევარი. მე ვეკუთვნი ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტებას ვქადაგებ. შეგიძლიათ ამას უწოდოთ ბუდიზმი, კათოლიციზმი, ტაოიზმი ან რაც გენებოთ. ყოველივეს მივესალმები!“

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

„შინაგანი სიმშვიდის მიღწევით ყოველივე სხვა დანარჩენს მივაღწევთ. მთელი კმაყოფილება, ამ სამყაროში არსებული და ზეციერი სურვილების დაკმაყოფილება ღვთის სასუფეველიდან იწყება, რაც წარმოადგენს ჩვენი საუკუნო ჰარმონიის, საუკუნო სიბრძნის და უძლეველობის შინაგან რეალიზაციას. რამდენი ფულიც არ უნდა გვექონდეს ან რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი ძალაუფლება, რაოდენ მაღალი თანამდებობა არ უნდა გვეკავოს, ყოველივე ამის მიღწევის გარეშე ვერასოდეს ვპოვებთ კმაყოფილებას.“

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

„შინაგანი სიმშვიდის მიღწევით ყოველივე სხვა დანარჩენს მივაღწევთ. მთელი კმაყოფილება, ამ სამყაროში არსებული და ზეციერი სურვილების დაკმაყოფილება ღვთის სასუფეველიდან იწყება, რაც წარმოადგენს ჩვენი საუკუნო ჰარმონიის, საუკუნო სიბრძნის და უძლეველობის შინაგან რეალიზაციას. რამდენი ფულიც არ უნდა გვექონდეს ან რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი ძალაუფლება, რაოდენ მაღალი თანამდებობა არ უნდა გვეკავოს, ყოველივე ამის მიღწევის გარეშე ვერასოდეს ვპოვებთ კმაყოფილებას.“

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

შესავალი

ეპოქების მანძილზე კაცობრიობას ევლინებოდნენ იშვიათი ინდივიდები, რომელთა ერთად-ერთი მიზანი იყო ადამიანთა სულიერი აღმავლობა. ერთ-ერთი მათგანი, ისევე როგორც შაკიამუნი ბუდა და მუჰამედი, იყო იესო ქრისტე. ჩვენთვის სამივე მათგანი ცნობილია, თუმცა არსებობს ბევრი სხვა დანარჩენი, რომელთა სახელები უცნობია. ზოგიერთი მათგანი საჯაროდ ქადაგებდა. ზოგიერთი ცნობილი იყო, დანარჩენი კი უცნობნი დარჩნენ. ამ ადამიანებს იცნობდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელით, სხვადასხვა ქვეყანაში. მათ უწოდებდნენ: მეუფეს, ავატარას, ნირვანას მიღწეულს, მარჩენალს, მესიას, ღვთიურ დედას, დესპანს, გურუს, ცოცხალ წმინდანს და სხვ. ისინი მოგვევლინნენ, რათა ჩვენთვის ექადაგებინათ: ნირვანა, გადარჩენა, რეალიზაცია, გათავისუფლება ან გაღვიძება. გამოყენებული სიტყვები შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ძირითადი მნიშვნელობა უცვლელია.

დღეს ჩვენთან არიან ისინი, ვინც მოგვევლინა იმავე ღვთიური წერილიდან, ისინი, ვისაც, ძველი წმინდანების მსგავსად, გააჩნია სულიერი სიმტკიცე, მორალური სიწმინდე და სიძლიერე კაცობრიობის დასახმარებლად, თუმცა მათი არსებობა ბევრისთვის უცნობია. ერთ-ერთი მათგანია უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი.

შეიძლება ყველაზე ნაკლებ საცარაუდოდ მივიჩნიოთ, რომ მეუფე ჩინ ჰაის აღიარება

შესაძლებელია „ცოცხალ წმინდანად“. ის არის ქალი, ხოლო მრავალი ბუდისტი და სხვები თვლიან, რომ ქალი ბუდა ვერ გახდება. ის აზიური წარმოშობისაა, ხოლო ბევრ დასავლელს სწამს, რომ მარჩენალი მათსავით უნდა გამოიყურებოდეს. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის, ჩინ ჰაის მიმდევრებისთვის, რომლებიც ვცხოვრობთ მთელს მსოფლიოში, რომლებსაც სხვადასხვა რელიგიური ფესვები გაგვაჩნია, გასაგებია თუ ვინ და რა არის ის. იმისთვის, რომ ამას ჩაწვდეთ, უნდა გქონდეთ თავისუფალი აზროვნების უნარი და უნდა იყოთ გულწრფელნი. ყოველივე ეს ასევე საჭიროებს თქვენს დროს და ყურადღებას, და სხვას არაფერს.

ადამიანები თავიანთი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ხარჯავენ ფულის შოვნასა და მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ ჩვენი და ჩვენი ახლობლების სიცოცხლე რაც შეიძლება უფრო კომფორტული იყოს. თუ თავისუფალი დრო გვრჩება, ყურადღებას ვუთმობთ პოლიტიკას, სპორტს, ტელევიზიას, ან ბოლოდროინდელ საკანდალურ ინფორმაციას. იმ ჩვენთაგანმა, ვინც გამოსცადა ღვთიურთან უშუალო შინაგანი კონტაქტის სიყვარულის ძალა, იციან, რომ ამ სიცოცხლეს მიღმა კიდევ სხვა სიცოცხლეც არსებობს. სამწუხაროა, რომ სახარებელი აღარ არის საყოველთაოდ ცნობილი. სიცოცხლის ყველა პრობლემის გადაჭრა ჩვენში ჩუმად ზის და იცდის. ვიცით, რომ ზეცამდე ერთი მტკაველია. გვაპატიეთ, როდესაც ვცდებით ჩვენი ზედმეტი ენთუზიაზმის გამო და ვამბობთ იმას, რამაც შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს თქვენს რაციონალურ გონს. ჩვენთვის რთულია დუმილი მას შემდეგ რაც ვიხილეთ ის,

რაც ვნახეთ, მას შემდეგ რაც ვიცით ის, რისი ცოდნაც გაგვაჩნია.

ჩვენ, ვინც საკუთარ თავს მივიჩნევთ მეუფე ჩინ ჰაის მოწაფეებად და მისი მეთოდის (კუან ინის მეთოდის) მიმდევრებად, გთავაზობთ მოცემულ შესავალ წიგნს იმისათვის, რომ უფრო დაგაახლოვოთ ღვთიურ ასრულებასთან, იქნება ეს მეუფის თუ ჩვენი დახმარებით.

მეუფე ჩინ ჰაი გვასწავლის მედიტაციის, შინაგანი ხედვისა და ლოცვის მნიშვნელობას. ის გვიხსნის, რომ თუ ნამდვილად გვსურს ბედნიერება, უნდა აღმოვაჩინოთ ღმერთი საკუთარ შინაგან სამყაროში. ის გვარიგებს, რომ ნირვანა არ არის ეზოთერული და მიუწვდომელი, და რომ მისი მიღწევა შეუძლიათ არა მხოლოდ საზოგადოებიდან განდევილებს. მისი ამოცანაა ჩვენს ჩვეულ ცხოვრებაში ჩვენში არსებული ღვთიურობის გაღვივება. ის აცხადებს: ყველა ჩვენთაგანმა ვიცით ჭეშმარიტება. საქმე იმაშია, რომ მოცემული ჭეშმარიტება დავივიწყეთ. ამიტომ ვიღაც უნდა მოვიდეს და შეგვახსენოს ჩვენი ცხოვრების მიზანი, თუ რატომ უნდა ვიპოვოთ ჭეშმარიტება, რისთვის უნდა ვახორციელებდეთ მედიტაციას, რატომ უნდა გვწამდეს ღმერთის ან ბუდასი და ვინ უნდა მიგვაჩნდეს სამყაროს უდიდეს მზრძანებლად. ის არავის მოუწოდებს გახდეს მისი მიმდევარი. ის უბრალოდ მაგალითის სახით გთავაზობს საკუთარ ნირვანას, იმისათვის, რომ დანარჩენებმა მიაღწიონ თავიანთ საბოლოო გათავისუფლებას.

მოცემული ბუკლეტი წარმოადგენს მეუფე ჩინ ჰაის მოძღვრების შესავალს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მეუფე ჩინ ჰაის აქ მოყვანილი ლექციები, შენიშვნები და

ციტატები შესრულებულია მის მიერ; ისინი იწერება, ხდება მათი ტრანსლიტერაცია ან თარგმნა სხვა ენებიდან და შემდეგ ისინი ქვეყნდება. ჩვენი რჩევაა მოუსმინოთ დედან აუდიოჩანაწერებს ან უყუროთ დედან ვიდეოჩანაწერებს. მოცემული წყაროებიდან გაცილებით უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენთ, ვიდრე დაწერილი ტექსტებიდან. რა თქმა უნდა, ყველაზე სრულყოფილი გამოცდილებაა მისი პირადად ხილვა.

ზოგიერთისთვის მეუფე ჩინ ჰაი არის დედა, ზოგიერთისთვის მამა, დანარჩენებისთვის კი მათი გულისმკვრობელი. ის, სულ მცირე, თქვენი საუკეთესო მეგობარია, რომელიც შეიძლება ამქვეყნად შეიძინოთ. ის აქ იმყოფება, რათა გასცეს და არა იმისთვის, რომ აიღოს. არანაირ საფასურს არ იღებს მოძღვრების, დახმარების ან ინიციატივის სანაცვლოდ. ერთად-ერთი, რასაც გამოგართმევთ, ეს არის თქვენი ტანჯვა, მწუხარება და ტკივილი. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გასურთ!

ხელოვნური დიზაინის შემქმნელს და სულიერ მოძღვარს, უზენაეს მეუფე ჩინ ჰაის უყვარს შინაგანი სილამაზის გამომხატველი ყველა გამოთქმის გამოყენება. ის ვიეტნამს „აუ ლაკს“ უწოდებს, ხოლო ტაივანს „ფორმოსას“. „აუ ლაკი“ ვიეტნამის უძველესი სახელია და ნიშნავს „ბედნიერებას.“ ხოლო სახელი „ფორმოსა“, რომელიც აღნიშნავს „ლამაზს“, სრულად წარმოაჩენს კუნძულის და მის მაცხოვრებელთა მშვენიერებას. მეუფეს მიაჩნია, რომ მოცემული სახელების გამოყენება ქვეყანას და მის მოსახლეობას მოუტანს სულიერ ამაღლებას და ბედნიერებას.

„მეუფე ისაა, ვისაც შეუძლია გაგიძღვეთ მეუფეობისკენ... ვინც დაგეხმარებათ იმაში, რომ გახდეთ მეუფე... და რომ თქვენ და ღმერთი იყოთ ერთი. სულ ესაა...ეს არის მეუფის ერთად-ერთი როლი.”

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

„ჩვენი გზა რელიგია არ არის. მე არავის არ ვაძილებ მიემხროს კათოლიციზმს ან ბუდიზმს ან რომელიმე „-იზმს.“ მე მხოლოდ საშუალებას გაძლევთ შეიცნოთ საკუთარი თავი; გაიგოთ თუ საიდან მოდიხართ; რომ გახსოვდეთ აქ, დედამიწაზე თქვენი მისია; აღმოაჩინოთ სამყაროს საიდუმლოებანი; გაიგოთ, თუ რატომ არსებობს ამდენი ტანჯვა და რა გველოდება სიკვდილის შემდეგ.”

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

„ჩვენ ღმერთისაგან განვცალკევდით, რადგანაც ზედმეტად დაკავებულები ვართ. თუ ვინმე გესაუბრებათ ტელეფონით და განუწყვეტლივ აგრძელებს რეკვას, ხოლო თქვენ დაკავებული ხართ საჭმლის კეთებით ან სხვა ადამიანებთან საუბრით, ამ დროს ვერავინ დაგიკავშირდებათ. იგივე ხდება ღმერთის შემთხვევაში. ის ყოველ დღე გვიხმობს, ჩვენ კი მისთვის დრო არ გავგაჩნია, თუმცა არ ვემუშავით.”

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

უზენაესი მეუფე ჩინ ჰაის მოკლე ბიოგრაფია

მეუფე ჩინ ჰაი დაიბადა აუ ლაკის მდიდარ ოჯახში. ის იყო ძალზე ცნობილი ნატუროფათის ქალიშვილი. მან მიიღო კათოლიკური აღზრდა, ხოლო ბებიამ შესწავლა ბუდიზმის საფუძვლები. ბავშვობაში თავის ასაკთან შედარებით ნაადრევად გამოავლინა უდიდესი ინტერესი ფილოსოფიური და რელიგიური სწავლების მიმართ, ისევე როგორც უჩვეულო თანაგრძნობა ყველა ცოცხალ არსებასთან დაკავშირებით.

მეუფე ჩინ ჰაი თვრამეტი წლის ასაკში სასწავლებლად გაემგზავრა ინგლისში, მოგვიანებით საფრანგეთში, შემდეგ კი გერმანიაში, სადაც ის მუშაობდა წითელ ჯვარში და დაქორწინდა გერმანელ მეცნიერზე. ორი წლის ბედნიერი ცოლ-ქმრობის შემდეგ, მისი მეუღლის თანხმობით, ის განქორწინდა ნირვანას მისაღწევად, რითაც განებორციელებინა ის იდეალი, რომლისკენაც ბავშვობიდან მიიღტვოდა. ამ პერიოდში ის სწავლობდა მედიტაციის სხვადასხვა სახეობას და სულიერ საგნებს მასწავლებლებისა და მოძღვრების მეთვალყურეობით, რომლებიც მის გვერდით იმყოფებოდნენ. ის მიხვდა, რომ ერთი ადამიანი კაცობრიობის ტანჯვას ვერ უშველის, და რომ ადამიანთა

დახმარების საუკეთესო გზაა სრული რეალიზაცია. ამ ერთად-ერთი მიზნით, ნირვანას მიღწევის საუკეთესო მეთოდის ძებნაში მან იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყნებში.

განსაცდელისა და ავბედობის მრავალი წლის შედეგ მეუფე ჩინ ჰაიმ საბოლოოდ მიაგნო კუან ინის მეთოდს და ჰიმალაებში გაიარა ღვთიური გარდასახვა. გარკვეული ხნის შემდეგ დიდი შრომის შედეგად მან სრულ ნირვანას მიაღწია.

ნირვანას მიღწევის შემდგომ წლებში მეუფე ჩინ ჰაი მისდევდა ბუდისტო მონაზვნის წყნარ და თავმდაბლურ ცხოვრებას. ის ბუნებით მორცხვი იყო. ჩუმად ატარებდა განძს მანამდე, სანამ ადამიანებს არ გაუჩნდათ მისი სწავლების მიმდევრობის სურვილი. სწორედ ფორმოსასა და აშშ-ში მისი პირველი მოწაფეების დაჟინებული თხოვნით, მან გაიჩინა ათობით ათასი გულწრფელი სულიერი მიმდევარი.

ამჟამად მისკენ მიემართება მრავალი ქვეყნის სხვადასხვა რელიგიის მქონე ჭეშმარიტების სულ უფრო მეტი მამებარი, რათა გაეცნოს მის უდიდეს სიბრძნეს. ჩინ ჰაი გაუძღვება და მისცემს შემდგომ სულიერ მითითებებს მათ, ვისაც გულწრფელად სურს შეისწავლოს დაუყონებლივი ნირვანას მიღწევის გზა და გახდეს

კუან ინის მეთოდის მიმდევარი, რომელიც მეუფეს თავად მიაჩნია უზენაესად.

*უზენაესი მეუფე ჩინ ჰაის
ლექსების კრებულიდან „ჩუმი ცრემლები“*

*მსოფლიო სავსეა ტანჯვით,
მე კი მხოლოდ შენ მავსებ!
შენ რომ ყოფილიყავით სამყაროში,
ყველა ტანჯვას ბოლო მოეღებოდა.
მაგრამ ვინაიდან მსოფლიო სავსეა ტანჯვით,
შენთვის ადგილი არ მავს!
მე გავყიდიდი სამყაროს
ყველა მზეს, ყველა მთვარეს და ვარსკვლავს,
მხოლოდ იმისთვის, რომ შემეძინა შენი უმშვენიერესი მზერა.
ო, უსასრულო ბრწყინვალეების მეუფე!
გამოიჩინე მოწყალება და რამდენიმე სხივი
სტყორცნე ჩემს მწყურვალ გულს!
ჩვეულებრივი ადამიანები ღამით გადიან, მღერაიან და ცეკვავენ
მიწიერ სინათლეში და მიწიერ მუსიკაზე.
მხოლოდ მე ვზივარ მარტო ტრანსში,
ვირბევი, სინათლით და მუსიკით ვივსები.
რადგანაც ღმერთო, უნდა ჩავწვდე შენს დიდებას
არაფერს შევიყვარებდი სხვას ამ სამყაროში.
სიყვარულით მომახვიე შენი მაღლი,
სამუღამოდ! ამენ*

მიღმა მყოფი სამყაროს საიდუმლო

უზენაესი მეუფე ჩინ ჰაის გამოსვლა

1992 წლის 26 ივნისი (Dvd#260)

გაერო, ნიუ-იორკი

(დედანი ინგლისურ ენაზე)

)

მივესალმები გაეროს. და გთხოვთ გარკვეულ ხანს ილოცოთ თქვენი სარწმუნოებისამებრ, რადგანაც მადლობლები ვართ იმისათვის, რაც გაგვაჩნია, რაც გვეძლევა და რაც გვსურს. ვიმედოვნებთ, რომ იმ ადამიანებსაც, ვისაც საკმარისი არა აქვს, მიეცემათ ისევე, როგორც ჩვენ; რათა მსოფლიოს ლტოლვილებმა, ომის შედეგად დაზარალებულებმა, ჯარისკაცებმა, მთავრობის ხელმძღვანელებმა და, რა თქმა უნდა, გაეროს ლიდერებმა მიაღწიონ სასურველ მიზანს და ერთად იცხოვრონ მშვიდობაში.

გვჯერა, რომ ის, რასაც ვითხოვთ, მოგვეცემა, ვინაიდან ასეა ნათქვამი ბიბლიაში. გმადლობთ!

მოგახსენებთ, დღეს ჩვენი ლექციის თემაა „ამ სამყაროს მიღმა“, რადგანაც არა მგონია, რომ მსურდეს თქვენთან ამ სამყაროს შესახებ საუბარი. მის შესახებ ყველაფერი ისედაც იცით. მაგრამ ამ სამყაროს მიღმა არსებობს კიდევ ბევრი სხვა რამ. ვფიქრობ, ეს ყველა თქვენთაგანს აინტერესებს. ეს არ

არის რაღაც დაუჯერებელი საოცრება ან ფანტასტიკა, როგორც ამას ერთ-ერთმა მიმდევარმა უწოდა. ეს არის რაღაც ძალზე მეცნიერული, ძალზე ლოგიკური და მნიშვნელოვანი.

ალბათ, ყველას გაგვიგია, რომ სხვადასხვა ბიბლიასა და წმინდა წიგნში ნახსენებია შვიდი ზეცა, არსებობს ცნობიერების სხვადასხვა დონე. არსებობს ღვთის სასუფეველი, ბუდის ბუნება და ა.შ. გვპირდებიან, რომ ყოველივე ამას მივალწევთ ამ სამყაროს მიღმა. მაგრამ ბევრისთვის მიუწვდომელია ის, რაც წერია წმინდა წიგნებში. მე ვიტყვოდი, არა ყველასთვის, მაგრამ ბევრი ჩვენთაგანისთვის. იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთათვისაც მისაწვდომია ღვთის სასუფეველი ან ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „ამ სამყაროს მიღმა მყოფს“, ძალზე ცოტაა მსოფლიოს მოსახლეობასთან შედარებით.

და თუ ამერიკაში ცხოვრობთ, შესაძლებელია, წაგიკითხავთ მრავალი წიგნი და წარმოგიდგენიათ ბევრი რამ, რაც ამ სამყაროს მიღმაა. ამერიკელების მიერ შექმნილი ზოგიერთი ფილმი სულაც არ არის ფანტასტიკა. ასევე იაპონელების მიერ შექმნილი ზოგიერთი ფილმი არ არის ფანტასტიკა. რადგანაც, შესაძლოა, ამ ხალხს წაკითხული ქონდა იმ ადამიანთა მიერ დაწერილი წიგნები, რომლებიც მოხვდნენ ამ სამყაროს მიღმა და რომლებმაც გარკვეულწილად ჩაიხედეს ღვთის სასუფეველში.

მაშ ასე, რა არის ღვთის სასუფეველში? რატომ უნდა გვაღელვებდეს ღვთის სასუფეველი, თუკი ამქვეყნად ისედაც

უთვალავი საზრუნავი გაგვაჩნია, გვაქვს სამსახური, უნდა დავიცვათ ჩვენი სახლები, გვაქვს საკმარისი სასიყვარულო ურთიერთობა და ა.შ.? ზუსტად იმის გამო, რომ ყოველივე ეს გაგვაჩნია, უნდა გვადელვებდეს ღვთის სასუფეველი.

„ღვთის სასუფეველი“ ძალზე რელიგიურად ჟღერს. ეს ფაქტობრივად ცნობიერების სხვა დონეა. ძველად ადამიანები მას უწოდებდნენ სამოთხეს, მაგრამ მეცნიერულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ცოდნის განსხვავებული დონე, სიბრძნის უფრო მაღალი სიბრტყე. და ჩვენთვის ის მისაღწევია იმ შემთხვევაში, თუ გვეცოდინება მიღწევის გზა.

ამერიკაში ყველას გვსმენია ბოლოდროინდელი გამოგონების შესახებ. ესაა მანქანა, რომელიც სამადკის მიგაღწევიანობა. მოელოდით ამას? ის ამერიკაში იყიდება. ღირს ოთხასიდან შვიდას დოლარამდე, იმის მიხედვით, თუ რომელი დონის მიღწევა გასურთ. ამბობენ რომ ის შექმნილია ზარმაცი ადამიანებისთვის, რომელთაც არ სურთ მედიტაცია და ამავე დროს გააჩნიათ ზუსტად სამადკში მოხვედრის სურვილი. თუ ამის შესახებ არ იცით, მოკლედ გეტყვით.

ამბობენ, რომ მოცემულ მანქანას შეუძლია დაგეხმაროთ მოშვებასა და განტვირთვაში, და შემდეგ მიაღწევთ აიქიუს უფრო მაღალ დონეს. მან უნდა მოგანიჭოთ მეტი ცოდნა, მეტი სიბრძნე და შემდეგ თავს მშვენივრად იგრძნობთ და ა.შ. მოცემული მანქანა იყენებს შერჩეულ მუსიკას, გარე მუსიკას, ამიტომ ყურსასმენები დაგჭირდებათ. შემდეგ სავარაუდოდ, გაუშვებენ ელექტრულ ნაკადებს, რომლებიც თქვენს

სტიმულირებას ახდენენ. შემდეგ ალბათ დაინახავთ გარკვეულ ციმციმს. ასე რომ, თვალების აკვრა დაგჭირდებათ. ყურსასმენები და თვალების აკვრა - სულ ესაა, რაც სამადჰისთვის გჭირდებათ. ეს ძალიან კარგია, ხოლო ოთხასი დოლარი ძალზე იაფია. მაგრამ ჩვენი სამადჰი კიდევ უფრო იაფია, ის უფასოა და სამუდამო, სამუდამო. და თქვენ არ დაგჭირდებათ ელემენტების დატენვა, ჩართვა, გამორთვა; ხოლო მანქანის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში არ დაგჭირდებათ მისი წაღება და შეკეთება.

და თუ ხელოვნური მუსიკის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანების დამშვიდება და დაბრძენება, ალბათ ეს მანქანა ამის საშუალებას იძლევა, თუმცა მის შესახებ გაზეთიდან შევიტყვე, თავად არ მიცდია. ამიტომაც ის ესოდენ დიდი პოპულარობით სარგებლობს და, გამიგია, რომ კარგადაც იყიდება. თუ ხელოვნური საშუალებებითაც კი შესაძლებელია ჩვენი დამშვიდება და აიქიუს ამაღლება, წარმოიდგინეთ, თუ რისი მიღწევა შეიძლება რეალურის მეშვეობით. რეალური არის ამ სამყაროს მიღმა და მისაწვდომია თითოეული ჩვენთაგანისათვის იმ შემთხვევაში თუ მასთან კონტაქტი გვსურს. ეს არის ზეციერი მუსიკა და შინაგანი ზეციერი ხმა. და მოცემული მუსიკის, შინაგანი სინათლის თუ შინაგანი მუსიკის ინტენსიურობიდან გამომდინარე, შეგვიძლია გადავინაცვლოთ ამ სამყაროს მიღმა, შემეცნების უფრო ღრმა დონეზე.

ვფიქრობ, ეს ფიზიკის კანონს წააგავს. თუ გსურთ

გააგზავნოთ კოსმოსური ხომალდი გრავიტაციის მიღმა, უნდა გაგაჩნდეთ ბიძგების სიმძლავრე. ამასთანავე, როდესაც სწრაფად მიფრინავს, კოსმოსური ხომალდი გარკვეულ სინათლეს ასხივებს. ამიტომ, ვფიქრობ, როდესაც სწრაფად გადავინაცვლებთ ამ სამყაროს მიღმა, ჩვენც ასევე ვასხივებთ გარკვეულ სინათლეს და ჩვენც გვესმის გარკვეული ხმა.

ეს ხმა არის გარკვეული ვიბრაციული ძალა, რომელიც უფრო მაღალ დონეებზე გადაგვანაცვლებს, მაგრამ ეს არ ხდება უხმოდ, „გამომცდელისთვის“ უპრობლემოდ, ხარჯისა და დისკომფორტის გარეშე. ამ გზით შეიძლება მიღმა გადავინაცვლება. და რა არის ამ სამყაროს მიღმა უკეთესი, ვიდრე ჩვენი სამყარო? ყველაფერი, რისი წარმოდგენაც შეგვიძლია და რასაც ვერ წარმოვიდგენთ. ჩვენ ეს გვეცოდინება, როდესაც ამას თავად გამოვცდით. სინამდვილეში ამას სხვა ვერავინ გვეტყვის. მაგრამ უნდა გამოვიჩინოთ სიმტკიცე და უნდა ვიყოთ ჭეშმარიტად გულწრფელნი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ნაცვლად ამას ვერავინ გააკეთებს. ისევე როგორც ვერავინ ჩაგანაცვლებთ თქვენს სამუშაო ადგილზე გაეროს ოფისში და ამისთვის იღებთ ხელფასს. ისევე, როგორც ვერავინ დაგვეხმარება ჭამასა და დანაყრებაში. შესაბამისად, ეს საკუთარ თავზე უნდა გამოვცადოთ. შეგვიძლია მოვუსმინოთ იმ პიროვნებას, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ყოველივე ეს, მაგრამ ამ გზით ვერ შევიძენთ დიდ გამოცდილებას. შეიძლება გამოცდილება მივიღოთ ერთხელ, რამდენჯერმე ან რამდენიმე დღის განმავლობაში იმ პირის დახმარებით,

რომელსაც ღმერთთან ურთიერთობის გამოცდილება გააჩნია. ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ გარკვეული სინათლე და გავიგონოთ გარკვეული ხმა სავსებით ბუნებრივად, დიდი ძალისხმევის გარეშე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს დიდ ხანს არ გაგრძელდება. ამიტომ ეს თავად უნდა გამოვცადოთ.

ჩვენს სამყაროს მიღმა სხვადასხვა სამყარო არსებობს. შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი. ჩვენზე ცოტაოდენ ზემოთ არის ასტრალური სამყარო, როგორც მას ვუწოდებთ დასავლურ ტერმინოლოგიაში. ასტრალურ სამყაროში არსებობს ასი და ასზე მეტი დონე. თითოეული დონე თავისთავად სამყაროა. ის წარმოადგენს ჩვენი წვდომის დონეს. ისევე, როდესაც დავდივართ ინსტიტუტში და ნელ-ნელა მივიწევთ წინ, სანამ არ დავამთავრებთ.

ასტრალურ სამყაროში შეგვიძლია ვიხილოთ სხვადასხვა ე.წ. სასწაული და ამ სასწაულებმა ჩვენც შეიძლება გვაცდუნონ და შესაძლებელია ჩვენც საოცრებები დაგვემართოს. შეიძლება შევიძინოთ ავადმყოფთა განკურნვის უნარი, ზოგჯერ დავინახოთ ისეთი რამ, რასაც სხვა ადამიანები ვერ ხედავენ. გაგვაჩნია სულ მცირე ექვსი სასწაულებრივი ძალა. ჩვენს მზერას შეუძლია გასცდეს ჩვეულებრივის საზღვრებს, შეგვიძლია გავიგონოთ კოსმოსის საზღვრებს მიღმა არსებული ხმა. ჩვენთვის მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც გაგვაჩნია ზეციერი სმენა და ზეციერი მხედველობა. და ამის შემდეგ შეგვიძლია ჩავწვდეთ ადამიანთა აზროვნებას და იმას, თუ რაზე ფიქრობენ.

ზოგჯერ ეს შეიძლება ვიხილოთ და ა.შ. ეს არის ის უნარები, რომლებსაც ხანდახან ვიძენთ, როდესაც ჩვენთვის მისაწვდომია ღვთის სასუფეველის პირველი დონე. უკვე ავლნიშნე, რომ მოცემულ პირველ დონეზე გაგვაჩნია სხვა მრავალი დონე, რომლებიც გაცილებით უფრო მეტს გვთავაზობს, ვიდრე ეს შეიძლება ერთ ადწერილი იქნას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც დავიწყებთ, ვასრულებთ მედიტაციას და თუ ჩვენი დონე პირველია, შემდგომ მეტ უნარს ვიძენთ. შემდეგ განვითარდება ჩვენი ლიტერატურული ნიჭი, რომელიც მანამდე არ გაგვაჩნდა. ჩვენ ასევე ვიცით ბევრი რამ, რომელიც სხვა ადამიანებმა არ იციან და ვიძენთ მრავალ ზეცით ბოძებულ საჩუქარს, იქნება ეს ფინანსური, კარიერასთან დაკავშირებული თუ სხვა საჩუქარი. ვიწყებთ ლექსების წერას ან ხატვას, და შეგვიძლია გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც მანამდე არ შეგვეძლო და რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით. ეს არის პირველი დონე. და ჩვენ შევძლებთ ლექსების და წიგნების ლამაზად წერას. და თუ მანამდე არაპროფესიული მწერლები ვიყავით, ამჯერად უკვე შეგვიძლია პროფესიულად წერა. ეს არის ის მრავალი მატერიალური სარგებელი, რომელსაც ვიღებთ, როდესაც ვიმყოფებით ცნობიერების პირველ დონეზე.

ყოველივე ეს ფაქტობრივად ღმერთის მიერ ბოძებული საჩუქარი არაა. ეს ჩვენში არსებულ სამოთხეშია და გაცოცხლდა მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვადვიდეთ. და შემდეგ გამოვიყენეთ. ეს არის ინფორმაცია პირველი დონის შესახებ. როდესაც უფრო მაღალ დონეზე გადავივართ, უფრო მეტს ვხედავთ და ბევრი სხვა მიღწევა გაგვაჩნია. რა

თქმა უნდა, დროის სიმცირის გამო ყველაფერს ვერ მოგახსენებთ. ისევე, როგორც აზრი არა აქვს კანფეტებისა და ტკბილეულის შესახებ ლამაზი ისტორიების მოსმენას მათი გემოს გასინჯვის გარეშე. შესაბამისად, თქვენ ოდნავ „აგემოვნებთ“, მაგრამ თუ მათი მირთმევა გასურთ, ეს უკვე სხვა რამ არის. მოგვიანებით შეგვიძლია შემოგთავაზოთ ნამდვილი საჭმელი. დიას! იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ამის მირთმევა გასურთ.

ახლა მოცემულ, ე.წ. „მეორე“ დონეს ცოტათი უფრო გავცდებით იმისათვის, რომ ყოველივე გავამარტივოთ. მეორე დონეზე ალბათ გაცილებით უფრო მეტი უნარი გვექნება, ვიდრე პირველზე და სასწაულიც იმატებს. მაგრამ მეორე დონის ყველაზე უფრო გასაოცარი მიღწევა არის მჭევრმეტყველებისა და კამათის წარმართვის უნარი. და, როგორც ჩანს, მეორე დონემდე მიღწეულ ადამიანს ვერავინ მოერევა, რადგანაც მას გააჩნია მჭევრმეტყველების უზარმაზარი ძალა, ხოლო მისი ინტელექტი მაქსიმალურია.

ამ ადამიანს ვერ შეედრებიან ისინი, ვისაც გააჩნია ჩვეულებრივი გონება და აიქიუ, , რადგანაც მისი აიქიუ ძალზე მაღალ დონეს აღწევს. მაგრამ ვითარდება არა მხოლოდ მისი ფიზიკური ტვინი, არამედ მისტიური სიძლიერე. ეს არის ზეციური ძალა, ის სიბრძნე, რომელიც ჩვენშია. ახლა ის იხსნება. ინდოეთში ადამიანები მოცემულ დონეს უწოდებენ „ბუდის“, რაც გულისხმობს ინტელექტუალურ დონეს. და როდესაც მიაღწევთ „ბუდის“, გახდებით „ბუდა“. აქედან, „ბუდიდან“ წარმოდგება

სიტყვა „ბუდა“. ბუდა სწორედ ესაა. ის არ დასრულებულა. მე გაგაცნობთ არა მხოლოდ ბუდას, არამედ ამაზე მეტს.

ადამიანთა უმეტესობა ნირვანას მიღწეულს „ბუდას“ უწოდებს. მისი ცოდნა მეორე დონეს რომ არ სცილდებოდეს, ალბათ ის ამით ძალზე იამაყებდა. დიახ, იმით, რომ ის ცოცხალი ბუდაა და რომ მისით ამაყობენ მისი მიმდევრები. მიუხედავად იმისა, რომ მეორე დონემდე მიღწევსას მას შეუძლია განჭვრიტოს ნებისმიერი ადამიანის წარსული, აწმყო და მომავალი და გააჩნია აბსოლუტური მჭევრმეტყველება, ეს ჯერ კიდევ არ არის ღვთის სასუფეველის დასასრული.

ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იამაყოს მისი უნარით განჭვრიტოს წარსული, აწმყო და მომავალი რადგანაც ეს, დასავლური ტერმინოლოგიის თანახმად, არის აკაშიკ რეკორდი. ყველას, ვინც ეწევა იოგას ან გარკვეული სახის მედიტაციას, ესმის მოცემული აკაშიკ რეკორდი, რომელიც წააგავს ჩვენი გაეროს გვერდით მდებარე ბიბლიოთეკას, რომელშიც ინახება ყველა ენაზე დაწერილი წიგნები. აქ შეგიძლიათ იხილოთ არაბულ, რუსულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ნებისმიერ ენაზე დაწერილი ლიტერატურა. თქვენ რომ ყველა მოცემულ ენაზე კითხვა შეგეძლოთ, გეცოდინებოდათ, თუ რა ხდება თქვენს ქვეყანაში. ამის მსგავსად, ის, ვისთვისაც მისაწვდომია მეორე დონე, მიხვდება, რომ მას ძალზე ადვილად შეუძლია ადამიანის განჭვრეტა, ისევე, როგორც მაგალითად, თქვენ

იცნობთ საკუთარ ბიოგრაფიას.

მეორე დონის ცნობიერებიდან გაცილებით მეტის მიღებაა შესაძლებელი. მაგრამ, როდესაც ადამიანი აღწევს მეორე დონეს, ეს უკვე ფანტასტიურია, ის უკვე ცოცხალი ბუდაა, რადგანაც გაიხსნა „ბუდი“, ინტელექტი. და ჩვენ უკვე ბევრი რამ ვიცით, ბევრი რამ, რასაც ვერ დავასახელებთ. და ჩვენს თავს, ხდება ყველა ე.წ. სასწაული, მიუხედავად იმისა, გვსურს ეს თუ არა, რადგანაც ინტელექტი ეს-ესაა გაიხსნა და მან იცის, როგორ უნდა დაუკავშირდეს განკურვნის უფრო მაღალ წყაროს, როგორ გახადოს ცხოვრება უფრო მშვიდი და უკეთესი.

მაგალითად, წარმოიდგინეთ ასეთი რამ. ჩვენ არ ვიცით იმის შესახებ, რომ რაიმე განუზრახველი მოქმედების შედეგად ვაწყენინეთ მეზობელს, და შემდეგ ეს შევიტყუეთ. ძალზე მარტივია! წარმოიდგინეთ, რომ არ ვიცით ამის შესახებ და მეზობელი ჩუმი იყო და ზურგსუკან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც ზიანს მოგვაყენებს, რაც გამოწვეული იქნებოდა რაიმე გაუგებრობით ან იმიტომ, რომ ცუდი საქციელი ჩავიდინეთ მეზობლის მიმართ, და ამის შემდეგ ყოველივეს შევიტყობთ. ეს ძალზე ადვილია. შეგვიძლია მივიდეთ მეზობელთან ან დავურეკოთ და მოვაწყოთ წვეულება, დავპატიჟოთ მეზობელი და აღმოვფხვრათ გაუგებრობა.

იგივე რამ ხდება, როდესაც ინტელექტუალურ დონეს ვაღწევთ. ჩვენ ავტომატურად, ვგულისხმობ ჩუმი გვესმის ყოველივე და უხმოდ ვუკავშირდებით ძალის რაიმე წყაროს,

რომელიც დაგვეხმარება ყოველივეს მოგვარებაში, ცხოვრების გაუმჯობესებაში. ამით თავიდან ვიცილებთ მრავალ უსიამოვნებას, არასასურველ ვითარებას და ცხოვრების არასასურველ პირობებს. დიახ, დიახ! შესაბამისად, ჩვენ გადავდივართ მეორე დონეზე. ეს უკვე ფანტრასტიურია.

ამიტომ ყველაფერი, რაც აგისხენით, არის ძალზე მეცნიერული და ლოგიკური, და არ უნდა გვეგონოს, თითქოს იოგა ან პირი, რომელიც მედიტაციას ეწევა, გარკვეული მისტიური ან არამიწიერი არსებაა. ისინი მიწიერი არსებები არიან, ისევე, როგორც ყოველი ჩვენთაგანი. ისინი განვითარდნენ, რადგანაც მათ იციან თუ როგორ უნდა მიაღწიონ ამას.

ამერიკაში ზოგჯერ ვამბობთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ნოუ-ჰაუზე, რომ ჩვენ ყველაფრის სწავლა უნდა შეგვეძლოს. ხომ ასეა? ამიტომ, ეს გარკვეულწილად სცდება ამ სამყაროს მეცნიერებას, რომელშიც ჩვენ ასევე შეგვეძლო სწავლა. და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალზე უცნაურად ჟღერს, რაც უფრო მაღალია რაიმე, მით უფრო მარტივია იგი. ეს უფრო მარტივია ვიდრე ის ძნელი მათემატიკური ამოცანები, რომლებსაც გავდივართ კოლეჯსა თუ უმაღლეს სასწავლებელში.

მეორე დონეზე ასევე არსებობს სხვადასხვა დონე. მაგრამ მე მოკლედ მოგახსენებთ, რადგანაც დეტალურად ვერ მოგიყვებით ზეცის ყველა საიდუმლოს შესახებ. თუმცა

ყველა მათგანს შეისწავლით, როდესაც მეუფესთან ერთად იმოგზაურებთ, რომელმაც ეს უკვე განახორციელა. ეს საიდუმლო არაა. მაგრამ თუ თითოეულ დონეზე შეეჩერდებით, რომელსაც საკუთრივ მრავალი დონე გააჩნია და ყველაფრის შესწავლა მოგვიხდა, ეს დიდ დროს წაგვართმევს. ასე რომ, მეუფეს ზოგჯერ სწრაფად გადაყვხართ ერთი დონიდან მეორეზე, ძალიან სწრაფად. ერთი-ორი! რადგან თუ არაფერი გაქვთ საერთო მეუფეობასთან, თქვენ არ გჭირდებათ ძალზე ბევრის სწავლა. ეს თქვენთვის ზედმეტი ტვირთია. შესაბამისად, მას გადაყვხართ უფრო მაღალ დონეზე და უკან, რადგანაც ამასაც კი დიდი დრო სჭირდება. ზოგჯერ ამას მთელი სიცოცხლე სჭირდება. მაგრამ ნირვანას დაუყონებლივ ვაღწევთ.

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია, როგორც მაგალითად, ინსტიტუტში ჩარიცხვა. პირველ დღეს ირიცხებით უმაღლეს სასწავლებელში, მაშინვე ხდებით სტუდენტი. მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო ბაკალავრიატთან. ექვსი, ოთხი თუ თორმეტი წლის შემდეგ სასწავლო დაწესებულებას ამთავრებთ. მაგრამ თქვენ მაშინვე გახდით უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, თუკი ეს იყო ნამდვილი უმაღლესი სასწავლებელი, და თუკი ჩაირიცხებით თქვენ ნამდვილად, მთელი სულით და გულით გასურთ გახდეთ სტუდენტი. ასე რომ ორივე მხარემ უნდა ითანამშრომლოს.

ამის მსგავსად, თუ გვსურს ამ სამყაროს მიღმა მოგზაურობა, მაგალითად, გასართობად, რადგანაც ნიუ-იორკში სხვაგან

არსად წასასვლელი არ გვაქვს, ყველაფერი ვიცით მანჭეტენის, „ლონგ ბიჩის“ „შორტ ბიჩის და ა.შ. შესახებ (სიცილი) და გვსურს ვიმოგზაუროთ არამიწიერ ადგილში რომ ვნახოთ რა ხდება. კარგით? რატომაც არა. თუკი უამრავს ვიხდით, რათა წავიდეთ მაიამიში, ფლორიდაში მხოლოდ იმისათვის, რომ ზღვაში ვიბანავოთ, რატომ არ ვიმოგზაუროთ სხვა სამყაროებში ამ სამყაროს მიღმა, რომ ვნახოთ, თუ როგორ გამოიყურებიან პლანეტები და როგორ ცხოვრობს იქ ხალხი? არა მგონია ამაში რაიმე უცნაური იყოს. მართალია? ეს მხოლოდ ცოტა უფრო შორი მოგზაურობაა, გონებრივი, სულიერი მოგზაურობა ფიზიკურის ნაცვლად. არსებობს ორი სახის მოგზაურობა. ამიტომ ეს ძალზე ლოგიკურია და ადვილად გასაგები.

ახლა მეორე დონეზე ვიმყოფებით. კიდევ რა მოგახსენოთ? ასე ვაგრძელებთ მოგზაურობას ამ სამყაროში, მაგრამ ამ შემთხვევაში ვიცნობთ სხვა სამყაროებსაც. რადგანაც ვიმოგზაურობთ.

თუ თქვენ ხართ ამერიკის მოქალაქე, თქვენ ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, მოგზაურობთ ერთი ქვეყნიდან მეორეში იმისათვის, რომ გაიგოთ, თუ როგორ გამოიყურება მეზობელი ქვეყანა. და ვფიქრობ, გაეროში ბევრი თქვენთაგანი არ არის წარმომავლობით ამერიკელი. ხომ ასეა? ასე რომ, თქვენთვის ცნობილია ერთი და იგივე რამ. შეგვიძლია ვიმოგზაუროთ გვერდით პლანეტაზე ან ცხოვრების შემდეგ დონეზე იმისათვის, რომ გავიგოთ. რადგანაც მანძილი იმდენად

დიდია, რომ სიარული არ შეგვიძლია, ვერ მივფრინავთ კოსმოსური ხომალდით და ვერც ამოუცნობი მფრინავი ობიექტით მივემგზავრებით.

ზოგიერთი სიტყვა უფრო გრძელია ვიდრე ის მანძილი, რომელზედაც ამოუცნობ მფრინავ ობიექტს შეუძლია ფრენა. აუო! ამოუცნობი ობიექტი. დიახ, მფრინავი ობიექტი! ჩვენში არის საშუალება, რომელიც უფრო სწრაფია, ვიდრე ნებისმიერი ამოუცნობი მფრინავი ობიექტი. ეს არის ჩვენი სული. და შეგვიძლია ამ სულის მეშვეობით გავფრინდეთ ყოველგვარი საწვავის, სატრანსპორტო საცობის გარეშე. და არ უნდა გვადარდებდეს ის, რომ ერთ დღეს არაბები ბენზინს არ მოგვყიდიან (სიცილი), რადგანაც ის საწვავის გარეშე დაფრინავს. ის არასოდეს გამოდის მწყობრიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჩვენ მისი დაზიანება გვსურს სამყაროს კანონების, ზეცისა და დედამიწის წესის დარღვევის შედეგად, რისი თავიდან აცილებაც ძალზე ადვილია. გეტყვით, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ ამას, თუ ეს გაინტერესებთ.

მაგალითად, მოკლედ გეტყვით, კარგით? მე არ ვარ მქადაგებელი. ნუ ნერვიულობთ, ეკლესიაში არ წაგიყვანთ.

სამყაროში არსებობს გარკვეული კანონები, რომლებიც უნდა ვიცოდეთ, როგორც მაგალითად უნდა ვიცოდეთ მანქანის ტარება თუ მანქანით სიარული გვსურს. წითელ შუქზე ვაჩერებთ; მწვანეზე მივდივართ. უნდა შევუხვიოთ მარცხნივ, მარჯვნივ და ა.შ. , რა სიჩქარით უნდა ვმართოთ

ჩქაროსნულ მაგისტრალზე. ასევე სამყაროში და მის მიღმა არსებობს ძალზე მარტივი წესები. ჩვენი სამყაროს, მოცემული ფიზიკური სამყაროს მიღმა საერთოდ არ არსებობს არავითარი კანონი. ჩვენ თავისუფალნი ვართ, თავისუფალი მოქალაქენი, მაგრამ ჩვენ ყოველივე ამაზე შორს უნდა წავიდეთ იმისათვის, რომ ვიყოთ თავისუფლები. და მანამდე, სანამ ამ სამყაროში, ამ ფიზიკურ სხეულში ვცხოვრობთ, რაც შეიძლება მკაცრად უნდა დავიცვათ კანონი, იმისათვის, რომ არ გვქონდეს უსიამოვნებები. და მაშინ ჩვენი ავტომობილები არ დაზიანდება და უფრო სწრაფად, უფრო მაღლა და უპრობლემოდ გავფრინდებით.

მოცემული კანონები ჩამოყალიბებულია ბიბლიაში, თქვენს ქრისტიანულ ბიბლიასა და ბუდისტურ ბიბლიაში და ინდურ ბიბლიაში. ეს არის ძალზე მარტივი კანონები, რომლებიც მოგვიწოდებს არ ვავნოთ მეზობლებს, არ მოვკლათ, „არა კაც კალ“, არ ვიმრუშოთ სასიყვარულო ურთიერთობის მიღმა, არ მოვიპაროთ და სხვ. არ მივიღოთ ინტოქსიკანტები, რომლებშიც ასევე იგულისხმება დღევანდელი ნარკოტიკები. შესაძლებელია, ბუდამ იცოდა, რომ მეოცე საუკუნეში გამოვიგონებდით კოკაინს და სხვა დანარჩენს, ამიტომაც მან თქვა: არა ნარკოტიკებს. ნარკოტიკებში შედის ნებისმიერი სახის აზარტული თამაში და ყოველივე, რაც ჩვენს გონებას აკავშირებს ფიზიკურ სიამოვნებასთან და გვავიწყებს სულიერ მოგზაურობას.

თუ გვსურს ვიფრინოთ სწრაფად, მაღლა და პრობლემების გარეშე, ფიზიკის კანონის მსგავსად, არსებობს ფიზიკური

კანონები. როდესაც ხომალდს სურს ფრენა, მეცნიერი ვალდებულია გაითვალისწინოს გარკვეული კანონები. სულ ესაა, არა? ამიტომ უფრო დიდი სიფრთხილე გემართებს, რადგანაც გვსურს ვიფრინოთ კოსმოსურ ხომალდებზე, ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე უფრო მაღლა და უფრო სწრაფად. თუმცა არსებობს ზოგიერთი გარკვეული დეტალი, რომლის ახსნაც შესაძლებელია, თუკი ეს გაინტერესებთ. და ეს მოხდება დაუფლებიასა. ახლა თავს არ შეგაწყენთ ყველა მოცემული მითითებით, რაზედაც იტყვი: „მე უკვე ვიცი. ბიბლიაში წავიკითხე. ათი მცნება, ხომ ასეა?“

ფაქტობრივად ბევრ ჩვენთაგანს წავითხული აქვს მცნებები, მაგრამ ისინი არც თუ ისე გვაღელვებს და არც თუ ისე ღრმად გვესმის. ან შეიძლება გვსურს გავიგოთ ისე, როგორც გვსურს და არა ისე, როგორც საჭიროა. შესაბამისად, ურიგო არ იქნება, თუკი ზოგჯერ გავიხსენებთ და კიდევ ერთხელ მოვისმინოთ ყოველივე ამის ოდნავ უფრო ღრმა მნიშვნელობას. მაგალითად, ბიბლიის ძველი აღთქმის პირველ გვერდზე ღმერთი ამბობს: „ მე გავაჩინე ყველა ცხოველი, მათი ყველა სახეობა, რათა დახმარება გაგიწიონ, და შენ მათ უნდა უპატრონო.“ შემდეგ კი ამბობს, რომ შექმნა საკვები ცხოველთა თითოეული სახეობისათვის, მაგრამ მას არ უთქვამს, რომ ისინი უნდა შევჭამოთ. არა! და ის ამბობს: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო. მაგრამ ბევრი ამას უგულვებელყოფს. ამიტომ ბიბლიის ბევრი მიმდევარი ჯერ კიდევ იკვებება ხორციით და არ ესმის, თუ რას

გულისხმობდა ღმერთი სინამდვილეში.

და თუ კი ჩვენ ვაწარმოებთ უფრო ღრმა მეცნიერულ კვლევას, მივხვდებით, რომ არ ვართ ხორცისმჭამელები. ჩვენი სისტემა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ჩვენი კბილები, ყველაფერი მეცნიერულად შექმნილია მხოლოდ ვეგეტარიანული დიეტისათვის. არ არის გასაკვირი, რომ ბევრი ადამიანი ავადდება, ნაადრევად ბერდება, სწრაფად იღლება და ითენთება, მაშინ როცა დაიბადა ძალზე მშვენიერი და ჭკვიანი. მათი ცხოვრება ყოველ დღე უფერულდება, და რაც უფრო ბერდებიან, მით უარესად გრძნობენ თავს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ვაზიანებთ ჩვენს „ავტომობილებს“, „მფრინავ ობიექტებს“, ჩვენს „ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს.“ ასე რომ ამ „ავტომობილს“ უნდა სათანადოდ მოვეპყროთ, თუკი გვსურს მისი უსაფრთხოდ და უფრო ხანგრძლივად მართვა.

მაგალითად, გვყავს მანქანა. მანქანას ყველანი ატარებთ. რა მოხდება, თუ მანქანაში ცუდ ბენზინს ჩაასხამთ? ის ალბათ, რამდენიმე ფუტს გაივლის და გაჩერდება. და ამას მანქანას ვერ დავაბრალებთ. ეს ჩვენი შეცდომაა, შეცდომით ჩავასხით მასში გარკვეული ცუდი ბენზინი. და თუ ჩვენს ბენზინში შერეულია წყალი, მანქანამ გარკვეულ ხანს შეიძლება იაროს, მაგრამ მას პრობლემები შეექმნება. ან თუ ჩვენი ზეთი დაბინძურდა და არ გაგვიწმენდია, მანქანა ცოტა ხანს ივლის, მაგრამ შემდეგ პრობლემები ექნება. და ის ზოგჯერ ფეთქდება იმის გამო, რომ მასზე არასათანადოდ ვზრუნავდით.

ჩვენი სხეულიც ავტომობილს გავს, რომლითაც შეგვიძლია აქედან გავფრინდეთ უსასრულოებაში, მეცნიერული სიბრძნის ძალზე მაღალ დონეზე. თუმცა ზოგჯერ მას ვაზიანებთ და არ ვიყენებთ საჭირო დანიშნულებით. მაგალითად, ჩვენმა მანქანამ უნდა გაიაროს ბევრი მილი იმისათვის, რომ მიგვიყვანოს ოფისამდე, მეგობრებამდე ან სხვადასხვა ლამაზ გარემოში. მაგრამ ჩვენ მას არ ვუვლით, ვასხავთ არასათანადო ბენზინს, არ ვასუფთავებთ ზეთს, არ ვუვლით წყლის ავზს, და ის ვედარ დადის სწრაფად, შორ მანძილზე. ამის შემდეგ საკუთარ ეზოშიღა დაგვყავს. ესეც კარგია. მაგრამ ამის შედეგად მანქანა აღარ ასრულებს თავის პირვანდელ დანიშნულებას, რის გამოც შევიძინეთ. ეს მხოლოდ დროისა და ფულის, ენერჯის ფუჭად ხარჯვაა. და სულ ესაა. ამაში ვერავის დავადანაშაულებთ. ამისთვის პოლიცია ჯარიმას არ დაგიწესებთ. თქვენ მხოლოდ აფუჭებთ მანქანას, ფლანგავთ ფულს, მაშინ როდესაც შეგიძლიათ იმოგზაუროთ ძალიან შორს, ნახოთ ბევრი რამ და დატკბეთ სხვადასხვა ხედით.

იგივე შეეხება ჩვენს სხეულებსაც. შეგვიძლია ვიცხოვროთ ამ სამყაროში, მაგრამ ვზრუნავთ საკუთარ ფიზიკურ სხეულზე, თუმცა გაგვაჩნია სხვა საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია გავფრინდეთ ყოველივე ამაზე შორს, როგორც მაგალითად, ასტრონავტი, რომელიც კოსმოსურ ხომალდში იმყოფება. ხომალდი მისი ინსტრუმენტია. მან მკაცრად უნდა დაცვას ფიზიკის კანონები იმისათვის, რომ მისმა ხომალდმა იფრინოს უსაფრთხოდ და სწრაფად. მაგრამ მნიშვნელოვანია შიგნით მყოფი ასტრონავტი. ხომალდს ის დანიშნულების

ადგილამდე მიყავს. მაგრამ კოსმოსური ხომალდი მთავარი ობიექტი არაა - მთავარი ასტრონავტია, დანიშნულების ადგილი. და თუკი ის მას მხოლოდ ღონე აილენდის გარშემო მოგზაურობისათვის გამოიყენებს, ეს მხოლოდ დროის ფლანგვა იქნება. ქვეყნის ფულის ფლანგვა.

ამიტომ ჩვენი სხეული ძვირფასია, რადგანაც მასში არის მეუფე. ამიტომაც ბიბლიაში ნათქვამია: „ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ, და სული ღვთისა ბინადრობს თქვენში?“ იგივე შეეხება სული წმინდას. თუ ჩვენში დაისადგურებს სული წმინდა და ყოვლისშემძლე ღმერთი, წარმოდგინეთ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს! მაგრამ ბევრი ადამიანი ამას სწრაფად ჩაიკითხავს ხოლმე და ვერ იგებს მოცემული წინადადების უდიდეს მნიშვნელობას, არ ცდილობს ჩაწვდეს მის არსს. ამიტომაც ჩემს სწავლებას ბევრი მიმდევარი ყავს, რადგანაც მათ, ყოველდღიური ბრძოლის, ფულის შოვნის და ყველა მოცემული ფიზიკური პრობლემების გარდა, ასევე შეუძლიათ გაიგონ, თუ ვინ ზის ამ სამყაროში და რა არის მის მიღმა.

ჩვენს სულში არის მეტი სილამაზე, მეტი თავისუფლება, მეტი ცოდნა. ჩვენ რომ ვიცოდეთ, ყოველივე ამასთან კონტაქტის სათანადო გზა, ეს ყველაფერი ჩვენი იქნება, რადგან ყოველივე ეს სულში გვაქვს. მხოლოდ იმის გამო. რომ არ ვიცით, სად არის გასაღები, დიდი ხნით დავკეტეთ მოცემული „სახლი“ ახლა კი დაგვაღიწყდა, რომ ეს განძი გაგვაჩნია. სულ ესაა.

მაშასადამე, ე.წ. მეუფე ისაა, ვისაც შეუძლია დაგვეხმაროს კარის გაღებაში და რომელიც დაგვანახებს იმას, რაც უკვე გვეკუთვნის. მაგრამ ჩვენ მასში შესასვლელად დრო დაგვჭირდება. უნდა შევიდეთ და შევიცნოთ ყოველივე, რაც გაგვაჩნია.

ასე რომ, ეს იყო მეორე სამყარო. გსურთ წინ წასვლა? (მსმენელი: დიახ! დიახ!) ყველაფერი გსურთ იცოდეთ მუშაობის გარეშე? კარგი. მაგრამ ალბათ მას, ვინც სხვა ქვეყანაში ნამყოფია, შეუძლია მოგიყვით, თუ როგორია ეს ქვეყანა. ხომ ასეა? ასე თუ ისე, თქვენ დაინტერესებულები ხართ და შესაძლებელია, წასვლაც გსურთ. კარგი. მაშ ასე, მეორე სამყაროს შემდეგ. ჯერ მეორე არ დამისრულებია, მაგრამ მოგეხსენებათ, აქ მთელი დღე ვერ დავრჩებით. ასე რომ, მეორეს შემდეგ შეიძლება გაიზარდოს თქვენი უფლებამოსილება. თუ სურვილი გაქვთ და ამისათვის იმუშავეთ, გადაინაცვლებთ ე.წ. მესამე სამყაროში. ეს უფრო მაღალი დონეა.

მას, ვინც მესამე სამყაროში გადადის, სულ მცირე, არ უნდა გააჩნდეს ამ სამყაროს არავითარი ვალი. ვერ გავაგრძელებთ, თუ ამ ფიზიკური სამყაროს მეფის წინაშე რაიმე ვალდებულება გაგვაჩნია. მაგალითად, თქვენ რომ რომელიმე ქვეყნის დამნაშავე იყოთ, ვერ გადახვალთ მეორე სახელმწიფოს საზღვარზე. ამ სამყაროს წინაშე ვალი მოიცავს მრავალ ქმედებას, რომელიც განვახორციელებთ წარსულში, რომელსაც ჩავდივართ აწმყოში და რომელიც შეიძლება ჩავიდინოთ ჩვენი ფიზიკური ცხოვრების მომავალში. მიღმა

სამყაროში გადასვლამდე ყოველივე ეს ვალი მოხდილი უნდა იყოს, ისევე როგორც მაგალითად, უნდა გავიაროთ საბაჟო შემოწმება. მაგრამ როდესაც მეორე სამყაროში ვართ, მუშაობას ვიწყებთ წარსული და მომავალი ცხოვრების დარჩენილ კარმაზე, რადგანაც წარსული კარმის გარეშე ვერ ვიარსებებთ აწმყოში.

მეუფეებს გააჩნიათ ორი სხვადასხვა კატეგორია. ერთი არის კარმის გარეშე, თუმცა მას სესხულობს ქვევით დასაშვებად. მეორე ჩვენსავით, ჩვეულებრივი არსებაა, თუმცა მას გააჩნია გაწმენდილი კარმა. ამიტომაც ნებისმიერს შეუძლია გახდეს მეუფე ან მომავალი მეუფე. და ზოგჯერ მეუფე ზემოთა სამყაროდან ეშვება ნასესხები კარმით. თქვენი აზრით, როგორ ჟღერს კარმის სესხება? ეს შესაძლებელია, შესაძლებელი.

მაგალითად, აქ ჩამოსვლამდე აქ უკვე იყავით. და თქვენ უკვე ასობით წლის განმავლობაში გაცემდით და იღებდით ადამიანებისაგან. და შემდეგ დაბრუნდით უკან ზეცაში თქვენს სასუფეველში, რომელიც ძალიან შორსაა, სხვა დონეზე, სულ მცირე, მეხუთე დონეზე. ეს არის მეუფის სახლი, მეხუთე დონე. მაგრამ მის მიღმა სხვა დონეებიც არსებობს.

როდესაც დაბრუნება გვსურს თანაგრძნობის ან მამისგან დაკისრებული რაიმე საქმის გამო, მაშინ დაბლა ვეშვებით. და წარსულში ადამიანებთან მსგავსების გამო შეგვიძლია მათ დავესესხოთ მათი კარმა. ეს იქნება მხოლოდ ადამიანთა

ვალი და სხვა არაფერი კარგი. შეგვიძლია ვისესხოთ მათი გარკვეული ვალი და შემდეგ მას თანდათან ვიხდით ჩვენი სულიერი სიძლიერის მეშვეობით მანამდე, სანამ არ დავასრულებთ მოცემულ საქმეს სამყაროში. ასე რომ, ეს მეუფის განსხვავებული სახეობაა. ასევე არსებობენ ისეთებიც, რომლებიც არიან ამ სამყაროდან, მას შემდეგ, რაც ამ საქმიანობას ეწევიან, დაუყოვნებლივ ხდებიან მეუფეები, ისევე, როგორც სტუდენტი, რომელიც ამთავრებს სასწავლო დაწესებულებას. დიახ, სამყაროში, ისევე, როგორც უმაღლეს სასწავლებელში, არსებობენ პროფესორები, რომელთაც ყავთ სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ ამ სასწავლებელს და თავად ხდებიან პროფესორები. არსებობენ ძველი პროფესორები და ისინი, ვინც ეს-ეს არის დაასრულა სწავლა სასწავლო დაწესებულებაში და სხვ. ამის მსგავსად, არსებობს მეუფეთა სამი სახეობა.

თუ გვსურს გადასვლა მესამე სამყაროში, კარმის ყველა კვალისაგან აბსოლუტურად გათავისუფლებულები უნდა ვიყოთ. კარმა არის კანონი: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“. თუ ფორთოხლის თესლს დავრგავთ, გვექნება ფორთოხალი; თუ ვაშლის თესლს დავრგავთ - ვაშლი. იგივე ხდება კარმას შემთხვევაშიც. სანსკრიტის ენაზე ეს არის მიზეზი და მიზღვა. ბიბლიაში არაფერია ნათქვამი კარმას შესახებ, მაგრამ მასში არის სიტყვები „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“. ეს ერთი და იგივეა.

ბიბლია მეუფის სწავლების შემოკლებული ფორმაა. და

გარკვეულწილად მისი ცხოვრებაც შემოკლებული ფორმაა. შესაბამისად, ბიბლიაში არ მოიპოვება ყოველი ამის ბევრი ახსნა. და ასევე ბიბლიის ბევრმა ვერსიამ გაიარა ცენზურა იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა მოცემული მოძრაობების ე.წ. ლიდერები. ყველა მათგანი არ ყოფილა სულიერი მენტალიტეტის ადამიანი. ვიცით, რომ გარკვეულწილად ადამიანები ყველაფერს ყიდულობენ და ყიდიან. ისინი ცხოვრების ყველა ასპექტში ბროკერები არიან. მაგრამ, მოგვეხსენებათ, ნამდვილი ბიბლია განსხვავებულია, ოდნავ უფრო ვრცელია, უფრო ზუსტი და გასაგებად ადვილი. მაგრამ ვინაიდან მისი დიდი ნაწილის დადასტურება არ შეგვიძლია, მასზე არ ვისაუბრებთ, რათა ადამიანებმა არ დაგვწამონ ღვთის გამობა. იმისთვის, რომ ვთქვათ მხოლოდ ის, რისი დამტკიცებაც შეგვიძლია.

და მაშინ მკითხავთ, „თქვენ საუბრობთ მეორე, მესამე და მეოთხე სამყაროს შესახებ. როგორ დაასაბუთებთ მათ არსებობას?“ მე ეს შემიძლია დავასაბუთო! თუ ჩემთან ერთად წამოხვალთ, იმავე ბილიკით ივლით, იგივეს იხილავთ. მაგრამ თუ არ წამოხვალთ, მე ამას ვერ დავასაბუთებთ. ეს ნამდვილად ასეა. შესაბამისად, ვისაუბრებ მხოლოდ ამის შესახებ, რადგანაც არსებობს მტკიცებულება. ჩვენი მტკიცებულებაა ასობით ათასი მიმდევარი მთელს მსოფლიოში. და შესაბამისად, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რაც ვიცით. მაგრამ ამისათვის, ჩემთან ერთად უნდა იაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იტყვით: „იარეთ ჩემს ნაცვლად და მითხარით როგორია ყოველივე.“ მე ეს არ

შემიძლია.

მაგალითად, გაეროს ამ დარბაზში რომ არ ვყოფილიყავით, რამდენიც არ უნდა გესაუბრათ ამ დარბაზის შესახებ, მე მასში ყოფნის გამოცდილება არ მექნებოდა. ხომ ასეა? ასე რომ, უნდა ვიაროთ იმასთან ერთად, ვინც გამოცდილია და ვისაც შეუძლია გაგვიძღვეს. და ამ დარბაზში არიან სხვადასხვა ეროვნების მოწაფეებიც, მათ გააჩნიათ ზოგიერთი ის გამოცდილება, რომლის შესახებაც მოგიყვებით - ზოგს ნაწილობრივი და ზოგს სრული გამოცდილება.

ასე რომ, მესამე სამყაროს შემდეგ ეს არაა სრული ინფორმაცია. ის, რის შესახებაც მოგახსენეთ, მხოლოდ ამ ინფორმაციის ნაწილია, გარკვეული მოგზაურობის ისტორიაა, რომელიც გარკვეულწილად, თუმცა არა მთლიანად დაკავშირებულია მოგზაურობასთან, მაშინაც კი, როდესაც გარკვეული ქვეყნის შესახებ წიგნს ვკითხულობთ, ეს არა არის ის ფაქტობრივი ქვეყანა. ხომ ასეა? შესაბამისად, გაგვაჩნია მრავალი წიგნი მოგზაურობის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შესახებ, თუმცა გვიყვარს, როდესაც იქ თვითონ დავდივართ. თუ ვიცით ესპანეთის, ტენერიფეს და საბერძნეთის შესახებ მხოლოდ წიგნებიდან ან კინოდან, იქ უნდა წავიდეთ, იმისათვის, რომ ფაქტობრივად შევიგრძნოთ იქ ყოფნის სიხარული, მათ მიერ შემოთავაზებული საკვები, ზღვის გემრიელი წყალი და მშვენიერი ამინდი, მეგობრული ხალხი და ყველანაირი გარემო, რასაც ვერ გავიგებთ მხოლოდ წიგნების კითხვის საშუალებით.

წარმოიდგინეთ, თითქოს გაიარეთ მესამე სამყარო. რა მოყვება ამას? რა თქმა უნდა, გადაინაცვლებთ უფრო მაღალ, მეოთხე დონეზე. ხოლო მეოთხე დონე უკვე სასწაულია. და მისი მარტივი ენით ახსნა ჩვეულებრივი ადამიანებისათვის შეუძლებელია, რათა არ შეურაცხვეყოთ იმ სამყაროს ბატონი. რადგანაც ეს სამყარო საოცრად ლამაზია, თუმცა მისი გარკვეული მხარეები ბნელია, უფრო ბნელი ვიდრე ნიუ-იორკში ელექტროენერჯის გათიშვით გამოწვეული სიბნელე. დიახ, ეს ამაზე უფრო ბნელია. სინათლის მიღწევამდე ეს ამაზე უფრო ბნელია. ეს გარკვეული აკრძალული ქალაქია. მასში ვჩერდებით მანამდე, სანამ არ დავეუფლებით ღვთიურ ცოდნას. მაგრამ ეს შეგიძლიათ გადალახოთ გამოცდილ მეუფესთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარ სამყაროში გზას ვერ გაიკვალავთ.

როდესაც ვაღწევთ არსებობის სხვადასხვა სიბრტყემდე, გამოცდილი გვაქვს არა მხოლოდ ფიზიკური ცვლილებები, არამედ ასევე ინტელექტუალური ცვლილებებიც და ყოველივე სხვა დანარჩენი. ჩვენ ცხოვრებას სხვაგვარად ვუყურებთ, სხვანაირად ვსაუბრობთ, სხვანაირად ვმუშაობთ. ჩვენი ყოველდღიური სამუშაოც კი სხვა მნიშვნელობას იძენს, და გვესმის თუ რატომ ვმუშაობთ ასე, რატომ უნდა ვასრულებდეთ ამ სამუშაოს, ან რატომ უნდა შევიცვალოთ ესა თუ ის სამუშაო. ჩვენ გვესმის ჩვენი ცხოვრების მიზანი და დიახ, ჩვენ აღარ ვვლავთ და აღარ ვართ მოუსვენრები! პირიქით, ძალზე ჰარმონიულად, მოთმინებით ველით დედამიწაზე ჩვენი მისიის დასრულებას, რადგან ვიცით თუ საით გავემართებით ამის შემდეგ. ეს სიცოცხლეშივე ვიცით.

ამიტომაც ნათქვამია: „სიკვდილი სიცოცხლეში.” დიახ, დიახ! და ვფიქრობ, აქამდე ზოგიერთ თქვენთაგანს ამის შესახებ გაუგონია, მაგრამ არ ვიცნობ არც ერთ მეთუფეს, რომელსაც სხვანაირად შეემლოს საუბარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩვენ უნდა გამოვცადოთ შინაგანი ხილვის ფაქტობრივი სიხარული.

როგორ შეუძლია ვინმეს მერსედეს ბენცის აღწერა სხვაგვარად? ეს უნდა იყოს იგივე რამ. ასე რომ ადამიანები, რომლებიც არიან მერსედეს ბენცის მფლობელები, რომლებმაც იციან ბენცი, ასევე აღწერენ მას. თუმცა ეს ბენცი არაა. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მარტივი ენით გესაუბრებით, ყოველივე ეს არ არის ჩვეულებრივი რამ, და ისინი საკუთარ თავზე უნდა გამოვცადოთ, მუშაობაში, გულწრფელად და მითითებების შესაბამისად. ასე უფრო უსაფრთხოდ ვივლით. თუმცა, ალბათ არსებობს მილიონიდან ერთი შემთხვევა, როდესაც ყოველივე ამის მიღწევა საკუთარი გზით არის შესაძლებელი, თუმცა ის სავსეა ხიფათით და ამან შეიძლება არ გამოიღოს სანდო შედეგი და არ იყოს უსაფრთხო.

წარსულში ზოგიერთი ადამიანი, მაგალითად, სვედენბორგი, ყოველივეს საკუთარი ძალებით აღწევდა. ან ავილოთ გურჯიევი. ფიქრობენ, რომ მან ყოველივეს საკუთარი გზით მიაღწია, სრულ მარტოობაში. მაგრამ როდესაც ამ ავტორებს და მათ ნაწარმოებს ვკითხულობ, ვხვდები, რომ მათი გზა ყოფილა ხიფათით და უსიამოვნებით აღსავსე. და ყველა მათგანს უმაღლეს დონემდე არ მიუღწევია.

მაშასადამე, ამის შემდეგ უფრო მაღალ დონეზე გადაინაცვლებთ. მეოთხედან გადადიხართ უფრო მაღალ დონეზე, მეუფის სახლში, რომელიც მეხუთე დონეზეა. ყველა მეუფე იქედან წარმოდგება. მიუხედავად იმისა, რომ მათი დონეები მეხუთეზე მაღალია, ისინი იქ დარჩებიან. ეს მეუფეთა რეზიდენციაა. და მის მიღმა არსებობს ღმერთის მრავალი ასპექტი, რომელიც გასაგებად ძნელია. ვცდილობ არ დაგაბნოთ, ასე, რომ მომავალში ან დაუფლების შემდეგ იმედია ამის შესახებ მოგიტხრობთ, როდესაც ცოტათი უფრო მომზადებულები იქნებით; და მოგიყვებით გასაოცარ ამბავს თქვენს ფანტაზიასთან დაკავშირებით, რომელიც ზოგჯერ მცდარ წარმოდგენას გვიქმნის ღმერთის შესახებ.

კითხვა-პასუხების სესია ლექციის შემდეგ

Q: თქვენ აღნიშნეთ, რომ მეუფეს შეუძლია ადამიანთა კარმის სესხება. ამ შემთხვევაში ამ ადამიანთა კარმა წაიშლება?

M: მეუფეს შეუძლია ნებისმიერი ადამიანის კარმის წაშლა, თუკი ის ამას მოისურვებს. ფაქტობრივად დაუფლებისას ყველა მოწაფის წარსული კარმა იშლება. მე გტოვებთ მხოლოდ ამჟამინდელ კარმაში, იმისათვის, რომ გავაგრძელოთ ეს ცხოვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოვკვდებით. თუ კარმა არაა აქ ვერ ვიცხოვრებთ. შესაბამისად, მეუფემ უნდა წაშალოს მხოლოდ

შენახული კარმა იმისათვის, რომ ადამიანი განიწმინდოს, დაუტოვებს ცოტაოდენ კარმას იმისათვის, რომ გააგრძელოს ცხოვრება და გააკეთოს ის, რაც გასაკეთებელი აქვს ამ ცხოვრებაში. ხოლო ამის შემდეგ - ეს დამთავრებულია. ამიტომაც ამის შემდეგ მას შეუძლია წავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ წავა? სიცოცხლეშიც კი განწმენდილი რომ იყოს, საკითხავია რამდენად გაწმენდილია? ბოლო ცხოვრებას რა ვუყოთ? ახლა გასაგებია?

Q: რა არის თქვენი საქმიანობის მიზანი?

M: რა არის მიზანი? თქვენთვის არ მითქვამს? ამ სამყაროს მიღმა მოგზაურობა, ღვთის სამეფოში დაბრუნება, რათა იცოდეთ რომ გაგაჩნიათ სიბრძნე და უკეთეს ადამიანად გადაიქცეთ.

Q: არსებობს თუ არა კარმა ყველა სფეროში?

M: არა, ყველა სფეროში არ არსებობს, მხოლოდ მეორე სამეფოშია, რადგანაც ჩვენი გონი, ტვინი, კომპიუტერი „დამზადებულია“ ამ მეორე სიბრტყეში. როდესაც დავეშვებით უფრო მაღალი სიბრტყეებიდან დაბლა მოცემულ ფიზიკურ სიბრტყეში, სავარაუდოდ, რაიმე სამუშაოს შესასრულებლად; მაგალითად, მელუფეც კი ეშვება მეხუთე სიბრტყიდან დაბლა, ფიზიკურ სამყაროში, შემდეგ ის გადის მეორე სიბრტყეში, აიღებს თავის „კომპიუტერს“ და შეაკეთებს მას, იმისათვის, რომ ამ სამყაროში იმუშავოს. ისევე როგორც მყვინთავი, რომელიც ზღვაში ყვინთავს, მან უნდა მოამზადოს ჟანგბადის ნიღაბი და სხვა დანარჩენი. მიუხედავად იმისა, რომ ის უცნაურად

არ გამოიყურება, როდესაც მას უკეთია ჟანგბადის ნიღაბი და მყვინთავის ფორმა აცვია, ბაყაყს გავს. ასე გამოვიყურებით ზოგჯერ როდესაც ვართ ამ... ჩვენს კომპიუტერთან და ფიზიკური დაბრკოლებების წინაშე. სხვა მხრივ სრულიად მშვენიერნი ვართ. მიუხედავად იმისა, რომ გგონიათ, რომ ახლა ლამაზად გამოიყურებით, თქვენ ძალზე მახინჯები ხართ იმასთან შედარებით, თუ როგორები ხართ სინამდვილეში, რადგან ამ სამყაროში მუშაობისათვის ღრმად ჩასაყვინთად გვჭირდება საჭირო ხელსაწყოების ტარება.

ასე რომ, როდესაც გავივლით მეორე დონეს ზემოთ ასასვლელად, აქ უნდა დავტოვოთ ჩვენი კომპიუტერი, ზემოთ აღარ დაგვჭირდება. ამიტომ მყვინთავი, რომელიც აღწევს ნაპირს, გადააგდებს თავის ჟანგბადის ნიღაბს და მთელ საყვინთავ მოწყობილობას და გამოიყურება ისე, როგორც მანამდე გამოიყურებოდა. ხომ ასეა? კარგით!

Q: თქვენ აღნიშნეთ, რომ მეორე სამყაროს ბოლოს, ზემოთ ასვლამდე, მთელს თქვენს კარმას უკან იტოვებთ ან უნდა მოიხსნათ, ანუ განწმინდოთ თქვენი კარმა. ნიშნავს თუ არა ეს აგრეთვე იმას, რომ წარსულის კარმა ასევე მოგვეყვება, როდესაც ამ ცხოვრებაში გადმოვინაცვლებთ?

M: დიახ, რადგან არ არსებობს არაფრის აღრიცხვის „კომპიუტერი.“ ჩვენ კარმა გავაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ გვაქვს ეს კომპიუტერი, გონი, ჭკუა, რომელმაც უნდა აღრიცხოს მოცემული ფიზიკური სამყაროს მთელი გამოცდილება. ამიტომაც გვაქვს ის. კარგია თუ არა, მასში ვაწარმოებთ აღრიცხვას. ამას ვუწოდებთ კარმას. კარმა რა არის? მხოლოდ ცული ან კარგი გამოცდილება, ჩვენი რეაქცია,

ჩვენი ცხოვრებისეული გაკვეთილის სწავლის შედეგად შეძენილი გამოცდილება. და იმის გამო, რომ გაგვაჩნია ე.წ. „სინდისი“, ვიცით, რომ უნდა ვიყოთ კარგები და რომ ზოგჯერ ცუდ საქციელს ჩავდიოდით. შესაბამისად, ამას ვუწოდებთ კარმას. და ცუდი საქციელი დიდ ტვირთად გვაწევს გრავიტაციის კანონის შედეგად, ის ქვემოთ გვექაჩება და მთაზე ასვლას აძნელებს; მსოფლიოში არსებობს ბევრი მიმდევარი, სხვადასხვა ერს გააჩნია ბევრი წესი, მრავალი ტრადიცია, ჩვეულება, რომლებიც გვთოკავს ე.წ. კარგისა და ცუდის, დანაშაულისა და უდანაშაულობის კონცეფციების ფარგლებში. შესაბამისად, ურთიერთობა გვაქვს ამ სამყაროს ადამიანებთან, გაგვაჩნია კარგისა და ცუდის, დანაშაულისა და უდანაშაულობის გამოცდილება, ამ ქვეყნის წეს-ჩვეულებების, კანონების შესაბამისად. და, როგორც წესი, მიგვაჩნია, რომ ვინაიდან ამას ჩავდივართ, დამნაშავენი ვართ; ჩვენ ამას ჩავდივართ და ამიტომ ცუდები ვართ. და ყოველივე ეს აქ არის აღრიცხული. ეს გვეხმარება მიგრაციაში და გვაკავშირებს ფიზიკურ სამყაროსთან ან სამყაროდან ოდნავ ზემოთ არსებულ სფეროსთან, რომელიც, მიუხედავად ამისა, არც თუ ისე მაღლაა. ჩვენ არ ვართ საკმაოდ თავისუფლები, არ გაგვაჩნია საკმაო სიმსუბუქე იმისათვის, რომ ზემოთ ვიტივტივოთ.

Q: არის თუ არა წინასწარ განსაზღვრული ის, რომ დაბადების შემდეგ მივალწევთ გარკვეულ დონეს თითოეულ სიცოცხლეში?

M: არა, ჩვენ გაგვაჩნია თავისუფალი არჩევანი იმისა, გვსურს ვირბინოთ უფრო სწრაფად თუ ნელა. მაგალითად,

თქვენს მანქანაში ასხავთ ას ლიტრ ბენზინს. მაგრამ შეგიძლიათ ამ მანქანით იაროთ და მიაღწიოთ დანიშნულების ადგილს უფრო სწრაფად ან უფრო ნელა. ეს თქვენი არჩევანია.

Q: ასეთი შეკითხვა მაქვს: რომელ დონეზე არიან ანგელოზები?

M: რომელ დონეზე არიან? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ანგელოზებს გულისხმობთ.

Q: მფარველ ანგელოზებს.

M: მფარველ ანგელოზებს შეუძლიათ მეორე დონემდე მიღწევა. ანგელოზები უფრო მცირე არსებები არიან, ვიდრე ცოცხალი არსებები - ნაკლებად პრესტიჟული როლი აქვთ. ისინი ჩვენ გვემსახურებიან.

Q: და ისინი ამ ზღვარს ვერასოდეს სცილდებიან?

M: ვერასოდეს! გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი ხდებიან ცოცხალი არსებები. მათ ყველას ძალზე შურთ ადამიანებისა, რადგან ადამიანებში ცხოვრობს ღმერთი. ჩვენ ყველა საშუალება გაგვაჩნია იმისა, რომ გავერთიანდეთ ღმერთთან, ანგელოზებს კი ასეთი საშუალება არა აქვთ. ეს ძნელი თემაა. ამაზე სხვა დროს გესაუბრებით.

ამასთანავე, ისინი შექმნილია იმისათვის, რომ ჩვენ გამოვიყენოთ. სხვადასხვა სახის ანგელოზები არსებობს. მაგალითად, თუ ისინი შექმნა ღმერთმა, ისინი ჩვენ უნდა გვემსახურონ. და მათთვის დაუშვებელია ამ ზღვარს მიღმა გადანაცვლება. მაგრამ მათ ეს შეუძლიათ. ზოგჯერ რაღაც ხდება სათანადო წესის გარეშე, გაუმჯობესების მიზნით.

მაგალითად, სახლში გარკვეული რამ გააკეთეთ

კომფორტის შესაქმნელად. მიუხედავად იმისა რომ ეს ფანტასტიურია, მაგალითად, შეგიძლიათ აქ ისხდეთ და აანთოთ სინათლე მთელს თქვენს სახლსა და ბაღში ან გამორთოთ ტელევიზორი, რადგან ეს თქვენთვის გამოიგონეთ, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ გემსახურებათ. რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვეულ ასპექტებში თქვენზე უკეთესია, მაგალითად, შეუძლია ჯდომა და ყველაფრის კონტროლი ხოლო თქვენ, როგორც ადამიანს, ამის გაკეთება არ შეგიძლიათ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის თქვენზე უკეთესია. ის შექმნილია ერთად-ერთი მიზნით - იმისათვის, რომ გემსახუროთ. მიუხედავად იმისა, რომ თქვენზე უკეთესია, ეს ასე არაა. ხომ მართალია? ის ვერასოდეს ვერ გახდება ადამიანი. ის კომპიუტერია.

Q: მეუფე ჩინ ჰაი, მსურს გავიგო - ვინაიდან ახლა სხეული გვაქვს, შესაძლებელია, რომ მანამდე გათავისუფლებულნი ვყოფილიყავით მოცემული სხეულისაგან? ყოველთვის ვიყავით ამ მდგომარეობაში თუ აქამდე უკეთეს მდგომარეობაში ვყოფილვართ, თუ უბრალოდ ამ მდგომარეობაში ვიყავით? რაში გამოიხატება კარგი დამოკიდებულება ან კარგი განწყობა იმისათვის, რომ სწრაფად წავიდეთ წინ?

M: სხეული დავტოვოთ და წინ წავიდეთ? დიახ, შეგიძლია, თუ გვეცოდინება, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ამას. სხეულის უკან ჩამოტოვების და ამ სამყაროს მიღმა გასვლის ბევრი სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ზოგიერთი შორს ვერ მიდის, ზოგი ძალიან შორს მიდის, ზოგი კი-ბოლომდე. ასე რომ, იმ შედარების თანახმად, რომელიც

ახალგაზრდობაში განვახორციელე სხვადასხვა კვლევის შედეგად, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოვიყურები, მაგრამ მაშინ უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ჩვენი მეთოდი საუკეთესოა, დიახ! ის უშორეს, უშორეს ბოლო წერტილს აღწევს.

არსებობს ბევრი სხვა მეთოდიც. თუ მათი გამოცდა გსურთ, შეგიძლიათ ეს განახორციელოთ. ბაზარზე მრავალი ასეთი მეთოდი არსებობს: ზოგიერთი ასტრალურ სამყარომდე აღწევს, ზოგი მესამე ან მეოთხე სამყარომდე, მაგრამ მეხუთე ბევრისთვის მიუწვდომელია. შესაბამისად, ჩვენი მეთოდი და საქმიანობა მდგომარეობს იმაში, რომ გათავისუფლებამდე გადაგიყვანოთ მეხუთე სამყაროში. თქვენ იქ მარტოს გიშვებენ. და ამას მიღმა, მეხუთე სიბრტყეს მიღმა შეგვიძლიათ მივწვდეთ ღმერთის სხვა ასპექტს, თუმცა ეს ყოველთვის სასიამოვნო არაა.

ყოველთვის გგონია, თითქოს ზემოთ უფრო უკეთესია. მაგალითად, მივედით ლამაზ სასახლეში და პატრონის ლამაზ მისაღებ ოთახში შეგვიპატიყეს. იქ ვისხედით და მოგვართვეს გამაგრილებელი სასმელები, ლამაზი საჭმელები და ყველაფერი სხვა. შემდეგ ვიფიქრეთ, რომ სახლის სიღრმეში უნდა შევიდეთ და შევიხედოთ. წავედით სახლის სანაგვე ურნის და ან სხვა მრავალი ადგილის დასათვალიერებლად. ეს ყოველთვის მნიშვნელოვანი არაა. და შემდეგ შევედით ელექტროსადგურში, რომელიც სახლს უკანაა და შემდეგ იქ დენმა დაგვარტყა და მოკვდით. ამიტომ ყოველთვის არ არის საჭირო და არ არის რეკომენდირებული სიღრმეში შეღწევა, მაგრამ ჩვენ ეს გვსურდა, რადგან თავგადასავლის

ძიებაში ვიყავით.

Q: ორი შეკითხვა მაქვს. პირველი შეკითხვა ასეთია: წარსული სიცოცხლის მოგონებები რომ გქონოდათ, რომელი სამყაროდან იქნებოდა ისინი? და მეორე შეკითხვა, როგორ არის დაკავშირებული წარსული სიცოცხლეები ამჟამიდელ კარმასთან და აწმყოში არსებულ ჭკვრეტასთან? ისინი „ზედმეტი ბარგის“ ნაწილია?

M: დიახ, დიახ. ისინი ერთმანეთთან ძალზე მჭიდრო კავშირშია. პირველი შეკითხვა იყო, თუ საიდან მომდინარეობს ეს წარსულის კარმა? შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩანაწერები წარსული სიცოცხლის შესახებ. ხოლო წარსული ჩანაწერები, როგორც უკვე მოგახსენეთ, მომდინარეობს აკაშიკის რეკორდიდან. დიახ. და ეს მეორე სამყაროს გარკვეული ბიბლიოთეკაა, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია. ყველას არ შეუძლია გაეროს ბიბლიოთეკით სარგებლობა. მე კი შემიძლია, როგორც, მაგალითად დღეს, რადგან დაპატიჟებული ვარ გაეროს შეხვედრაზე. ხომ მართალია? ყველას არ შეუძლია შემოსვლა, თუმცა თქვენ შეგიძლიათ, რადგანაც თქვენ აქაური რეზიდენტები ხართ. ამიტომ, მსგავსად ამისა, როდესაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი ხდება მეორე სამყარო, შეგვიძლია წავიკითხოთ წარსული სიცოცხლე. ასევე ჩვენთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს პირველი სამყარო, მისი გარკვეული ნაწილი. შეგიძლია თვალი გადავავლოთ ადამიანის წარსულ სიცოცხლეს. მაგრამ ეს არ არის ძალზე მაღალი დონე და არ არის სრული რეკორდი.

და როგორ არის დაკავშირებული მოცემული

წარსული გამოცდილება კარმასთან? შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული გამოცდილება მივიღეთ, რათა შევეგუოთ ახლანდელ სიცოცხლეს. ის, რაც წარსულში შეისწავლეთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ამჟამინდელ ცხოვრებაში. და, მსგავსად ამისა, წარსულ სიცოცხლეში მომხდარი არასასიამოვნო შემთხვევის გახსენებამ შეიძლება შიში მოგვაროთ იმ შემთხვევაში, თუ ამჟამინდელ ცხოვრებაში დაინახავთ წარსულის გარკვეულ სიმბოლოს. მაგალითად, თუ წარსულ სიცოცხლეში თქვენ შემთხვევით ჩამოვარდით კობიდან, ძალიან დაშავდით, იყავით სიბნელეში და არავინ დაგეხმარათ, ოდნავ შეგეშინდებათ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქვემოთ არის სიბნელე და სიღრმე. თქვენში ორი აზრი ებრძვის ერთმანეთს: ჩავიდე თუ არ ჩავიდე. და თუ წარსულ სიცოცხლეში უკვე შეისწავლეთ და გამოიკვლიეთ გარკვეული მეცნიერული სფერო, ეს ცხოვრებაც ძალზე საინტერესოდ მოგეჩვენებათ. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ახლა მეცნიერი არ ხართ, თქვენ კვლავ გაგაჩნიათ მეცნიერული კვლევის გარკვეული წყურვილი.

ავიღოთ მოცარტი, რომელიც იყო გენიოსი ოთხი წლის ასაკში. ის მივიდა პიანინოსთან და გახდა ცნობილი, ის დღემდე ცნობილია. ის გენიოსი იყო, რადგან ეს გამოიარა მრავალ წარსულ სიცოცხლეში სანამ მეუფეობას არ მიაღწია, მაგრამ ამის შემდეგ გარდაიცვალა. ის გარდაიცვალა მანამდე, სანამ მიაღწევდა კარიერის პიკს და მას არ უნდოდა კარიერის მიტოვება, რადგან უყვარდა მუსიკა. ამიტომ ის დაბრუნდა და უსიკალური ნიჭის გამოცდილება დაუბრუნდა, რადგანაც სიკვდილის დროს მას გაგრძელების დიდი სურვილი ქონდა.

ზოგიერთი მათგანი ბევრს სწავლობს ასტრალურ ან მეორე სამყაროში, სანამ ხელახლა დაიბადება ამ სამყაროში. შესაბამისად, მათ გააჩნიათ ფანტასტიური მეცნიერული, მუსიკალური, ლიტერატურული ან გამოგონების ნიჭი, რომელიც სხვა ადამიანებს არა აქვთ. მათ შეუძლიათ გააკეთონ ისეთი უცნაური აღმოჩენები, რომლებიც სხვა ადამიანებს არ ესმით და რომლებზეც არასოდეს უოცნებიათ, რადგანაც მათ ისინი გამოიარეს და შეისწავლეს.

შესაბამისად, ამ და მიღმა სამყაროში არსებობს ორი სახის მოსწავლეები. ისინი, ვინც არიან ნიჭიერნი და ბრწყინავენ, როგორებიცაა გენიოსები. ისინი არიან მიღმა სამყაროების ექსპერტები, როგორიცაა ასტრალური სამყარო, მეორე სამყარო; ზოგჯერ ისინი არიან მესამე სამყაროდან, თუ მან დაბრუნება გადაწყვიტა. ისინი ბრწყინვალენი არიან. ისინი გენიოსები არიან.

Q: კონკრეტულად რას მოიცავს თქვენი „დაუფლება“ და „დაუფლების“ შემდეგ რა შედის ყოველდღიურ საქმიანობაში?

M: უპირველეს ყოვლისა ავღნიშნავ, რომ ეს არის უფასო და ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე, გარდა იმ მოვალეობისა, რომ უნდა უნდა დაუსვათ თქვენს თავს შეკითხვა: გსურთ თუ არა წინ წასვლა? ასე რომ, არავითარი გამოცდილება არ მოგეთხოვებათ. არ არის საჭირო იოგისა თუ მედიტაციის წინასწარი ცოდნა. მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა დაიცვათ ვეგეტარიანული დიეტა: არ უნდა ჭამოთ კვერცხი; რძე შეიძლება; ყველი შეიძლება; ყველაფერი კარგია, რაც არ მოითხოვს მოკვლას.

კვერცხი არ შეიძლება იმის გამო, რომ კვერცხით კვება საჭიროებს ნახევრად მოკვლას, მიუხედავად იმისა, რომ ის უნაყოფია. მას ასევე გააჩნია უარყოფითი ძალის მიზიდვის გარკვეული უნარი. ამიტომაც შავი და თეთრი მაგიის ბვერი მიმდევარი ან ვუდუს მიმდევრები ე.წ. ვუდუები კვერცხს იყენებენ ეშმაკით შეპყრობილ ადამიანებთან დაკავშირებით. იცოდით ამის შესახებ? (ვილაც პასუხობს დიან) იცით? ფანტასტიურია! ყოველ შემთხვევაში, ნირვანას ახლავე თუ არ მოგანიჭებთ, შემიძლია ახლავე მოგიყვანოთ მტკიცებულება. (სიცილი)

„დაუფლებისას“ თქვენ საკუთარ თავზე გამოცდით სინათლეს და ღმერთის ხმას. სულის მუსიკა გიხმობთ ცნობიერების უფრო მაღალ დონეზე. თქვენ გაიგებთ სამადჰვის გემოს - დიდ სიმშვიდეს და სიხარულს. და ამის შემდეგ ყოველივე ამას შინ გააგრძელებთ, თუ კი ეს სერიოზულად გასურთ. თუ არ გასურთ, მე ვერ დაგამალებთ, თავს ვერ მოგაწყენთ. თუკი გააგრძელებთ და განუწყვეტლივ ისურვებთ ჩემს დახმარებას, მაშინ გავაგრძელებ. თუ არ ისურვებთ - მაშინ ეს ასეც იქნება. და ასევე უნდა გაიაროთ დღეში ორსაათნახევრიანი მედიტაცია. დილით ადრე გაიღვიძებთ, ძილის წინ გაიარეთ ორსაათიანი მედიტაცია; და ასევე დაახლოებით ნახევარი საათი- ლანჩის დროს. დავუშვათ, გაქვთ ერთსაათიანი ლანჩი და აქ არ ვარ და ვერ გესაუბრებთ. შეგიძლიათ სადმე დაიმალოთ და მედიტაცია გაიაროთ. ეს უკვე საათი გამოდის. და საღამოსაც ერთი ან ნახევარი საათი მედიტაციაში გაატარეთ. დილით ერთ საათით ადრე გაიღვიძეთ.

მოაწესრიგეთ თქვენი ცხოვრება, ნაკლებად უყურეთ

ტელევიზორს, ნაკლებად იჭორავეთ, ნაკლები ისაუბრეთ ტელეფონით, ნაკლები გაზეთები იკითხეთ და მაშინ მეტი დრო გექნებათ. დიახ, ეს მართალია, ბევრი დრო გვაქვს, მაგრამ ფუჟად ვხარჯავთ. დიახ, როგორც იმ მაგალითში, როდესაც მანქანას ტყვილად ვატარებთ ჩვენს ეზოში ღონე აილენდში წასვლის ნაცვლად. დიახ. კმაყოფილი ხართ? (შეკითხვის ავტორი: დიახ!) ცხოვრების მანძილზე ამ საქმეს უპირობოდ უნდა დაუთმოთ თქვენი დრო და ყოველ დღე იხილავთ ცვლილებებს უკეთესისკენ. ცხოვრებაში იხილავთ სასწაულებს. იმიტომ კი არა, რომ ეს გასურთ. ეს თავისით მოხდება. და მაშინ ნამდვილად გამოცდით, თუ რა არის სამოთხე დედამიწაზე, თუკი ეს სერიოზულად გაინტერესებთ. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, თუ რატომ მყავს დღემდე ასობით ათასი მიმდევარი. ისინი სულ უფრო მეტ კარგ გამოცდილებას იძენენ, რადგან ამ საქმეს სერიოზულობით ეკიდებიან.

Q: გთხოვთ აგვიხსნათ ცნობიერების ბუნება.

M: კარგით, ცნობიერების ბუნება. ამის ახსნა ძნელია, მაგრამ შეგიძლიათ ფანტაზია მოიშველიოთ. ეს გარკვეული სიბრძნეა, ის, რაც გაცილებით უკეთ იცით, ვიდრე ადრე. დიახ, თქვენ იცით ის, რაც არის ამ სამყაროს მიღმა და იცით, რა არის ამ სამყაროში, იცით, რაც აქამდე თქვენთვის უცნობი იყო და ბევრი რამ გესმით, რაც მანამდე არ გესმოდათ.

ასევე, როდესაც გაგეხსნებათ მოცემული ცნობიერება ანუ ე.წ. სიბრძნე, ნამდვილად მიხვდებით თუ ვინ ხართ, რატომ ხართ აქ და ჩვენს გარდა, მიწიერ ადამიანებს გარდა კიდევ რა ან ვინ არის სამყაროს მიღმა. არსებობს ბევრი რამ.

ამიტომ ცნობიერების დონე გულისხმობს გაგების სხვადასხვა დონეებს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების მსგავსად: რაც უფრო მეტს სწავლობთ, მეტს იცებთ, სანამ არ დაამთავრებთ სასწავლებელს.

ძნელია აბსტრაქტულის ახსნა, მაგრამ მე ეს ვცადე. ეს გარკვეული ცოდნაა. ძნელია ცოდნის ახსნა. როდესაც გადადიხართ ცნობიერების სხვა, უფრო მაღალ დონეებზე, თქვენი ცოდნა განსხვავებულია. ყველაფერი სხვანაირად გესმით, ყოველივეს სხვაგვარად შეიგრძნობთ. თავს აბსოლუტურად მშვიდად, წყნარად, ბედნიერად გრძნობთ. არაფერი გაღელვებთ და თქვენი ყოველდღიური ცხოვრება სრულიად გასაგებია თქვენთვის. იცით, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოთ ესა თუ ის საკითხი და როგორ უნდა მიხედოთ პრობლემებს. ამას უკვე სარგებელი მოაქვს ფიზიკურ დონეზე. ხოლო თუ რას გრძნობთ შინაგანად, ეს მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი. ამის ახსნა ძნელია. როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც იმ გოგონაზე ხართ დაქორწინებული, რომელიც გიყვართ- თქვენი გრძნობების შესახებ მხოლოდ თქვენ იცით.

Q: პატივცემულო მეუფე, გმადლობთ იმ ცოდნისათვის, რაც მოგვეცით. საინტერესოა, შეგიძლიათ თუ არა ამიხსნათ ჩემი სინდისი. რატომ გვამღევეს მრავალი ამქვეყნიერი მეუფე სწრაფად სწავლის საშუალებას, მაშინ როდესაც წარსულში ეს ძნელი იყო? თუ შეიძლება, აგვიხსენით.

M: დიახ, რა თქმა უნდა. იმის გამო, რომ ამჟამად კომუნიკაცია უკეთესია, მეტი ვიცით მეუფეების შესახებ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარსულში მეუფეები არ არსებობდნენ

ან მიუწვდომელნი იყვნენ. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მეუფე უფრო მისაწვდომია ვიდრე სხვები. ეს დამოკიდებულია მის არჩევანზე, მის სურვილზე გასცეს, მის ადამიანებთან მსგავსებაზე. მაგრამ ჩემს ასაკში ყოველთვის არსებობს ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი მეუფე. ეს დამოკიდებულია დროის მოთხოვნებზე. ჩვენთვის უფრო ნაცნობია სხვადასხვა მეუფის ცოდნა, მეუფეთა სხვადასხვა დონეები, რადგანაც ამჟამად, საბედნიეროდ, გაგვაჩნია მედია, ტელევიზია, რადიო გადაცემები, და წიგნები, რომლებიც იბეჭდება მილიონობით, ასეულ მილიონობით.

ძველად თუ წიგნის დაბეჭდვა გვინდოდა, უნდა მოგვეჭრა მთელი ხე და დაგვეჩეხა ძალზე პრიმიტიული ნაჯახებით, რომლებიც სწრაფად ფუჭდებოდნენ და სხვა დროს მათ ვეღარ გამოვიყენებდით. უნდა გაგვეპრიალებინა ქვებით და სხვადასხვა საშუალებით და უნდა ამოგვეკვეთა სათითაოდ ყოველი სიტყვა. ამასთანავე, მთელი ბიბლიის გამოქვეყნებას დასჭირდებოდა მთელი ესკორტი, რამდენიმე დატვირთული სატვირთო მანქანა. თუ კი, რა თქმა უნდა, იმ დროს ასეთები არსებობდა.

ასე რომ, ძალზე გაგიმართლათ, რადგანაც შეგიძლიათ მაღაზიაში შეიძინოთ და აირჩიოთ რაც გსურთ. ამიტომ ვერავინ მოგატყუებთ და შეგიძლიათ თქვათ: „მე საუკეთესო ვარ. დიახ, ამიტომაც თქვენ ძალზე გაგიმართლათ, რადგანაც შეგიძლიათ მაღაზიაში შეხვიდეთ და აირჩიოთ რაც გსურთ. ამიტომ ახლა ვერავინ მოგატყუებთ და ვერ იტყვის: „მე საუკეთესო ვარ.“ დიახ, თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ და გამოიყენოთ საკუთარი სიბრძნე, ჭკუა და განსაჯოთ: „ოჰ, ეს უკეთესია.“ „ყდა

საშინლად გამოიყურება.” ,ოჰ, ეს უშნოა.” (სიცილი)

Q: რადგანაც მალაზიის შესახებ ისაუბრეთ, მისცემთ თ არა „დაუფლების” საშუალებას მას, ვინც „დაუფლება” გაიარა სხვა მეუფესთან?

M: ამას გავაკეთებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ადამიანს ნამდვილად სწამს, რომ მე უფრო სწრაფად და ნამდვილად გადავიყვან უფრო მაღალ დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში უკეთესი იქნება, თუ ის საკუთარ მეუფესთან დარჩება თუ კი ასე უყვარს თავისი მეუფე და თუკი მას ესოდენ სჯერა მისი. თუ გწამთ, რომ თქვენი მეუფე საუკეთესოა, უმჯობესია, თუ მას არ შეიცვლით. თუ კიდეც ეჭვი გეპარებათ, და თუ ჯერ კიდეც არ იხილეთ სინათლე და არ გაიგონეთ ხმა, რომლებიც ზემოთ ვახსენე, მაშინ ეს უნდა სცადოთ. დიახ, რადგან სინათლე და ხმა ნამდვილი მეუფის საზომია. იმ შემთხვევაში თუ მას არ შეუძლია დაუყონებლივ მოგვაროთ სინათლე და ხმა, უკაცრავად, მაგრამ ის არ არის ნამდვილი მეუფე. სამოთხისკენ გზა სინათლით და ხმით მოფენილია.

მაგალითად, როდესაც ზღვაში საყვინთავად მიემართები, უნდა აღიჭურვოთ ჟანგბადის ნიღბით და ყოველივე საჭირო საშუალებით. მოცემული მიზნისთვის ბევრი რამ არსებობს. ამიტომაც ყველა წმინდანს შარავანდედით მოსილს ხედავთ. ეს სინათლეა. როდესაც ამ მეთოდს მისდევთ, იმავე სინათლეს ასხივებთ, რომელსაც გამოსახავენ იესო ქრისტეს ხატებზე. ადამიანებს უჩვეულო უნარები გააჩნიათ, მათ შეუძლიათ დაინახონ თქვენი სინათლე. ამიტომაც ისინი იესოს შარავანდედით, ხოლო

ბუდას- სინათლით მოსილს ასახავენ. თუ გახსნილები იქნებით, დაინახავთ ამ სინათლით შემოსილ მოწაფეებს, რომლებიც უფრო მაღალ დონეზე იმყოფებიან. (მეთუფე მიუთითებს თავის სიბრძნის თვალზე). ბევრს შეუძლია ამის დანახვა. აქ მყოფთ თუ შეგიძლიათ ამის დანახვა? რა დაინახეთ?

Q: მე ვხედავ აურებს...

M: დიახ, მაგრამ აურები სინათლისაგან განსხვავდება. ისინი სხვადასხვა ფერისაა. ზოგჯერ შავია, ზოგჯერ ყავისფერი, ზოგჯერ ყვითელი ან წითელი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტემპერამენტი გააჩნია მას ამ დროს. მაგრამ როდესაც ხედავთ ძლიერი სულიერი აურის მქონე პიროვნებას, იცით, რომ ის განსხვავებულია. ხომ ასეა?

Q: შეკითხვა არ მაქვს. უბრალოდ ცოტა ხნის განმავლობაში დაკავებული ვიყავი რაჯა იოგით. და მეც მეგონა, რომ აურებს ვხედავდი. მე ვგულისხმობ, რომ იმ დროს არასაკმარისი ცოდნა მქონდა.

M: და ახლა აღარ ხედავთ? მხოლოდ ზოგჯერ ხედავთ?

Q: არა, ახლა მედიტაციას აღარ ვეწევი.

M: ამიტომაც დაკარგეთ თქვენი ძალა. კვლავ უნდა დაიწყოთ მედიტაცია. თუ ჯერ კიდევ ამ გზის გწამთ, უნდა განაგრძოთ მედიტაცია. ის გარკვეულწილად დაგეხმარებათ. არ გავენებთ. კარგიო?

Q: თქვენს ბუკლეტში წავიკითხე, რომ არსებობს ხუთი მცნება. „დაუფლების“ შემდეგ მოცემული ხუთი მცნების თანახმად უნდა ვიცხოვროთ?

M: დიახ, დიახ, დიახ. ეს სამყაროს კანონებია.

Q: არ მესმის, რას ნიშნავს „მრუშობა.“

M: ეს იმას ნიშნავს, რომ თუ უკვე ქმარი გყავთ, მეორეზე ნულარ ფიქრობთ (სიცილი) ეს ძალზე მარტივია. იცხოვრეთ უფრო მარტივი ცხოვრებით, ნუ გაირთულეხთ საქმეს და ნუ ჩხუბობთ ემოციების გამო. დიახ. ეს სხვა ადამიანებისთვის გულსატკეპია. ჩვენ ადამიანებს არ ვავნებთ. ემოციურადაც კი. საქმე ამაშია. ვცდილობთ მოვერიდოთ კონფლიქტებს, ნებისმიერი ადამიანის, განსაკუთრებით ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების ემოციურ, ფიზიკურ, გონებრივ ტანჯვას, სულ ესაა.

თუ უკვე გყავთ ასეთი, ნუ ეტყვით ამის შესახებ თქვენთვის ძვირფას ადამიანს. უფრო მტკივნეულია, როდესაც ეუბნებით. წყნარად და ნელ-ნელა გადაჭერით მოცემული საკითხი და ნუ გამოუტყდებით მას. რადგანაც ზოგჯერ ადამიანებს გონიათ, რომ რადგანაც მათ გააჩნიათ სასიყვარულო ურთიერთობა, და შემდეგ სახლში წავლენ და გამოუტყდებიან ცოლს ან ქმარს, ეს ძალზე ბრძნული და პატიოსნური საქციელია. ეს აბსურდულია, ცუდია. უკვე შეცდომას ჩადიხართ, როდესაც სახლში ნაგავი შემოგაქვთ იმისათვის, რომ სხვა ადამიანები ამით დატკბნენ. თუ მას არ ეცოდინება ამის შესახებ, ეს არ იქნება მისთვის ესოდენ მტკივნეული. ცოდნა მტკივნეულია. ამიტომაც ვცდილობთ მოცემული პრობლემის აღმოფხვრას ისე, რომ აღარ განმეორდეს და სულ ესაა. უკეთესია პარტნიორს ამის შესახებ არ ვესაუბროთ, რადგანაც ეს მას გულს სტკენს.

Q: შევამჩნიე, რომ მრავალ სულიერ მოძღვარს გააჩნია იუმორის დიდი გრძნობა. რა დამოკიდებულებაა იუმორის გრძნობასა და სულიერ მოღვაწეობას შორის?

M: ვფიქრობ, ისინი ბედნიერად გრძნობენ თავს და მათ ყველაფერი ახარებთ. შეუძლიათ დასცინონ საკუთარ თავს და დასცინონ სხვებს; იცინონ ცხოვრების აბსურდულ მხარეებზე, რასაც ბევრი ესოდენ დიდი სერიოზულობით ეკიდება და რაზეც დარდობს.

მოცემული საქმიანობის შემდეგ „ვეშვებით“ და აღარ ვართ სერიოზულები. თუ ხვალ მოვკვდებით, დაე ასეც იყოს. თუ ვიცოცხლებთ, დაე ვიცოცხლოთ. თუ ყველაფერს დავკარგავთ, დაე დავკარგოთ. თუ ყველაფერი გვაქვს, დაე ყველაფერი გვქონდეს. ჩვენ საკმაო სიბრძნე და უნარები გაგვაჩნია, რათა ნირვანას მიღწევის შემდეგ საკუთარ თავს მივხედოთ ნებისმიერ ვითარებაში. ასე რომ, არაფერი გვაშინებს. ვკარგავთ შიშის გრძნობას, აღარ ვღელავთ. ამიტომაც მშვიდად ვართ. ვგრძნობთ ამ სამყაროსთან კავშირს. ის, რასაც მოვიპოვებთ, ან დაკვარავთ, აღარ არის მნიშვნელოვანი. თუ ბევრ რამეს შევიძენთ, ეს ადამიანებს მხოლოდ არგებს. ჩვენ ამდენ ბრძოლას გავდივართ იმისთვის, რომ სარგებელი მოვუტანოთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს. სხვამხრივ ჩვენი თავი თუ ჩვენი ცხოვრება არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ღირდეს ამდენი ბრძოლის და ტანჯვის გადატანა. თუ მას შევინარჩუნებთ, კარგია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი დღე საწოლში ვისხდებით მედიაცილაში. თუმცა ჩვენ ნამდვილად ვმუშაობთ.

მაგალითად, მე კვლავ ვმუშაობ. ვხატავ და ჩემს ხელობას შემოსავალი მოაქვს. ამიტომ არ მჭირდება

არსაიდან ფულის შოვნა. ჩემი შემოსავალი საშუალებას მაძლევს დავეხმარო ადამიანებს. შემიძლია დავეხმარო ლტოლვილებს, კატასტროფების მსხვერპლს და სხვ. რატომ არ უნდა ვიმუშავოთ? მაგრამ იმდენი ნიჭი და უნარი გაგვაჩნია და ჩვენთვის ნირვანას მიღწევის შემდეგ ცხოვრება იმდენად იოლია, რომ გასაგებია: ნერვიულობა არ ღირს. ბუნებრივად ვმშვიდდებით. ასე იბადება იუმორის გრძნობა. ვფიქრობ, ეს ასე ხდება.

როგორ ფიქრობთ, მაქვს იუმორის გრძნობა? (მსმენელები; დიახ)(სიცილი და ტაშის კვრა) მაშინ ესე იგი გარკვეული მეუფე ვარ? (სიცილი) მოდით ვიმედოვნოთ, რომ ეს ასეა, რათა ორი საათის განმავლობაში არ უსმინოთ იმ ადამიანს, რომელსაც არ მიუღწევია ნირვანამდე და დრო არ დაკარგოთ.

Q: ჩვენ, მამიებელი სულის მქონე ადამიანები, ყოველთვის ვსვავთ შეკითხვებს, ვიგებთ თეორიებს და ისტორიებს. და მსურს გავიგო თქვენი აზრი. პირველი ასეთი შეკითხვაა: ვინ ვართ ჩვენ? ვინ ვარ მე? და როგორ მოვხვდი იმ ძნელ მდგომარეობაში, როდესაც უნდა დავბრუნდე „სახლში“? როგორ დავტოვე „სახლი“ და რატომ არის მნიშვნელოვანი შინ დაბრუნება? და თუ შეიძლება, მოგვიყევით მეხუთე სამყაროში დაბრუნებაზე. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ კიდევ უფრო წინ გადავინაცვლოთ. მაგრამ თუ ამაზე შორი რამ არსებობს, მაშინ რა არის ამის მიზანი? რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას ჩემთან, თუ იქ არ მიწევს დაბრუნება?

M: ახლა ყოველივე უფრო იუმორისტულ ელფერს იძენს

(სიცილი და ტაშის კვრა) კარგით. „ვინ ვარ?“ კითხვასთან დაკავშირებით შემიძლია წავიდე და ვკითხო მეუფე „ძენს“ რომელიც ნიუ-იორკის სტატშია. შეგიძლიათ ყვითელ ფურცლებში ჩაიხედოთ და იპოვოთ (სიცილი) მე არ ვარ ამის სპეციალისტი.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, „რატომ ხართ აქ?“ ალბათ, იმიტომ რომ აქ მოგწონთ. თორემ ვინ დაგამალბებთ აქ ყოფნას, თუკი ღვთის შვილები ვართ? ე.წ. ღვთის შვილები თვით ღმერთთან მსგავსებას ავლენენ, ხომ ასეა? უფლისწული მეფეს ან მომავალ მეფეს გავს. ამიტომ თუ მას სადღაც მოსწონს ყოფნა, ის იქ იქნება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვაქვს ავირჩიოთ ვიყოთ სამოთხეში თუ სადღაც სხვაგან გამოცდილების მისაღებად. ამიტომაც, ალბათ, აირჩიეთ აქ ყოფნა დასაწყისში, მრავალი წლის წინ, იმისათვის, რომ გესწავლათ რაღაც, რაც იქნებოდა თავგადასავლით აღსავსე, რაღაც უფრო საშიში. ზოგს უყვარს ხიჯათი.

მაგალითად, უფლისწული შეიძლება იყოს სასახლეში, მაგრამ ასევე შეუძლია იხეტიალოს ჯუნგლებში რადგანაც მას უყვარს ბუნების შესწავლა. ეს შეიძლება ასე იყოს. შეიძლება მოგვწყინდეს, ისე მოგვწყინდეს სამოთხეში, რადგანაც იქ ყველაფერს მზა-მზარეულს კარებთან მოგვართმევენ და შეიძლება მოვისურვოთ საკუთარი ძალებით რაიმეს გაკეთება. მაგალითად, სასახლეში ზოგჯერ თავად სურთ საჭმლის მომზადება და არ უნდათ მსახურთა დახმარება. და ისინი ითხვრებიან კეტჩუპსა და ზეთში, მაგრამ ეს მოსწონთ. ეს სასახლეს არ შეეფერება, მაგრამ მოსწონთ.

მაგალითად, მყავს ადამიანები, რომლებიც მანქანით მატარებენ. სადაც არ უნდა მივიდეთ, ყველას სურს იყოს ჩემი მძღოლი. მაგრამ ზოგჯერ თვითონ მიყვარს ტარება. დავდივარ ჩემი პატარა სამთვალა უკვამლო მოტოციკლით ათი კმ/სთ სიჩქარით. ასე მიყვარს სიარული. რადგანაც სადაც არ უნდა მივდიოდეთ, ადამიანები მცნობენ. ასე რომ ზოგჯერ იქ მიყვარს სიარული, სადაც არავინ მიცნობს. ძალზე მორცხვი ვარ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლექციაზე გამოსვლა მიხდება, რადგანაც ეს გარკვეული მოვალეობა გახდა. ვინაიდან ადამიანებმა მიპოვეს და დღემდე ცნობილი ვარ. არ შემიძლია ხშირად გაგეცეთ, მაგრამ ზოგჯერ ვიპარები ორი-სამი თვით. როგორც განებივრებული ცოლი, რომელიც თავის ქმარს გაურბის. და ჩემი არჩევანიც ასეთია.

ასე რომ, შესაძლებელია აქ გირჩევნიათ ცოტა ხნით ყოფნა. და შეიძლება ახლა წასვლა გსურთ, რადგან საკმარა რამ ისწავლეთ ამ სამყაროში, გრძნობთ, რომ ადარაფრის შესწავლის სურვილი არა გაქვთ და დაიღალეთ მოგზაურობით. დასვენება გსურთ. წადით „სახლში“ და პირველ რიგში დაისვენეთ. შემდეგ მიხვდებით, გსურთ თუ არა განაგრძოთ თავგადასავლით აღსავსე მოგზაურობა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

და რატომ უნდა წახვიდეთ „სახლში“? რატომ მეხუთე და არა მეექვსე დონე? ეს თქვენზეა დამოკიდებული. მეხუთე დონის შემდეგ შეგიძლიათ სადაც გენებოთ, იქ წახვიდეთ. კიდევ ბევრი უფრო მაღალი დონე არსებობს. მაგრამ უფრო კომფორტული, უფრო ნეიტრალურია დარჩეთ აქ. ზევით ასვლა უფრო მეტ სიმღიერეს მოითხოვს. შეიძლება გარკვეულ ხანს იაროთ, მაგრამ დასვენება არ

ისურვოთ.

მაგალითად, თქვენი სახლი ლამაზია, მაგრამ სახლს გააჩნია გარკვეული დასვენების ოთახები, რომლებშიც მუდამ დასვენება არ გასურთ, თუმცა ისინი თქვენს სახლს მიღმაა. ეს ოთახები თითქოს გორაზეა და უფრო ზემოთ, უფრო ლამაზია, მაგრამ ეს დასასვენებელი ადგილი არაა. ან და, დავუშვათ, თქვენი სახლის ელექტრომომარაგების ნაწილში დგას ხმაურიანი, ცხელი, საშიში გენერატორი. ამიტომ იქ ყოფნა არ გასურთ, მიუხედავად იმისა, რომ ის თქვენს სახლს საკმაოდ ეხმარება. სულ ესაა.

არსებობს ღმერთის მრავალი ასპექტი, რომელიც ვერ წარმოგვიდგენია. ყოველთვის ვფიქრობთ, რომ რაც უფრო მაღლა ავალთ, ის უფრო მოსიყვარულე იქნება. მაგრამ არსებობს სიყვარულის სხვადასხვა სახეობა. არსებობს ბოხოქარი სიყვარული, ძლიერი სიყვარული, საშუალო სიყვარული. ასე რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი შეგვიძლია ავიტანოთ. ღმერთი სიყვარულის სხვადასხვა დონეს გვანიჭებს. ხომ ასეა? ღმერთისგან გაგვაჩნია სხვადასხვა დონე, სიყვარულის სხვადასხვა ხარისხი. მაგრამ ზოგჯერ ის ძალზე ძლიერია. თავს ისე ვგრძნობთ თითქოს ნაკუწებად ვირღვევიო.

Q: ვხედავ, რომ ჩემს გარშემო უდიდესი ნგრევაა - გარემოს განადგურება. ცხოველებს სასტიკად ეპყრობიან. როგორ აღიქვამთ ყოველივე ამას და რა შეგიძლიათ ურჩიოთ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ამ სამყაროსაგან სულიერ გათავისუფლებას? როგორ უნდა შეეგუონ ისინი გარემოს და მათ გარშემო მიმდინარე განადგურებას? და როგორ

ფიქრობთ, ამ სამყაროს მიღმა გასვლა საკმარისია იმისათვის, რომ ვაღიაროთ ჩამორჩენა თუ მიგაჩნიათ, რომ ამ სიბრტყეში ჩვენ გვავალია ტანჯვის შემსუბუქება? და გამოიღებს თუ არა ეს დადებით შედეგს?

M: დიახ, ეს დადებით შედეგს გამოიღებს. სულ მცირე, ჩვენთვის, ჩვენი სინდისისათვის, იმისათვის, რომ შევიგრძნოთ, რომ რაღაცას ვაკეთებთ და ყველა ღონე ვიხმარეთ ჩვენი მეგობარი არსებების ტანჯვის შესამსუბუქებლად. მეც იგივეს ვაკეთებ. რაც არ უნდა მთხოვოთ, მე ამას ვაკეთებ, ვაკეთებდი, ვაკეთებ და გავაკეთებ.

უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენს საფინანსო სახსრებს ვუნაწილებთ სხვადასხვა ორგანიზაციებს, ზოგჯერ სხვადასხვა ქვეყნებს, როდესაც ისინი უბედურებაში არიან. და არ მინდა თავის ქება, მაგრამ ვინაიდან მკითხეთ, მაგალითისათვის გეტყვით, რომ შარშან ფილიპინებს დავეხმარეთ პინატუბოსთან დაკავშირებით. და ასევე დავეხმარეთ აუ ლაკის და ჩინეთის წყლდილობის შედეგად დაზარალებულებს და ა.შ. ვცდილობთ დახმარება გავუწიოთ აუ ლაკის ლტოლვილებს გაეროს ტვირთთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ გაეროს დახმარება სურს. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ. ვეხმარებით ფინანსურად და ასევე, თუ ამის ნებას დაგვრთავს გაერო და გაეროს მხარდაჭერით, ხელს შევუწყობთ მათ განსახლებას.

ასე რომ, ვაკეთებთ ყოველივე იმას, რასაც ითხოვთ და ვინაიდან აქ ვართ, ასევე ვცდილობთ რაც შეიძლება მეტად შევუწყოთ ხელი გარემოს გასუფთავებას. ჩვენ ვეხმარებით დატანჯულებს და მსოფლიოს მორალური

სტანდარტების ამალგებას. როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. დიახ, რადგან ზოგიერთ ადამიანს არ სურს ჩემი სულიერების გაზიარება. მათ მხოლოდ ფიზიკური დახმარება სურთ. ასე რომ, ვებმარებით სულიერად და ფიზიკურად. ამას ვაკეთებთ. ამიტომ მჭირდება ფულის შოვნა. ამიტომ არ მსურს ადამიანების შემოწირულობებით ცხოვრება.

ყველა ჩემს ბერსა და მოწაფეს თქვენსავით მუშაობა სჭირდება. და, გარდა ამისა, ასევე სულიერ დახმარებას გაცემთ; მსოფლიოს ვებმარებით ტანჯვის შემსუბუქებაში. ეს უნდა გავაკეთოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი დღე სამადჰიში უნდა ვისხდეთ და ვტკბებოდეთ. ეს ძალზე ეგოისტური ბუდაა (ნირვანას მიღწეული არსება). ასეთი აქ არ გვჭირდება (სიცილი).

Q: თქვენ საუბრობთ ისეთი დონის შესახებ, რომელზედაც ადამიანს სჯერა მისი სიძლიერის და იმისა, რომ ის გათვითცნობიერებულია. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ გათვითცნობიერებული ხართ უნარებთან დაკავშირებით, მაგრამ არ იცით იმის შესახებ, რომ ისინი გაგაჩნიათ? შეიძლება გრძნობდეთ, თითქოს იცით. როგორ არის ეს თქვენთვის მისაწვდომი ან მიუწვდომელი? თუ მიუწვდომელია, როგორ არ იწვევს სულმოუთმენლობასის პროცესი, რომელიც თქვენს გარშემო მიმდინარეობს, როდესაც პროცესი ნელა, მდორედ გრძელდება, როდესაც იცით, რომ მისი სწრაფად გადასაწყვეტად შეგიძლიათ ილოცოთ ან რაიმე სხვა იღონოთ. რას ნიშნავს ეს და როგორ ხდება ეს მისაწვდომი? გასაგებად მოგახსენეთ?

M: დიახ, ჩემთვის გასაგებია. თქვენ იმას გულისხმობთ, რომ როდესაც რაიმეს შეცვლის უნარი გაგაჩნიათ, ხოლო ეს ხდება ბიუროკრატიულად და ნელა, როგორ უნდა მოითმინოთ ყოველივე ეს? ხომ ასეა? თუ უნდა ილოცოთ, რაიმე ჯადოსნურ ზომებს მიმართოთ ან თითი დააჭიროთ? ხომ ასეა? არა, მე მაქვს მოთმინება, რადგან უნდა ვიმუშავოთ ამ სამყაროს ტემპით რათა თავიდან ავაცილოთ ქაოსი.

მაგალითად, ბავშვს არ შეუძლია სირბილი. თქვენ კი გეჩქარებათ ან გინდათ გაიქცეთ, მაგრამ ამ დროს თქვენი ბავშვი წაბორძიკდება და დავარდება. ამიტომ უნდა გვკონდეს მოთმინება. მიუხედავად იმისა, რომ სირბილის უნარი გაგაჩნია, ჩვენ ბავშვთან ერთად მივაბიჯებთ, დიახ. ამიტომ ზოგჯერ იმედგაცრუებული ვარ და სულმოუთმენელი, ვინაიდან საკუთარ თავს უნდა ვასწავლო მოთმინება. ამიტომ უნდა წავიდე და თავი დავხარო ერთი ან მეორე პრეზიდენტის წინაშე ლტოლვილების გამო, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფინანსური დახმარება გვსურს. ჩვენ ყველაფერს გავცემთ, რაც გაგაჩნია, ყველაფერს, მილიონობით, მილიარდობით დოლარს. უნდა გავიაროთ ბიუროკრატიული სისტემა. მიეცით კეისარს კეისრისა.

არ ვაპირებ საკუთარი ძალის გამოყენებას ან გაეროსკენ თითის გაშვებას და არ ვაიძულებ გაქცევას. არა. ჩვენ რომ სულიერი, სასწაულებრივი ძალა გამოვიყენოთ, მსოფლიო კატასტროფებს გამოვიწვევთ. უნდა იყოს ისე, როგორც არის. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ადამიანების ცნობიერების ამაღლება მათი სულიერი განკურნვის, მათთვის სულიერი სიბრძნის მინიჭების გზით. ჩვენ ვუზიარებთ ცოდნას, რათა მათ ჩვენთან ითანამშრომლონ. ეს

ყველაზე საუკეთესო გზაა, რათა არ გამოვიყენოთ სასწაულებრივი ძალა. ჩემს სიცოცხლეში მიზანდასახულად არასოდეს გამომიყენებია ჯადოსნური ძალა. მაგრამ სულიერი სწავლების მიმდევართა თავს ხშირად ხდება სასწაული. ეს ძალზე ბუნებრივია, მაგრამ ეს მიზანდასახულად არ ხდება. არაფერს არავის არ ვაძალებთ. დიახ, ეს ცუდი იქნებოდა. ბავშვს ხომ სირბილი არ შეუძლია. მართალია? დაგაკმაყოფილათ ჩემმა პასუხმა?

გთხოვთ, მაცნობოთ, თუ რომელიმე პასუხი არ გაკმაყოფილებთ, რადგანაც შემიძლია ავსხნა. მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალზე ჭკვიანები ხართ- ქვეყნების ყველაზე რჩეული და ჭკვიანი ადამიანები. შესაბამისად, ბევრი ახსნა-განმარტება არ მჭირდება.

კარგია, რომ გაგვაჩნია გაერო. დიახ. ჩვენ თავიდან ვიცილებთ მსოფლიო კონფლიქტებს და ომების უმეტესობას, თუმცა არ შეგვიძლია მათი სრულ მინიმუმამდე დაყვანა. თუმცა მე ვკითხულობ წიგნებს გაეროს შესახებ. გაეროს ყველა წევრის შესახებ. და თვალს ვადევნებ გაეროს მიერ შესრულებულ ზოგიერთ სამუშაოს. მე ვაფასებ გაეროს მცდელობას და მის ეფექტურ მუშაობას მძევალთა გათავისუფლებისათვის, როდესაც მათ სხვა ადამიანები ვერ შველიან, მსოფლიოს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შველის, და ამ დროს მათ იხსნის გაეროს ერთი კომისარი. დიახ. იგივე შეეხება სხვა საკითხებსაც კატასტროფების შედეგებთან, ლტოლვილთა პრობლემებთან დაკავშირებით.

გყავთ დაახლოებით თორმეტი მილიონი ლტოლვილი. რა თქმა უნდა ეს პასუხისმგებლობაა და დიდი სამუშაო. ასევე თქვენ გეხებათ ომები და ა.შ. ამიტომ დიახ,

კარგია რომ არსებობს გაერო. დიახ, ეს ძალიან კარგია.

Q: გმადლობთ, მეუფევე ჩინ ჰაი იმისათვის, რომ გვიზიარებთ თქვენს სიბრძნეს. ასეთი შეკითხვა მაქვს. ის შეეხება მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ესკალაციას და ყოველივე ამის თანმხლებ პრობლემას, გარემოს დაბინძურებას და სურსათზე მოთხოვნილების ზრდას. გსურთ რაიმე გვითხრათ მსოფლიო მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით? ეს მსოფლიოს კარმაა? თუ ეს გარკვეულ კარმას შექმნის მომავალში?

M: ამ სამყაროში რაც მეტი ადამიანი იქნება, მით უკეთესია. რატომაც არა? მეტი ხალხი იქნება, მეტი ხმაური, მეტი მხიარულება. არა? (სიცილი) ზედმეტი მოსახლეობა ნამდვილად არ გყავს. ჩვენ მხოლოდ არათანაბრად ვართ განაწილებულები. ხალხი თავს იყრის მსოფლიოს გარკვეულ ადგილებში და სხვაგან გადასახლება არ სურს. სულ ესაა. აუთვისებელი მიწა ბევრია. მრავალი კუნძული, პლატო დაფარულია მხოლოდ მწვანე ტყეებით და იქ სხვა არაფერია. მაგალითად, ხალხს უყვარს ნიუ-იორკში თავმოყრა (სიცილი), რადგანაც იქ მეტი გართობაა. მთავრობას რომ შეეძლოს სხვადასხვა ადგილებში სამუშაო ადგილების და მრეწველობის შექმნა, ხალხი იქ წავიდოდა სამუშაოდ და საცხოვრებლად. ისინი თავმოყრილნი არიან გარკვეულ ადგილებში, ვინაიდან იქ უფრო ადვილია სამუშაო ადგილის შოვნა და მეტი უსაფრთხოებაა. თუ სხვა ადგილებშიც იქნება უსაფრთხოება და სამუშაო პერსპექტივა, ადამიანები იქაც წავიდოდნენ. ისინი იქ წავიდოდნენ უსაფრთხოებისათვის, საცხოვრებლად. ეს ბუნებრივია.

ამიტომ არ უნდა გვაშინებდეს მოსახლეობის რიცხვის ზრდა. უნდა ვიყოთ უფრო ორგანიზებულნი იმისათვის, რომ მსოფლიოს მოსახლეობას ქონდეს მუშაობის საშუალება, საცხოვრებელი პირობები და უსაფრთხოება.

ხოლო რაც შეეხება თქვენს შეკითხვას საკვებთან დაკავშირებით, ეს უკეთესად უნდა იცოდეთ, რადგან ამერიკაში გაგვარჩნია ესოდენ დიდი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადავარჩინოთ მსოფლიო. მსოფლიოს რესურსების შესანარჩუნებლად, მსოფლიოს მოსახლეობის კვებისათვის ყველაზე საუკეთესო იქნება ვეგეტარიანული დიეტა, რადგან ცხოველების მოსავლელად ვხარჯავთ დიდი რაოდენობით ვეგეტარიანულ საკვებს, ენერგიას, ელექტროენერგიას, მედიკამენტებს. მაშინ, როდესაც ვეგეტარიანული საკვების გამოყენება შეუძლიათ უშუალოდ ადამიანებს. და ასევე, მესამე სამყაროს ბევრი ქვეყანა უფრო იაფად ყიდის პროტეინით გამდიდრებულ ვეგეტარიანულ სურსათს. მაგრამ ეს სხვა სამყაროს მოსახლეობას არ ეხმარება. ჩვენ მთელი საკვები თანაბრად უნდა გავანაწილოთ და ამაში დაგვეხმარებოდა ვეგეტარიანული დიეტა. ეს დაგვეხმარება არა მარტო ჩვენ, არა მარტო ცხოველებს, არამედ მთელ მსოფლიოს.

ერთ-ერთ კვლევით ჟურნალში ნათქვამია, რომ მსოფლიოს ყველა ადამიანი ვეგეტარიანელი რომ ყოფილიყო, მსოფლიოში შიმშილი აღარ იქნებოდა. და ჩვენც ასევე ამ პროცესს ორგანიზება უნდა გავუწიოთ. მე ვიცნობ ერთ ადამიანს, რომელსაც შეუძლია ბრინჯის ქატოს საკვებად და რმედაც გადაქცევა. და ბოლოს ამის შესახებ ვისაუბრეთ. მან თქვა, რომ დაახლოებით სამი ათასი დოლარი დახარჯა და

ცელონში ექვსასი ადამიანის, ღარიბთა, დედების და სხვათა გამოკვება შეუძლია. ეს ფანტასტიურია, რადგან მსოფლიოს სხვა ნაწილებში მხოლოდ ბუნებრივ რესურსებს ვხარჯავთ და საკმარისი სურსათი არ გავაჩნია. ღმერთს აქ შიმშილისთვის არ გავუჩენივართ. ჩვენ კი ფაქტობრივად საკუთარ თავს ვაშიშმშობებ.

ამიტომ ხელახლა უნდა დავფიქრდეთ მრავალი ქვეყნის მართვაზე, მათ რეორგანიზაციაზე. იმის ნაცვლად, რომ ემსახურონ საკუთარ თავს, მათ აბსოლუტური გულწრფელობით, ღირსეულად უნდა დაგვიჭირონ მხარი, რათა ჩვენ დავდგეთ ადამიანთა სამსახურში. ჩვენ რომ ყველა ქვეყნის მთავრობისაგან მხარდაჭერა გვექონოდა ყოფილიყავით, ნამდვილად პრობლემა არ გვექნებოდა.

უნდა გვყავდეს კარგი ლიდერები, გაგვაჩნდეს კარგი ეკონომიკური ორგანიზაცია და მართვის ნიჭი, ღირსეული მთავრობა. მაგრამ ეს უფრო სწრაფად მიიღწევა მას შემდეგ, რაც ადამიანთა სულიერება გაიზრდება. ამ შემთხვევაში მათ ეცოდინებათ, რა არის დისციპლინა. მათ ეცოდინებათ ყველა მცნება, ეცოდინებათ, როგორ უნდა იყვნენ პატიოსანი და განწმენდილნი, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სიბრძნე. მაშინ დაფიქრდებიან ბევრ რამეზე და შესძლებენ თავიანთი ცხოვრების გარდაქმნას.

Q: ეს ძალზე ძნელი მეჩვენება, რადგან ის, რასაც ვხედავ, რაც მესმის, ის გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება, რომელსაც ადგილი აქვს დღეს, დაკავშირებულია მოსახლეობის სივრცის, საბინაო მოთხოვნებთან, დღევანდელ, მე-20 საუკუნის ცხოვრებასთან.

განვიხილოთ ბრაზილიის ჯუნგლები და იქ გარემოს არსებული დაბინძურება. ტყეების, ნოტიო ტყეების განადგურება. მიწის მცენარეული საფარი ნადგურდება და ამას შედეგად მოყვება წყალდიდობები, და ეს დაკავშირებულია მოსახლეობის რიცხვის სიჭარბესთან.

M: დიახ, რა თქმა უნდა, სამყაროში, ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. და ხსნის ერთად-ერთი გზა იქნება პრობლემების ძირეული და არა ზედაპირული გადაჭრა. ხოლო საფუძველი სულიერი სტაბილურობაა. ხომ გასაგებია? (ტაშის კვრა)

ამიტომ ყველა უნდა ვეცადოთ გავავრცელოთ სულიერი გზავნილი, ის, რაც ვიცით და დავიცვათ სულიერი დისციპლინა. ადამიანებს სწორედ ეს არა აქვთ. შეიძლება ჩართოთ ელექტრომოწყობილობა და გქონდეთ სინათლე, ააჟღეროთ გარკვეული მუსიკა და მიიღოთ სამადჰი. მაგრამ თუ მორალური დისციპლინა არ გაგაჩნიათ, მაშინ თქვენს ძალას ზოგჯერ ცუდი მიზნებით გამოიყენებთ. ამას ვერ გააკონტროლებთ.

ამიტომაც ამ ჯგუფში ჩვენ პირველ რიგში მითითებებს ვაძლევთ ადამიანებს. მითითებები მნიშვნელოვანია. უნდა ვიცოდეთ სად მივდივართ, უნდა ვაწარმოოთ ჩვენი ძალების მანევრირება. ძალა არაფერია სიყვარულის, თანაგრძნობის, მორალური ფასეულობების ცოდნის გარეშე. ის ჯადოქრობად გადაიქცევა - ანუ ეს უკვე ძალის ბოროტად გამოყენებაა.

ამიტომ ნირვანას მიღწევა ადვილია, მისი შენარჩუნება კი ძნელი. თუ ჩვენს გზაზე არ ვიქნებით ნამდვილად დისციპლინირებულები და მორალურად

აღჭურვილნი, მეუფე გარკვეულ ძალას წაგვერთმევს იმისათვის, რომ იგი ბოროტად არ გამოვიყენოთ და საზოგადოებას არ ვავნოთ. ეს არის სხვაობა. ამას მეუფე აკონტროლებს.

დიახ, ძალზე მოხარული ვარ იმით, რომ საზრიანი შეკითხვები დამისვით. ძალზე მოხარული ვარ.

ადამიანები ამ საქციელს ჩადიან იმის გამო, რომ არ გააჩნიათ საკმაო სიბრძნე. მაგალითად, მიწას არასათანადოდ იყენებენ ან რაიმეს ჩადიან იმის გამო, რომ სიბრძნე აკლიათ. დიახ, ამიტომ საძირკველი არის სიბრძნე, სულიერი მეცადინეობა. მიაღწიეთ ნირვანას.

გმადლობთ ყურადღებისთვის. გისურვებთ წარმატებებს.

“„დაუფლება“ სინამდვილეში დაუფლება არაა...უბრალოდ მოდიხართ და საშუალებას მაძლევთ დაგეხმაროთ რათა თქვენ დაეხმაროთ საკუთარ თავს. აქ არ მოვსულვარ იმისთვის, რომ თქვენ ჩემი მოწაფეები გახდეთ...აქ მოვედი იმისათვის, რომ დაგეხმაროთ, რათა გახდეთ მეუფეები.”

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

„ყველასათვის უკვე ცნობილია, თუ როგორ არის საჭირო მედიტაცია, მაგრამ მედიტირებთ მცდარზე. ზოგიერთი ადამიანი მედიტირებს ლამაზი ქალების, ზოგი ფულის მოსაპოვებლად, ზოგი კი საქმესთან დაკავშირებით. მედიტაციისას მთელი არსი, მთელი გულისყური უნდა დაუთმოთ რაიმეს ერთს. მე ყურადღებას ვაქცევ მხოლოდ შინაგან ძალას, თანაგრძნობას, სიყვარულს, ღვთის მოწყალე თვისებებს.”

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

„დაუფლება ნიშნავს ახალი ცხოვრების, ახალი წესის დაწყებას. ის იმას ნიშნავს, რომ მეუფემ მიგიღოთ წმინდანთა წრეში. ამიტომ თქვენ აღარ ხართ ჩვეულებრივი არსება, თქვენ მაღალი არსება ხართ. წარსულში ამას უწოდებდნენ „მონათვლას“ და „მეუფეში შვების პოვნას“.

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

„დაუფლება“: კუან ინის მეთოდი

მეუფე ჩინ ჰაი გულწრფელ ადამიანებს რომელთაც სურთ გაიგონ რა არის ჭეშმარიტება, ეხმარება „დაუფლებაში“, ასწავლის მედიტაციის კუან ინის მეთოდს. ჩინური ასოები „კუან ინი“ ნიშნავს ხმის ვიბრაციის განჭვრეტას. ეს მეთოდი მოიცავს როგორც შინაგან სინათლეზე, ასევე შინაგან ხმაზე მედიტაციას. უძველესი დროიდან მოცემული შინაგანი ხილვები, არაერთხელ აღწერილია მსოფლიოს რელიგიების სულიერ ლიტერატურაში.

მაგალითად, ქრისტიანულ ბიბლიაში ნათქვამია, **„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა** (იოანეს სახარება 1:1). მოცემული სიტყვა ნიშნავს შინაგან ხმას. მას ასევე უწოდებენ „ლოგოსს“, „შაბდს“, „ტაოს“, „ხმის ნაკადს“, „ნამს“, ანუ „ციურ მუსიკას.“ მეუფე ჩინ ჰაი ამბობს: „ის ვიბრირებს მთელს სიცოცხლეში და მოიცავს მთელს სამყაროს. მოცემულ შინაგან მელოდიას შეუძლია განკურნოს ყველა იარა, შეასრულოს ყველა სურვილი და მოკლას მთელი მსოფლიოს წყურვილი. ის ძლევა მოსილია და სრული სიყვარულია. იმის გამო, რომ ჩვენ ამ ხმისგან შევდგებით, მასთან კონტაქტს მოაქვს მშვიდობა და ჩვენი გულების კმაყოფილება. მოცემული ხმის მოსმენის შემდეგ სრულიად იცვლება ჩვენი არსი, ჩვენი აზრები ცხოვრების შესახებ

უკეთესისკენ იცვლება.”

შინაგანი სინათლე, ღვთის სინათლე იგივე სინათლეა, რომელიც იგულისხმება სიტყვაში „ნირვანა.“ მას შეუძლია იცვალოს მკრთალი ნათებიდან მილიონობით მზის სიკაშკაშემდე. სწორედ შინაგანი სინათლისა და ხმის მეშვეობით ვეცნობით ღმერთს.

კუან ინის მეთოდის დაუფლება არ არის ეზოთერული რიტუალი ან ახალი რელიგიის მიღების ცერემონია. დაუფლებისას გაიცემა სპეციალური მითითება შინაგან სინათლესა და შინაგან ხმაზე მედიტაციასთან დაკავშირებით და მეუფე ჩინ ჰაი უზრუნველყოფს „სულიერ გარდაქმნას.“ ღვთის დასწრების მოცემულ პირველ გემოს სიჩუმეში იგებენ. მეუფე ჩინ ჰაის ფიზიკური დასწრება სავალდებულო არაა იმისათვის, რომ თქვენთვის მოცემული კარი „გაიღოს.“ გარდაქმნა მოცემული მეთოდის მნიშვნელოვანი ნაწილია. სარგებელი თვით ტექნიკას მოაქვს მეუფის მადლის გარეშეც.

იმის გამო, რომ უშუალოდ დაუფლებისას შიძლება გაიგონოთ შინაგანი ხმა და იხილოთ ნირვანას შინაგანი სინათლე, მოცემულ მოვლენას ზოგჯერ უწოდებენ „მოულოდნელ“ ან „დაუყოვნებლივ ნირვანას.“

„დაუფლებისათვის“ მეუფე ჩინ ჰაისთვის მისაღებია ნებისმიერი წარმოშობის თუ რელიგიური რწმენის ადამიანები. ამჟამინდელი სარწმუნოების თუ რწმენის სისტემის შეცვლა არ მოგეთხოვებათ. თქვენ არ გთხოვენ რაიმე ორგანიზაციაში გაწევრიანებას და მონაწილეობა არ ავნებს თქვენი ცხოვრების მიმდინარეობას.

მიუხედავად ამისა, გთხოვენ გახდეთ

ვეგეტარიანელი. ვეგეტარიანული დიეტის მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაცვა „დაუფლების“ სავალდებულო მოთხოვნაა.

„დაუფლება“ უფასოა.

თქვენ მოგეთხოვებათ მხოლოდ კუან ინის მეთოდით ყოველდღიური მედიტაცია და ხუთი მცნების დაცვა. მცნებების დაცვით აღარ ავნებთ თქვენს თავს ან ნებისმიერ ცოცხალ არსებას. მოცემული საქმიანობა გაღრმავდება და გაძლიერდება მას შემდეგ, რაც მიიღებთ „დაუფლების“ პირველ გამოცდილებას, რაც საშუალებას მოგცემთ მიაღწიოთ გამოღვიძების უმაღლეს დონეებს ან ღვთიურობას. ყოველდღიური მედიტაციის გარეშე ნამდვილად დაგავიწყდებათ თქვენი ნირვანა და ცნობიერების ჩვეულ დონეს დაუბრუნდებით.

მეუფე ჩინ ჰაის მიზანია გვასწავლოს თვითკმაყოფა. ის გვასწავლის მეთოდს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ყველას მიერ ნებისმიერი სახის საყრდენის ან ატრიბუტების გარეშე. ის არ ეძებს მიმდევრებს, თაყვანისმცემლებს ან მოწაფეებს და არ ცდილობს ორგანიზაციის დაარსებას, რომელშიც გაწევრიანება ფასიანია. ის თქვენგან არ იღებს ფულს, პირფერობას ან საჩუქრებს, ამიტომ მას ამას ნუ შესთავაზებთ.

ის მიიღებს თქვენს გულწრფელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში და მედიტაციას რომელიც წმინდანობამდე მიგიყვანთ.

ხუთი მცნება

1. არ ავნოთ არც ერთ ცოცხალ არსებას*;
2. არ თქვათ ის, რაც სიმართლე არაა;
3. არ აიღოთ ის, რაც თქვენი არაა;
4. არ იმრუშოთ;
5. არ გამოიყენოთ ინტოქსიკანტები**;

* მოცემული მცნება მოითხოვს ვეგეტარიანული ან ლაქტო-ვეგეტარიანული დიეტის მკაცრად დაცვას. დაუშვებელია საკვებად ხორცის, ფრინველის ხორცის, კვერცხის (განაყოფიერებული თუ განუყოფიერებელი, ნამცხვრის, ნაყინის სახით და სხვ.) ან ცხოველისაგან შექმნილი ნებისმიერი პროდუქტის საკვებად მიღება.

** ამაში იგულისხმება ნებისმიერი სახის შხამისაგან თავშეკავება, როგორცაა ალკოჰოლი, ნარკოტიკები, თამბაქო, აზარტული თამაშები, პორნოგრაფია და ძალადობით აღსავსე ფილმები, ლიტერატურა თუ ვიდეოთამაშები.

„სრულიად წმინდა ადამიანი არის აბსოლუტური ადამიანი. აბსოლუტური ადამიანი არის სრულიად ღვთიური. ახლა მხოლოდ ნახევრად ადამიანები ვართ. საქმეს ვაკეთებთ უხალისოდ, ეგოისტურად. არ გვჯერა, რომ ჩვენი ბედნიერებისათვის, შერბნებისათვის ყოველივეს ღმერთი აწესრიგებს. ჩვენ ერთმანეთისგან ვმიჯნავთ ცოდვას და ღირსებას. ჩვენი განსჯის საგანია ჩვენი თავი და ასევე სხვა ადამიანები. საკუთარი შეზღუდვებით ვიტანჯებით იმასთან დაკავშირებით, რაც ღმერთის გასაკეთებელია. გასაგებია? ფაქტიურად ღმერთი ჩვენშია და ჩვენ მას ვზღუდავთ. გვიყვარს გართობა და თამაში, მაგრამ არ ვიცით, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს. მხოლოდ სხვებს ვეუბნებით: „ეს არ უნდა გავაკეთოთ“, ხოლო საკუთარ თავს ვეუბნებით : „ეს არ უნდა გავაკეთო. არ უნდა გავაკეთო, მაშინ რატომ უნდა ვიყო ვეგეტარიანელი?“ დიახ, ეს ვიცი. მე ვეგეტარიანელი ვარ, რადგან ეს ჩემში არსებულ ღმერთს სურს.“

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

როდესაც ჩვენი ქმედებები, სიტყვები და აზრები სუფთაა, ყველა წმინდანი, ყველა ღმერთი და მფარველი ანგელოზი დაგვეხმარება. ამ მომენტში გვეკუთვნის მთელი სამყარო და იგი მხარს გვიჭერს. ამ ტახტზე მეფეები ჩვენ უნდა ვიყოთ.”

~ უზენაესი მეუფე ჩინ ჰაი ~

ვეგეტარიანული დიეტის უპირატესობები

ვეგეტარიანული ან ლაქტო-ვეგეტარიანული დიეტის დაცვა კუნ ინის მეთოდის დაუფლების წინაპირობაა. ამ დიეტაში დასაშვებია მცენარეულ და რძის პროდუქტებზე დამზადებული საჭმელი, მაგრამ აკრძალულია ცხოველური წარმოშობის საკვები, მათ შორის კვერცხი. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მომდინარეობს პირველი მცნებიდან, რომლის თანახმად არ უნდა ვავნოთ ცოცხალ არსებებს, ანუ „არა კაც კალ.“

ცხადია, რომ ცოცხალი არსებებისათვის სასიკეთოა, როდესაც მათ არ კლავენ და არ აყენებენ ზიანს. ნაკლებად გასაგებია ის ფაქტი, რომ თუ სხვებს არ მივაყენებთ ზიანს, ეს ჩვენთვისაც სასიკეთოა. რატომ? კარმას კანონში ნათქვამია: რასაც დასთეს იმას მოიმკი. თუ მოკლავთ ან თქვენთვის სხვებს მოაკვლევინებთ იმისათვის, რომ ხორცი იკვებოთ, საკუთარ თავზე იღებთ კარმულ ტვირთს და მოცემული ვალი საბოლოოდ გადახდილი უნდა იქნას.

ამიტომ რეალისტურად თუ მივუდგებით, ვეგეტარიანული დიეტა არის საჩუქარი, რომელსაც საკუთარ თავს ვუკეთებთ. თავს უკეთესად ვგრძნობთ, ცხოვრების ხარისხი უმჯობესდება, ხოლო ჩვენი კარმული ვალი მცირდება და გვეძლევა შინაგანი ხედვის ახალი რბილი და ზეციური

სფერო. ამიტომ ღირს ესოდენ მცირე ფასის გაღება!

ზოგიერთი ადამიანისთვის ხორციტ კვების წინააღმდეგი სულიერი არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია, თუმცა ასევე არსებობს სხვა მიზეზებიც, თუ რატომ უნდა ვიყოთ ვეგეტარიანელები. ყოველი მათგანი დაფუძნებულია საღ აზრზე.

ჯანმრთელობა და კვება

ადამიანის ევოლუციის მანძილზე კვებამ ცხადყო, რომ ჩვენი წინაპრები თავიანთი ბუნებით ვეგეტარიანელები იყვნენ. ადამიანის სხეულის აგებულება არ ითვალისწინებს ხორციტ კვებას. ეს დასაბუთდა კოლუმბიის უნივერსიტეტის ექიმ გ.ს. ჰანსინგტონის შედარებითი ანატომიის თემაში. მან მიუთითა, რომ ხორცისმჭამელებს გააჩნიათ მოკლე მსხვილი და წვრილი ნაწლავები. წვრილი ნაწლავისათვის დამახასიათებელია სისწორე და სიგლუვე. რაც შეეხება ვეგეტარიანელ ცხოველებს, მათი წვრილი და მსხვილი ნაწლავი გრძელია. ხორცში უჯრედისის ნაკლებობის და პროტეინის სიჭარბის გამო ნაწლავებში საკვები ნივთიერების აბსორბირება შედარებით მცირე დროს მოითხოვს. ამიტომ ხორცისმჭამელთა ნაწლავები უფრო მოკლეა ვიდრე ვეგეტარიანელ ცხოველთა ნაწლავები.

ადამიანებს, მსგავსად სხვა ბუნებრივად ვეგეტარიანელი ცხოველებისა, გააჩნიათ როგორც მსხვილი, ასევე წვრილი

ნაწლავი. ჩვენი ნაწლავების მთლიანი სიგრძე შეადგენს ოცდარვა ფუტს (რვანახევარ მეტრს). წვრილი ნაწლავი მრავალჯერ გადაკეცილია. მისი კედლები სპირალისებრია და არ არის გლუვი. ვინაიდან ის უფრო მოკლეა, ვიდრე ხორცისმჭამელთა ნაწლავი, ხორცი, რომლითაც ვიკვებებით, დიდი ხნის განმავლობაში რჩება ჩვენს ნაწლავებში. ამის შედეგად ხორცი ღებება და წარმოშობს ტოქსინებს. ცნობილია, რომ მოცემულმა ტოქსინებმა შეიძლება გამოიწვიოს მსხვილი ნაწლავის სიმსივნე. ისინი ასევე ზრდიან ღვიძლის დატვირთვას, რომელსაც გააჩნია ტოქსინების დაშლის ფუნქცია. ამან შეიძლება გამოიწვიოს ციროზი და ისეთი დაავადებაც კი, როგორცაა ღვიძლის სიმსივნე.

ხორცი შეიცავს დიდი რაოდენობით უროკინაზას პროტეინსა და შარდმჟავას, რომლებიც იწვევს თირკმელების გადატვირთვას და რომლებსაც შეუძლია თირკმლის ფუნქციის მოშლა. ერთ გირვანქა სტეიკში არსებობს თოთხმეტი გრამი უროკინაზას პროტეინი. უროკინაზას პროტეინში ცოცხალი უჯრედების მოთავსებისას მათი მეტაბოლური ფუნქცია ქვეითდება. გარდა ამისა, ხორცში არის ცელულოზისა და უჯრედისის ნაკლებობა. უჯრედისის ნაკლებობამ შეიძლება ადვილად გამოიწვიოს კუჭის შეკრულობა. ცნობილია, რომ შეკრულობამ შეიძლება გამოიწვიოს სწორი ნაწლავის სიმსივნე ან ჰემოროიდალური კვანძები.

ქოლესტეროლსა და ნაჯერ ცხიმებსაც შეუძლია კარდიოვასკულარული პრობლემების შექმნა.

კარდიოვასკულარული დარღვევები აშშ-ში, და ახლა ფორმოსაშიც, სიკვდილიანობის პირველი მიზეზია.

სიმსივნე სიკვდილიანობის მეორე მიზეზია. კვლევები ცხადყოფს, რომ ხორცის შეწვა იწვევს ქიმიურ ელემენტს (მეთილქოლანტრენს), რაც ძლიერი კარცინოგენია. თავებში მოცემული კარცინოგენი იწვევს სიმსივნეს, როგორცაა ძვლის სიმსივნე, სისხლის, კუჭის სიმსივნე და სხვ.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ იმ წრეწუნებს, რომლებიც ძუძუს კიბოთი დავაადებული დედა თავის რძით იკვებებიან, ასევე სიმსივნე უვითარდებათ. თუ ყოველდღიურად ვიკვებებით იმ ცხოველების ხორცი, რომლებსაც მოცემული დარღვევები გააჩნდათ, ასევე ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენც იგივე დაავადებით დავაადდეთ.

ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ხორცი არის სუფთა და უსაფრთხო, რომ ყველა საყასბოში წარმოებს ხორცის შემოწმება. ყოველდღე იმდენი საქონელი, ღორი, ფრინველი იკვლება, რომ შეუძლებელია ყველა მათგანის შემოწმება. ძალზე ძნელია შეამოწმო, არის თუ არა ხორცის ამა თუ იმ ნაჭერში სიმსივნე, რომ არაფერი ვთქვათ თითოეული ცხოველის შემოწმებაზე. ამჟამად ხორცის წარმოებაში, როდესაც ცხოველს პრობლემა აქვს, იჭრება მხოლოდ დაავადებული თავი ან ფეხები. შორდება მხოლოდ დაავადებული ნაჭრები და დანარჩენი იყიდება.

ცნობილმა ვეგეტარიანელმა, ექიმმა ჯ.ჰ. კელოგმა აღნიშნა: „როდესაც ვეგეტარიანული საკვებით ვიკვებებით,

არ გვჭირდება იმაზე ფიქრი, თუ რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ცხოველი. ამის გამო ჩვენი სადილი სიხარულით სავსეა.”

ასევე არსებობს სხვა სახის შეშფოთებაც. ცხოველთა საკვებს დანამატის ან ინიექციის სახით უმატებენ ანტიბიოტიკებს და ასევე სხვა მედიკამენტებს, მათ შორის სტეროიდულ ჰორმონებს. ცნობილია, რომ იმ ადამიანთა სხეულები, რომლებიც იკვებებიან ამ ცხოველების ხორციით, მოცემულ ჰორმონებს შეიწოვს. შესაძლებელია, ხორცის ანტიბიოტიკებმა შეამცირონ გამოსაყენებელი ანტიბიოტიკების ეფექტურობა.

არსებობს რიგი ადამიანებისა, რომლებიც ვეგეტარიანულ დიეტას არასაკმარისად ნოყიერად მიიჩნევენ. ამერიკელი ქირურგი და მკვლევარი ექიმი მილერი ფორმოსაში სამედიცინო საქმიანობას ორმოცი წლის განმავლობაში ეწეოდა. მან აქ დააარსა საავადმყოფო, რომელშიც პერსონალისა და პაციენტთა ყველა სადილი ვეგეტარიანული იყო. მან თქვა: „თაგვი ერთად-ერთი ცხოველია, რომელიც ცოცხლობს როგორც ვეგეტარიანული ასევე არავეგეტარიანული კვების შემთხვევაში. თუ ერთმანეთისგან გავყოფთ ორ თაგვს, რომელთაგან ერთი იკვებება ხორციით, მეორე კი ვეგეტარიანული საკვებით, დავინახავთ, რომ ისინი ერთნაირად იზრდებიან და ვითარდებიან, მაგრამ ვეგეტარიანელი თაგვი ცხოვრობს უფრო დიდ ხანს და უფრო გამძლეა ავადმყოფობის მიმართ. გარდა ამისა, როდესაც ორი თაგვი ავადმყოფდებოდა, ვეგეტარიანელი თაგვი უფრო სწრაფად ჯანმრთელდებოდა.

მან ასევე აღნიშნა: „ თანამედროვე მედიცინა ძალზე განვითარდა, მაგრამ მას მხოლოდ დაავადებათა განკურნვა შეუძლია. მიუხედავად ამისა, სწორი კვება ჩვენს ჯანმრთელობას უზრუნველყოფს.” მან აღნიშნა, რომ „მცენარეებიდან მიღებული საკვები კვების უფრო უშუალო წყაროა, ვიდრე ხორცი. ადამიანები იკვებებიან ცხოველებით, მაგრამ იმ ცხოველთა საკვები, რომლებითაც ვიკვებებით, არის მცენარეები. ცხოველთა უმეტესობის სიცოცხლე მოკლეა, და მათ დაახლოებით ყველა ის დაავადება გააჩნიათ, რაც ადამიანებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანების ავადმყოფობა მომდინარეობდეს დაავადებულ ცხოველთა ხორციით კვების შედეგად. ამიტომ რატომ არ იღებენ ადამიანები თავიანთ საკვებს უშუალოდ მცენარეებიდან?” ექიმმა მილერმა აღნიშნა, რომ სრული ჯანმრთელობისათვის საჭირო საკვების მისაღებად ჩვენ გვჭირდება მარცვლეული, ლობიო და ბოსტნეული.

ბევრს გონია, რომ ცხოველური ცილა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მცენარეული ცილა, რადგან პირველი ითვლება სრულ პროტეინად, ხოლო მეორე კი ნაწილობრივ პროტეინისგან შედგება. სინამდვილეში ზოგიერთი მცენარის ცილა სრულია და მოცემული საკვების კომბინირებას შეუძლია შექმნას სრული პროტეინები რამდენიმე არასრული პროტეინის მქონე საკვებისაგან.

1988 წლის მარტში ამერიკის დიეტოლოგთა ასოციაციამ გამოაცხადა: „ამერიკის დიეტოლოგთა ასოციაცია მიიჩნევს,

რომ ვეგეტარიანული დიეტა ჯანმრთელია და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში დასაშვებია მისი საკვებად გამოყენება.”

ხშირად არსებობს მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ხორცისმჭამელი ადამიანები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ვეგეტარიანელები. მაგრამ იალის უნივერსიტეტის პროფესორ ირვინ ფიშერის მიერ 32 ვეგეტარიანელსა და 15 ხორცისმჭამელ ადამიანზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ვეგეტარიანელები უფრო გამძლენი არიან, ვიდრე ხორცისმჭამელები. ის ავალებდა ადამიანებს ზემოთ აღმართული ხელებით მდგარიყვნენ თხუთმეტი ან ოცდაათი წუთის განმავლობაში. 32 ვეგეტარიანელიდან 22-ს შეეძლო ასე დგომა თხუთმეტიდან ოცდაათ წუთამდე, 15-ს შეეძლო ოცდაათი წუთის განმავლობაში დგომა, 9-ს ერთი საათის განმავლობაში, 4-ს კი- ორი საათის განმავლობაში. ხოლო ერთ ვეგეტარიანელი სამი საათის მანძილზე იდგა აღმართული ხელებით.

გრძელ დისტანციაზე მორბენალი მრავალი ათლეტი შეჯიბრებამდე იცავს ვეგეტარიანულ დიეტას. ვეგეტარიანული თერაპიის ექსპერტმა ექიმმა ბარბარა მორმა ასათი მილი გაირბინა ოცდაშვიდ საათსა და ოცდაათ წუთში. მან, 56 წლის ადამიანმა ახალგაზრდა კაცების რეკორდი მოხსნა: „მსურს ვიყო მაგალითი და დაგიმტკიცოთ, რომ მათ, ვინც სრულად იცავს ვეგეტარიანულ დიეტას, გააჩნია ძლიერი სხეული, საღი აზროვნება და სუფთა ცხოვრება.”

დებულობს თუ არა დიეტის დროს ვეგეტარიანელი საკმარის

ცილას? მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, ყოველდღიური კალორიების 4,5%-ს უნდა შეადგენდეს პროტეინი. ხორბლის კალორიების 17% შეიცავს პროტეინს, ბროკოლის კალორიების 45%, ხოლო ბრინჯის კალორიების 8% შეიცავს პროტეინს. ძალზე ადვილია პროტეინით გამდიდრებული დიეტის დაცვა ხორცით კვების გარეშე. იმ ცხიმიან დიეტებთან შედარებით, რომლები იწვევენ ისეთ დაავადებებს, როგორცაა გულის დაავადებები და სიმსივნის მრავალი სახეობა, ვეგეტარიანელობა, რა თქმა უნდა, საუკეთესო არჩევანია.

დასაბუთებულია კავშირი ჭარბი ხორცისა და სხვა გაჯერებული ცხიმების შემცველი ცხოველური წარმოშობის საკვების მიღებასა და გულის დაავადებას, სიმსივნეს, ნაწლავის სიმსივნესა და დამბლას შორის. სხვა დაავადებები, რომელთა თავიდან აცილება ხშირად შესაძლებელია და რომლებიც ზოგჯერ განიკურნება კიდევ ნაკლებ ცხიმიანი ვეგეტარიანული დიეტის მეშვეობით, მოიცავს: კენჭებს თირკმელებში, პროსტატის სიმსივნეს, დიაბეტს, პეპტიკურ წყლულებს, ნადველის კენჭებს, გაღიზიანებული ნაწლავების სინდრომს, ართრიტს, ღრძილების დაავადებას, აკნეს, პანკრეასის სიმსივნეს, კუჭის სიმსივნეს, ჰიპოგლიკემიას, შეკრულობას, დივერტიკულოზს, ჰიპერტონიას, ოსტეოპოროზს, საკვერცხეების სიმსივნეს, ბუასილს, სიმსუქნეს და ასთმას.

ეკოლოგია და გარემო

ცხოველების გაზრდას ხორცის სახით გამოსაყენებლად თავისი შედეგები აქვს. ეს ხელს უწყობს ნოტიო ტყეების განადგურებას, გლობალურ დათბობას, წყლის დაბინძურებას, წყლის ნაკლებობას, გამეჩხერებას, ენერგეტიკული რესურსების არასათანადო გამოყენებას და მსოფლიო შიმშილს. ხორცის მისაღებად მიწის, წყლის, ენერჯის და ადამიანური რესურსების გამოყენება არ არის დედამიწის რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალება.

1960 წლიდან სამოვრების ასაშენებლად დაიწვა და გაიჩეხა ცენტრალური ამერიკის ნოტიო ტყეების 25%. დადგინდა, რომ ყოველი მეოთხე ჰამბურგერი მოითხოვს ტროპიკული ნოტიო ტყეების 55 კვ. ფუტის განადგურებას. ამასთანავე, საქონლის ყოლა ხელს უწყობს იმ სამი გზის გამომუშავებას, რომელიც იწვევს გლობალურ დათბობას. ეს არის წყლის დაბინძურების მთავარი მიზეზი და ხორცის თითო ფუტის წარმოება მოითხოვს 2464 გალონ წყალს. ერთი ფუტი პამიდვრის წარმოება მოითხოვს მხოლოდ 29 გალონ წყალს, ხოლო ერთი ფუტი თეთრი პურის გამოშვებაზე იხარჯება 139 გალონი წყალი. აშშ-ში გამოყენებული წყლის თითქმის ნახევარი იხარჯება საქონლისა და სხვა შინაური ცხოველების საკვების ზრდაზე.

გაცილებით მეტი ადამიანის გამოკვება იქნებოდა

შესაძლებელი იმ შემთხვევაში, თუ იმ რესურსებს, რომლებიც გამოიყენება საქონლის მოსაშენებლად, გამოიყენებდნენ მსოფლიო მოსახლეობის საკვებად. იმ შემთხვევაში, თუ შვრია ადამიანთა და არა საქონლის საკვებად გამოიყენებდნენ, ერთი აკრი შვრიის ნათესიდან მიიღებდნენ 8-ჯერ მეტ ცილას და 25-ჯერ მეტ კალორიას. ერთი აკრი ბროკოლის ნათესიდან ათჯერ მეტი პროტეინი და ნიაცინი მიიღება, ვიდრე ერთი აკრი მიწიდან, რომელზედაც ხდება ხორცის წარმოება. ასეთი სტატისტიკური მონაცემი უთვალავია. მსოფლიოს რესურსების გამოყენება უფრო ეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მესაქონლეობის ნაცვლად გაიზრდებოდა ადამიანის საკვები მარცვლეულის მოსავალი.

ვეგეტარიანული დიეტით სარგებლობა საშუალებას გაძლევთ „უფრო მსუბუქად იაროთ პლანეტაზე.“ ამასთანავე, ატაროთ მხოლოდ ის, რაც გჭირდებათ და შეამციროთ ნამეტი. თავს უკეთესად იგრძნობთ, თუკი სადილის ყოველი მირთმევისას გაითვალისწინებთ, რომ ამისთვის ერთი ცხოველი იკვლება.

მსოფლიო შიმშილი

ამ პლანეტაზე დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანი შიმშილობს და არასაკმარისად იკვებება. ყოველწლიურად 40 მლნ კაცი კვდება შიმშილით და მათი უმეტესობა ბავშვია. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მარცვლეულის მოსავლის ერთ მესამედზე მეტი ადამიანთა კვების ნაცვლად საქონლის

კვებას ხმარდება. აშშ-ში საქონელზე იხარჯება მთელი მარცვლეულის 70%. საქონლის ნაცვლად ადამიანები რომ გამოგვეკვება, აღარავინ იშიმშილებდა.

ცხოველთა ტანჯვა

თქვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ აშშ-ში ყოველდღიურად 100,000 ძროხა იკვლება?

დასავლეთის ქვეყნების ცხოველთა უმეტესობის მოშენება ხდება „საქარხნო ფერმებში.“ ისინი გათვალისწინებულია მინიმალური ხარჯის გაღებით დასაკლავ ცხოველთა მაქსიმალური რიცხვის მოშენებაზე. ცხოველებს ერთად აგროვებენ, ასახიჩრებენ და ეპყრობიან როგორც ხორცის საკვებად გადასამუშავებელ მანქანებს. ეს ის რეალობაა, რომელსაც უმეტესობა ჩვენთაგანი საკუთარი თვალით ვერ ნახავს. ნათქვამია, რომ სასაკლაოზე ერთი მისვლის შემდეგ „სამუდამოდ ვეგეტარიანელი გახდები.“

ლევ ტოლსტოის ნათქვამი აქვს: „სანამ სასაკლაოები იქნება, მანამ ომებიც იარსებებს. ვეგეტარიანული დიეტა ადამიანის სიყვარულის სერიოზული გამოცდაა.“ მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ჩვენთაგანი ვერ ეგუება მკვლელობას, ჩვენ გავგივითარდა ხორციტ რეგულარულად კვების ჩვევა, რომელსაც მხარს უჭერს საზოგადოება, თუმცა ვერ ვხვდებით, თუ რეალურად რა ემართებათ იმ ცხოველებს, რომლებითაც ვიკვებებით.

წმინდანების ჯგუფი და სხვა

ისტორიის მანძილზე ვრწმუნდებით, რომ ბოსტნეული წარმოადგენს ადამიანთა ნატურალურ საკვებს. ადრეულ ბერძნულ და ებრაულ წყაროებში მითითებულია, რომ ადამიანები თავიდან იკვებებოდნენ ხილით. ძველი ეგვიპტელი მღვდლები არასოდეს ჭამდნენ ხორცს. მრავალი ბერძენი ფილოსოფოსი, როგორცაა პლატონი, დიოგენე და სოკრატე, იყო ვეგეტარიანელობის მომხრე.

ინდოეთში შაკიამუნი ბუდა ყურადღებას ამახვილებდა აჰიმსას მნიშვნელობაზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დაუშვებელია ცოცხალი არსებისადმი ზიანის მიყენება. ის თავის მიმდევრებს აფრთხილებდა, რომ არ ეჭამათ ხორცი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ცოცხალ არსებებს მათი შიში ექნებოდათ. ბუდა აღნიშნავდა, რომ ხორციტ კვება მხოლოდ შეძენილი ჩვევაა. დაბადებიდან ეს სურვილი არ გვქონდა. ხორცისმჭამელმა ადამიანებმა მოკვეთეს დიდი მოწყალების შინაგანი თესლი. ხორცისმჭამელი ადამიანები ერთმანეთს კლავენ და ჭამენ...ამ ცხოვრებაში მე შეგჭამ, შემდეგ ცხოვრებაში კი შენ შემჭამ...და ეს ასე გრძელდება გამუდმებით. როგორ შეგიძლია სამი სფეროდან (ილუზიიდან) თავის დაღწევა?

ადრეულ დაოისტებს, ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის ბევრი ვეგეტარიანელი იყო. წმინდა ბიბლიაში წერია: და ღმერთმა სთქვა: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი,

თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო (დაბადება 1:29). ბიბლიაში ხორციით კვების აკრძალვის სხვა მაგალითებიც მოიპოვება: ოღონდ ხორციელს, მის სისხლთან ერთად ნუ შესჭამთ (დაბადება 9:4). ღმერთმა სთქვა: რას ვაქნევ თქვენს უზომო საკლავებს. გამძლარი ვარ თქვენი აღსავლენი ვერძებით და კურატების ქონით. აღარ მსურს მოზვრების კრავებისა და ვაცების სისხლი! ხელეხს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ; ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ; ხელეხი სისხლითა გაქვთ სავსე! განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ. შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. (ესაია 1:11-16). იესოს ერთ-ერთმა მოციქულმა, წმ. პავლემ რომაელებს მიმართა: „გიჯობს არც ხორცი ჭამო, არც ღვინო სვა, და არც რამ ისეთი აკეთო, რაზედაც შეიძლება წაიბოროდიკოს შენმა ძმამ.“ (რომაელთა მიმართ 14:21)

ბოლო დროს ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს მრავალი ძველებური წიგნი და ახალი შუქი მოფინეს იესოს სწავლებებს. იესომ თქვა: და გახდება იმ დახოცილი ცხოველების გვამი შენს სხეულში შენი სამარე, რამეთუ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ის ვინც კლავს, იკლავს თავს და ის ვინც ჭამს დახოცილ ცხოველთა გვამებს, ჭამს თავად სიკვდილს.

ინდური რელიგიებიც თავს იკავებენ ხორცის ჭამისაგან. ნათქვამია, რომ ხორცს ვერ მიიღებ ცოცხალი არსების მოკვლის გრეშე. ის, ვინც ცოცხალ არსებებს კლავს, არასოდეს

იქნება დალოცვილი ღმერთისგან. ამიტომ მოერიდეთ ხორცის ჭამას! (ჰინდუს მცნება)

ისლამის წმინდა წიგნში, ყორანში აკრძალულია მკვდარი ცხოველების, მათი სისხლის და ხორცის ჭამა.

დიდმა ჩინელმა ძენის მეუფემ, ჰან შან ცუმ დაწერა ლექსი, რომელშიც მკაცრად ილაშქრებს ხორციტ კვების წინააღმდეგ: „გაეშურეთ ბაზრისკენ რათა ხორცი და თევზი უყიდოთ თქვენს მეუღლესა და ბავშვებს. მაგრამ რატომ უნდა წაართვათ სიცოცხლე იმისთვის, რომ იცოცხლოთ? ეს უგუნურობაა. შეიძლება ეს გაახლოებთ სამოთხესთან, მაგრამ თქვენ გახდებით ჯოჯოხეთის გარეწრები!“

მრავალი ცნობილი მწერალი, მხატვარი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და სხვა გამოჩენილი ადამიანი ვეგეტარიანელობის მომხრე იყო. ეს ადამიანები ყველანი ვეგეტარიანელები იყვნენ: შაკიამუნი ბუდა, იესო ქრისტე, ვირგილიუსი, ჰორაციუსი, პლატონი, ოვიდიუსი, პეტრარქე, პითაგორე, სოკრატე, უილიამ შექსპირი, ვოლტერი, ბ-ნი ისააკ ნიუტონი, ლეონარდო და ვინჩი, ჩარლზ დარვინი, ბენჯამინ ფრანკლინი, რალფ უალდო ემერსონი, ჰენრი დევიდ თორო, ემილ ზოლა, ბერტრან რასელი, რიჩარდ ვაგნერი, პერსი ბიში შელი, ჰ. გ. უელსი, ალბერტ აინშტაინი, რაბინდრანათ თაგორი, ლევ ტოლსტოი, ჯორჯ ბერნარდ შო, მაჰათმა განდი, ალბერტ შვეიცერი; და ბოლო დროს პოლ ნიუმენი, მადონა, პრინცესა დაიანა, ლინდსეი უაგნერი, პოლ მაკარტნი, კენდის ბერგენი და მრავალი სხვა.

ალბერტ აინშტაინმა თქვა: „ვეფიქრობ ის ცვლილებები და გამწმენდი ეფექტი, რომელიც ვეგეტარიანულ დიეტას გააჩნია ადამიანის განწყობაზე, ძალზე სასარგებლოა კაცობრიობისათვის. ამიტომ ვეგეტარიანელობა ადამიანებისთვის სასარგებლო და უსაფრთხოა.“ ეს გახლდათ ისტორიის მანძილზე მრავალი გამოჩენილი პირისა და ბრძენი ადამიანის მიერ მოცემული რჩევები!

მეთუფე შეკითხვებს პასუხობს

Q: ცხოველთა ჭამა ცოცხალი არსებების მოკვლაა, მაგრამ ბოსტნეულის ჭამაც ხომ ცოცხალის მოკვლაა?

M: მცენარეების ჭამაც ცოცხალი არსებების მოკვლაა და ეს წარმოშობს გარკვეულ კარმულ დაბრკოლებას, მაგრამ შედეგი მინიმალურია. თუ ადამიანი დღეში ორნახევარი საათის განმავლობაში კუან ინის მეთოდს მისდევს, მამ შეუძლია თავიდან აიცილოს კარმული შედეგი. იმის გამო, რომ გადასარჩენად კვება გვჭირდება, ვირჩევთ ისეთ საკვებს, რომელსაც გააჩნია ყველაზე ნაკლები ცნობიერება და რომელიც ყველაზე ნაკლებს იტანჯება. მცენარეების 90% წყლისგან შედგება, ამიტომ მათი ცნობიერების დონე იმდენად დაბალია, რომ თითქმის არ გრძობენ ტკივილს. გარდა ამისა, მრავალი ბოსტნეულით ვიკვებებით. ჩვენ არ ვჭრით მათ ფესვებს არამედ პირიქით, ტოტებისა და ფოთლების მოჭრით ვეხმარებით მათ რეპროდუქციას. საბოლოო შედეგი შეიძლება მცენარისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს. ამიტომ მეზაღეები ამბობენ, რომ მცენარეები

გასხვლის შედეგად უფრო სწრაფად იზრდებიან და უფრო ლამაზდებიან.

ეს კიდევ უფრო ნათელია ხილის შემთხვევაში. როდესაც ხილი მწიფდება, ის ადამიანებს თავისი მომხიბლავი სუნით, ლამაზი ფერით და მშვენიერი გემოთი იზიდავს. ამგვარად ხილის ხეები აღწევენ საკუთარ მიზანს და უფრო ფართო სივრცეში ავრცელებენ საკუთარ თესლს. თუ მათ არ მოვწყვეტთ და არ შევჭამთ, ხილი გადამწიფდება, დაეცემა მიწაზე და დალპება. მისი თესლს მზე არ მოხვდება ხეების ჩრდილის გამო და თესლი მოკვდება. ამიტომ ბოსტნეულისა და ხილის ჭამა ბუნებრივი ტენდენციაა, რომელიც მათ არავითარ ტანჯვას არ აყენებს.

Q: ადამიანთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ვეგეტარიანელები უფრო დაბლები და უფრო გამხდრები არიან, ხოლო ისინი, ვინც ხორცი იკვებება, უფრო მაღალი და ძლიერი აღნაგობისაა. ეს მართალია?

M: აუცილებელი არაა ვეგეტარიანელები იყვნენ უფრო გამხდრები და დაბლები. თუ მათი დიეტა დაბალანსებულია, მათაც შეუძლიათ გახდნენ მაღლები და ძლიერები. მოგახსენებთ, ყველა დიდი ცხოველი, როგორცაა სპილო, მსხვილფეხა საქონელი, ჟირაფი, ბეჭემოთი, ცხენები და სხვ. იკვებება მხოლოდ ბოსტნეულით და ხილით. ისინი უფრო ძლიერები არიან ვიდრე ხორცისმჭამელები, ძალზე ნაზები და უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ ადამიანებისთვის. ხოლო ხორცისმჭამელი ცხოველები არიან ძალზე აგრესიულები და უსარგებლონი. თუ ადამიანები შეჭამენ ბევრ ცხოველს, ისინი შეიძენენ ცხოველების ინსტინქტებსა

და თვისებებს. ხორცისმჭამელი ადამიანები ყველანი მაღლები და ძლიერები არ არიან, თუმცა მათი სიცოცხლე საშუალოდ ძალზე მოკლეა. ესკიმოსები თითქმის მხოლოდ ხორცით იკვებებიან, მაგრამ ნუთუ ისინი მაღლები და ძლიერები არიან? დიდ ხანს ცხოვრობენ? ვფიქრობ, ეს გასაგებია.

Q: შეუძლიათ ვეგეტარიანელებს კვერცხის ჭამა?

M: არა. როდესაც კვერცხს ვჭამთ, ჩვენ ასევე ცოცხალ არსებას ვკლავთ. ზოგი ამბობს, რომ კომერციულ გაყიდვაში მყოფი კვერცხი განაყოფიერებული არაა, ამიტომ მათი ჭამით ცოცხალ არსებებს არ ვკლავთ. ეს მხოლოდ შეიძლება ერთი შეხედვით სწორედ მოგვეჩვენოს. კვერცხი განაყოფიერებული არაა მხოლოდ იმის, გამო, რომ არ ჩატარებულა განაყოფიერების სათანადო პროცედურები. ამიტომ კვერცხი ვერ ასრულებს წიწილად გარდაქმნის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული განვითარება არ მომხდარა, ის მაინც შეიცავს თანდაყოლილ სიცოცხლის ძალას, რომელიც ამისათვის საჭიროა. ვიცით, რომ კვერცხებს გააჩნია თანდაყოლილი სიცოცხლის ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ ხდება მხოლოდ მოცემული კვერცხუჯრედების განაყოფიერება? ზოგიერთი მიუთითებს იმაზე, რომ კვერცხი შეიცავს საკვებ ნივთიერებებს, პროტეინს, ფოსფორს, რომელიც უმნიშვნელოვანესია ადამიანის სხეულისათვის. მაგრამ პროტეინის მიღება შესაძლებელია სოიოს ხაჭოდან, ხოლო ფოსფორისა - ბოსტნეულიდან, როგორცაა, მაგალითად, კარტოფილი.

ვიცით, რომ, დაწყებული უძველესი დროიდან

დღემდე იყო მრავალი ბერი, რომელიც არ იკვებებოდა ხორციით და კვერცხით, და მიუხედავად ამისა, დიდ ხანს ცხოვრობდა. მაგალითად, მეუფე ინ გუანგის სადილი შედგებოდა ერთი ჯამი ბოსტნეულისა და ცოტაოდენი ბრინჯისგან. და მან ოთხმოც წლამდე იცოცხლა. გარდა ამისა, კვერცხის გული შეიცავს ბევრ ქოლესტეროლს, რომელიც კარდიოვასკულარული დაავადების მთავარი მიზეზია. მოცემული დაავადების სიხშირე პირველ ადგილზეა ფორმოსა და ამერიკაში. საკვირველი არაა, რომ პაციენტთა უმეტესობა კვერცხით იკვებება!

Q: ადამიანი აშენებს ცხოველებს და ფრინველებს, როგორცაა ღორი, მსხვილფეხა საქონელი, წიწილა, იხვი და ა.შ. რატომ არ შეგვიძლია მათი ჭამა?

M: მშობლები თავიანთ შვილებს იმისთვის ხომ არ ზრდიან, რომ ისინი შეჭამონ? ყველა ცოცხალ არსებას გააჩნია სიცოცხლის უფლება და არავინ არაა უფლებამოსილი მათ მოცემული სიცოცხლე წაართვას. თუ გადავხედავთ ჰონგ-კონგის კანონებს, თვითმკვლელობაც კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. და რაოდენ უკანონო იქნება სხვა ცოცხალი არსებების მოკვლა?

Q: ცხოველები იმისთვის იბადებიან, რომ ადამიანებმა ისინი შეჭამონ. თუ მათ ვერ შევჭამთ, ისინი გადაავსებენ მსოფლიოს. მართალია?

M: ეს აბსურდული იდეაა. სანამ ცხოველს მოკლავდეთ, კითხეთ, უნდა რომ მოკლათ და შეჭამოთ? ყველა ცოცხალ არსებას უნდა სიცოცხლე და ემინია სიკვდილის. ჩვენ არ

გვსურს, რომ შეგვეჭამოს ვეფხვმა, შესაბამისად, რატომ უნდა ჭამდნენ ადამიანები ცხოველებს? ადამიანები სამყაროში მხოლოდ ათობით ათასი წელი არსებობენ, ხოლო კაცობრიობის გაჩენამდე უკვე არსებობდა ცხოველთა მრავალი სახეობა. და მათ მიერ გადაივსო დედამიწა? ცოცხალი არსებები ეკოლოგიურ ბალანსს ინარჩუნებენ. არასკმარისი საკვები და სივრცე გამოიწვევს მოსახლეობის რიცხვის მკვეთრ დაცემას. ეს ხელს უწყობს მოსახლეობის რიცხვის საჭირო დონეზე შენარჩუნებას.

Q: რატომ უნდა ვიყო ვეგეტარიანელი?

M: მე ვეგეტარიანელი ვარ, ვინაიდან ეს სურს ჩემში არსებულ ღმერთს. გასაგებია? ხორცის ჭამა ეწინააღმდეგება სამყაროს კანონს იმის შესახებ, რომ არავის სურს იქნას მოკლული. ჩვენ თვითონაც არ გვსურს, რომ მოგვკლან ან გაგვქურდონ. თუ ამას ჩავიდენტ სხვა ადამიანების მიმართ, ჩვენ ყოველივე ამას საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩავიდენტ და საკუთარ თავს ტანჯვას მივაყენებთ. ყველაფერი, რასაც სხვების წინააღმდეგ იდენტ, ტანჯვას მოგიტანთ. დაუშვებელია საკუთარი თავის კბენა ან დანით მოკვლა. მსგავსად ამისა, არ უნდა მოკლათ სხვა, რადგან ეს ეწინააღმდეგება სიცოცხლის პრინციპს. ეს დაგვტანჯავს, ამიტომ ჩვენ ამას არ ჩავდივართ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარ თავს რაიმე ფორმით ვზღუდავდეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ ცხოვრებას ვაფართოვებთ. ჩვენი სიცოცხლე არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩვენი სხეულით, არამედ ის ასევე გავრცელდება ცხოველებისა და ნებისმიერი ცოცხალი არსებების სიცოცხლეზეც. ამის გამო ჩვენ ვმალდებით,

უფრო ბედნიერი და უსასრულონი ვხდებით.

Q: რას გვეტყვით ვეგეტარიანული კვების შესახებ და რა წვლილი შეაქვს მას მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაში?

M: დიახ, ომების უმეტესობა, რომლებიც მსოფლიოში ხდება, გამოწვეულია ეკონომიკური მიზეზებით. მოდით განვიხილოთ. ქვეყნის ეკონომიკური სირთულეები უფრო აქტუალური ხდება, ვიდრე მასში არსებული შიშშილი, სურსათის ნაკლებობა ან სხვადასხვა ქვეყნებს შორის სურსათის თანაბარი განაწილება. თუ მოიცლით, ჟურნალებს წაიკითხავთ და გაიგებთ ფაქტებს ვეგეტარიანული დიეტის შესახებ, ამას კარგად მიხვდებით. ხორცის მისაღებად საქონლის და ცხოველების მოშენებამ ეკონომიკა ყველა ასპექტში გაანადგურა. ის გახდა მსოფლიოში, მინიმუმ მესამე სამყაროს ქვეყნებში შიშშილის გაჩენის მიზეზი.

ეს ვთქვი არა მე, არამედ ამერიკის მოქალაქემ, რომელმაც ჩაატარა მოცემული ტიპის კვლევა და ამის შესახებ დაწერა წიგნი. შეგიძლიათ მიხვიდეთ წიგნების ნებისმიერ მაღაზიაში და წაიკითხოთ ვეგეტარიანული კვებისა და საკვების გადამუშავების კვლევის შესახებ. შეგიძლიათ წაიკითხოთ ჯონ რობინსის „დიეტა ახალი ამერიკისთვის.“ ის ძალზე ცნობილი მილიონერია, რომელიც ნაყინს აწარმოებდა. მან ყოველივე ამაზე უარი თქვა, რათა გამხდარიყო ვეგეტარიანელი და დაწერა ვეგეტარიანული წიგნი, რომელშიც აკრიტიკებს თავისი ოჯახის ტრადიციებსა და ბიზნესს. მან დაკარგა ბევრი ფული, პრესტიჟი და ბიზნესი, მაგრამ მან ეს ჭეშმარიტებისათვის გააკეთა. ეს

წიგნი ძალიან კარგია. ასევე არსებობს მრავალი წიგნი და ჟურნალი, რომლებშიც მოყვანილია დიდი რაოდენობით ინფორმაცია და ფაქტები ვეგეტარიანული დიეტის და იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვს მას მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საქმეში.

თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი სასურსათო მარაგი გავანადგურეთ საქონლის კვების გამო. თქვენთვის ცნობილია, რამდენი პროტეინი, სამედიცინო საგანი, სამუშაო ძალა, ავტომობილი, სატვირთო მანქანა, საგზაო მშენებლობა და რამდენი ათასობით აკრი მიწა იხარჯება სანამ მროხა ჩვენთვის საკვებად გადაიქცევა? ყოველივე ეს შეგვეძლო თანაბრად გაგვენაწილებინა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რაც აღმოფხვრიდა შიმშილის პრობლემას. ასე რომ, ახლა, თუ ქვეყანას სჭირდება საკვები, ის ალბათ იპყრობს მეორე ქვეყანას საკუთარი ხალხის გადასარჩენად. ამან საბოლოო ჯამში საფუძველი ჩაუყარა არასწორ მიზანს და მიზღვას. იმედია, თქვენთვის ეს გასაგებია?

რასაც დასთეს, იმას მოიმკი. თუ ადამიანს მოგვლავთ საჭმლისთვის, ჩვენც ამისთვის მოგვკლავენ შემდეგ, სხვა ფორმაში, სხვა თაობაში. ეს სამწუხაროა. ჩვენ ესოდან ჭკვიანები, ცივილიზებულნი ვართ და მაინც უმეტესობამ ჩვენთაგანმა არ იცის მეზობელი ქვეყნების ტანჯვის მიზეზი. ეს ხდება ჩვენი პირის, გემოს და კუჭის გამო.

იმისათვის, რომ გამოიკვებოს, ერთი სულიერი არსება კლავს სხვა არსებებს და აშიმშილებს სხვა დანარჩენ მრავალ არსებას. ჩვენ ჯერ ცხოველებზე არც კი ვსაუბრობთ. ამ შემთხვევაში ეს არის დანაშაული, ცნობიერი თუ არაცნობიერი, რომელიც ტვირთად ადევს ჩვენს სინდისს.

ამის გამო ვიტანჯებით სიმსივნით, ტუბერკულოზით და სხვა სახის განუკურნებელი სენებით, მათ შორის შიდსით. კითხეთ საკუთარ თავს, რა დაავადებით იტანჯება ამერიკა ყველაზე მეტად? მასში მსოფლიოს სიმსივნის ყველაზე დიდი პროცენტია, რადგანაც ამერიკელები ჭამენ დიდი რაოდენობით ძროხის ხორცს. ისინი უფრო მეტი ხორცით იკვებებიან, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა. კითხეთ საკუთარ თავს, რატომ არის ჩინეთსა თუ კომუნისტურ ქვეყნებში სიმსივნის უფრო დაბალი პროცენტი? მათ ამდენი ხორცი არა აქვთ. ეს გასაგებია? ამაზე მეტყველებს კვლევა და არა მე. მე ნუ დამაბრალებთ. მოვილაპარაკეთ?

Q: რა სულიერ სარგებელს ვიღებთ ვეგეტარიანელობის შედეგად?

M: მიხარია, რომ ეს შეკითხვა დამისვით, რადგანაც ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი ყურადღება გამახვილებულია სულიერ სარგებელზე და თქვენ ის გადარდებთ. ადამიანთა უმეტესობა ღელავს ჯანმრთელობაზე, დიეტასა და სხეულის აღნაგობაზე. ამიტომ ისინი მეკითხებიან ვეგეტარიანული დიეტის შესახებ. ვეგეტარიანული დიეტის სულიერი ასპექტები იმაშია, რომ ის არის ძალზე სუფთა და უვნებელი.

„არა კაც კალ.“ როდესაც ღმერთმა ეს სთქვა, ის არ გულისხმობდა „ადამიანების მოკვლას“ ის გულისხმობდა „ცოცხალი არსებების მოკვლას.“ მან თქვა, რომ ყველა ცხოველი გააჩინა, რათა ისინი ჩვენი მეგობრები იყვნენ და დაგვეხმარონ. განა მან არ მოგვაბარა ცხოველები მზრუნველობაში? მან გვითხრა: მოუარე მათ, იყავი მათი პატრონი. როდესაც ვინმეს პატრონი ხარ, მათ კლავ და ჭამ?

მაშინ ვისი მეფე იქნებით, თუკი თქვენს გარშემო არავინ დარჩება? ამიტომ უნდა გესმოდეთ, რაც გვითხრა ღმერთმა. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ. არაა საჭირო მისთვის შეკითხვების დასმა. მან ძალზე გარკვევით თქვა, მაგრამ ვის ესმის ღმერთის გარდა თავად ღმერთისა?

ამიტომ იმისათვის, რომ გესმოდეთ ღმერთის, უნდა გახდეთ ღმერთი. გათავაზობთ ისევ გახდეთ ღმერთის მსგავსი არსება, გახდეთ ის ვინც თქვენ ხართ და არა ვინმე სხვა. ღმერთთან მედიტაცია არ ნიშნავს იმას, რომ თავყვანს სცემთ ღმერთს. ეს გულისხმობს იმას, რომ თქვენ ხდებით ღმერთი. თქვენთვის ნათელია რომ თქვენ და ღმერთი ერთი ხართ. იესომ ხომ ბრძანა: მე და მამა ერთი ვართ. თუ მან სთქვა, რომ ის და მამა ღმერთი ერთია, ჩვენ და მისი მამა ღმერთიც ასევე შეიძლება ვიყოთ ერთი, რადგანაც ჩვენც ღვთის შვილები ვართ. და ასევე იესოს ნათქვამი აქვს, რომ ჩვენ შეიძლება უკეთესადაც კი გავაკეთოთ ის, რასაც ის აკეთებს. ამიტომ ვინ იცის, შეიძლება ღმერთზე უკეთესებიც გავხდეთ!

რატომ უნდა ვეთაყვანოთ ღმერთს, თუკი არაფერი ვიცით ღმერთის შესახებ? რისთვის უნდა გვქონდეს ბრმა სიყვარული? ჯერ უნდა ვიცოდეთ, თუ რას ვცემთ თავყვანს, ისევე, მაგალითად, როგორც უნდა ვიცნობდეთ იმ გოგონას, რომელზედაც დაქორწინებას ვაპირებთ. ამჟამად ტრადიციად იქცა ქორწინება შეხვედრების შემდეგ. ამიტომ რატომ უნდა ვეთაყვანოთ ღმერთს ბრმა სიყვარულის გამო? ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ჩვენს წინაშე ღმერთის გამოცხადება, რათა მან საკუთარი თავი გავაცნოს. უფლება გვაქვს ავირჩიოთ, თუ რომელ ღმერთს უნდა გავყვეთ.

შესაბამისად, ახლა თქვენთვის გასაგებია, რომ ბიბლიაში გარკვევით წერია: უნდა გავხდეთ ვეგეტარიანელები. იმისათვის, რომ ვიყოთ ჯანმრთელები, უნდა გავხდეთ ვეგეტარიანელები. ყველა სამეცნიერო არგუმენტი მიგვითითებს იმაზე, რომ უნდა ვიყოთ ვეგეტარიანელები. ყველა ეკონომიკური არგუმენტი მიგვითითებს იმაზე, რომ უნდა ვიყოთ ვეგეტარიანელები. ყველა თანაგრძნობის არგუმენტი მიგვითითებს იმაზე, რომ უნდა ვიყოთ ვეგეტარიანელები. ასევე სამყაროს გადასარჩენად უნდა ვიყოთ ვეგეტარიანელები.

ზოგიერთ კვლევაში აღნიშნულია, რომ თუ ადამიანები დასავლეთში, ამერიკაში კვირაში ერთხელ ვეგეტარიანულ საჭმელს შეჭამენ, ყოველ წელს შევძლებთ ექვსასი მილიონი ადამიანი გადავარჩინოთ შიმშილს. ასე რომ, გახდით გმირები, გახდით ვეგეტარიანელები. იმ შემთხვევაში, თუ მე არ მომყვებით, ან თუ ამ მეთოდს არ აღიარებთ, და ზემოაღნიშნული არგუმენტების მიუხედავად არ გასურთ გახდეთ ვეგეტარიანელები, გთხოვთ ეს გააკეთოთ საკუთარი თავის გამო, სამყაროს გამო.

Q: თუ ყველა მცენარეებით კვებას დაიწყებს, ეს არ შექმნის საკვების დეფიციტს?

M: არა. მიწის განსაზღვრული ნაკვეთის გამოყენება მარცვლეულის მოსაყვანად შედეგად ოთხჯერ მეტ საკვებს გამოიღებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ მიწის მოცემული ნაკვეთი გამოყენებული იქნება ცხოველთა საკვების მოსაყვანად. მიწის თითო აკრზე მოყვანილ მცენარეებს გააჩნია 80,000 კალორია ენერჯია. მიუხედავად ამისა, იმ

შემთხვევაში, თუ მოცემული მცენარეები გამოიყენება ცხოველთა საკვებად, ხორცი გამოიღებს მხოლოდ 200,00 კალორია ენერგიას. ეს იმას ნიშნავს, რომ პროცესის განმავლობაში ენერგიის 600,000 კალორია იკარგება. ამიტომ ცხადია, რომ ვეგეტარიანული დიეტა ხორცის დიეტასთან შედარებით გაცილებით უფრო ეფექტურია და ეკონომიური.

Q: შეუძლია თუ არა ვეგეტარიანელს თევზის ჭამა?

M: თუ გსურთ თევზის ჭამა, მიირთვით. მაგრამ თუ ვეგეტარიანული საკვების მიღება გსურთ, თევზი ბოსტნეული არაა

Q: ზოგიერთი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია იყო კეთილი ადამიანი, მაგრამ არაა აუცილებელი იყო ვეგეტარიანელი.

M: თუ ადამიანი ჭეშმარიტად კეთილია, მაშინ რატომ იკვებება ის მეორე ცოცხალი არსების ხორცით? თუ ის ხედავს, თუ როგორ იტანჯებიან ეს არსებები, მან ისინი ვეღარ უნდა შეჭამოს! ხორცის ჭამა სისასტიკეა და როგორ ჩაიდენს ამას კეთილი ადამიანი?

ერთხელ მეუფე ლიენ ჩიჰმა თქვა: „მოკალით მისი სხეული და მიირთვით მისი ხორცი. არაფერია მსოფლიოში უფრო სასტიკი, ბოროტი, გულცივი და ამრეზი, ვიდრე ასეთი კაცი.“

მენციუსსაც ნათქვამი აქვს: „თუ მას ცოცხალს ხედავთ, ვერ უნდა აიტანოთ მისი სიკვდილი, და თუ მის ღმუილს გაიგონებთ, მისი ხორცი ვეღარ უნდა შეჭამოთ; ამიტომ ნამდვილი ვაჟკაცები სამზარეულოს ერიდებიან.“

ადამიანებს უფრო განვითარებული ტვინი გაგვაჩნია, ვიდრე ცხოველებს. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ იარაღი, რის გამოც ისინი წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევენ, ამიტომ ისინი სიძულვილით აღსავსენი კვდებიან. მას, ვინც ამას ჩადის, მცირე და სუსტ არსებებს ჩაგრავს, უფლება არა აქვს ეწოდოს წესიერი ადამიანი. როდესაც ცხოველებს კლავენ, ისინი აგონიაში არიან, მათ შიში და აღშფოთება იპყრობთ. ეს იწვევს იმ ტოქსინების წარმოშობას, რომლებიც რჩებიან მათ ხორცში და ზიანს აყენებენ იმათ, ვინც ამ ხორცით იკვებება. იმის გამო, რომ ცხოველთა ვიბრაციის სიხშირე ნაკლებია ადამიანთა ვიბრაციის სიხშირესთან შედერაბით, ისინი ზეგავლენას ახდენენ ჩვენს ვიბრაციაზე და ჩვენი სიბრძნის განვითარებაზე.

Q: შეიძლება ადამიანი იყოს „კონვენციური ვეგეტარიანელი“ (კონვენციური ვეგეტარიანელები არ ამბობენ მკაცრ უარს ხორცით კვებაზე. ისინი მიირთმევენ ბოსტნეულს ხორცისა და ბოსტნეულის შერეული საკვებიდან).

M: არა. მაგალითად, თუ საჭმელს მოვათავსებთ შხამიან სითხეში და ამოვიღებთ, როგორ ფიქრობთ, მოიწამლება თუ არა ის? მაჰაპარინირვანა სუტრაში მაჰაკსიაკამ კითხა ბუდას: „როდესაც ვითხოვთ და გვადლებენ ხორცთან შერეულ ბოსტნეულს, დასაშვებია მისი ჭამა? როგორ უნდა გავწმინდოთ საჭმელი?“ ბუდამ უპასუხა: „უნდა გამოირეცხოს წყლით, ხორცისგან უნდა გამოყოთ ბოსტნეული და შემდეგ შეგიძლიათ შეჭამოთ.“ მოცემული დიალოგიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაუშვებელია

ბოსტნეულის ჭამა, თუ ის შერეულია ხორცთან გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ წყლით გამორეცხავთ, არაფერს ვიტყვით მხოლოდ ხორცის ჭამაზე! შესაბამისად, იოლად დავინახავთ, რომ ბუდა და მისი მოწაფეები იცავდნენ ვეგეტარიანულ დიეტას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ადამიანი ცილს სწამებდა ბუდას და მას უწოდებდა „კონვენციურ ვეგეტარიანელს.“ ისინი ამბობდნენ, რომ თუ მას მოწყალებას ხორცის სახით აწვდიდნენ, ის ხორცი იკვებებოდა. ეს ნამდვილი აბსურდულობაა. მას, ვინც ამას ამბობს, ძალზე ცუდად აქვს წაკითხული „წერილები“ და არ ესმის მათი შინაარსი.

ინდოეთში ადამიანთა ოთხმოცდაათი პროცენტი ვეგეტარიანელია. როდესაც ადამიანები ხედავენ ყვითელ სამოსში გამოწყობილ მათხოვრებს, მათ იციან, რომ უნდა მისცენ ვეგეტარიანული საჭმელი, თუმცა ბევრ ადამიანს გასაცემი ხორცი მაინც არა აქვს!

Q: დიდი ხნის წინ სხმა მეუფემ თქვა: „ბუდამ ჭამა ღორის ფეხი და შემდეგ კუჭი აეშალა და მოკვდა.“

M: ეს აბსოლუტური სიცრუეა. ბუდა მოკვდა იმის გამო, რომ შეჭამა გარკვეული სახის სოკო. თუ უშუალოდ ბრაჰმანების ენიდან ვთარგმნით, მოცემულ სოკოს ეწოდება „ღორის ფეხი“, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი ღორის ფეხი. ის გავს ხილს, რომელსაც ვუწოდებთ „ლონგანს“ (ჩინურად ის სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „გველეშაპის თვალს“). არსებობს ბევრი რამ, რისი სახელიც ვეგეტარიანული არაა, მაგრამ თავისი არსით ვეგეტარიანული საკვებია, როგორცაა „გველეშაპის თვალი.“ ამ სოკოს ბრაჰმანურ

ენაზე ეწოდება „ღორის ფეხი“ ან „ღორის სიხარული.“ ორივე დაკავშირებულია ღორთან. ასეთი სოკო იშვიათი იყო ძველ ინდოეთში და დელიკატესად ითვლებოდა, ამიტომ ის ბუდას შესთავაზეს თაყვანისცემის ნიშნად. მოცემული სოკო მიწაშია. ის მიწაში იზრდება. ადამიანები მის საპოვნელად იყენებდნენ მოხუც ღორს, რომელსაც ძალიან უყვარს ეს სოკო. ღორი მას სუნით პოულობდა და შემდეგ ფეხით თხრიდა ტალახს მის ამოსაღებად. ამიტომაც ამ ტიპის სოკოს უწოდებენ „ღორის სიხარულს“ ან „ღორის ფეხს.“ ფაქტობრივად ეს ორი სახელი ერთ სოკოს აღნიშნავს. იმის გამო, რომ ეს არასწორედ ითარგმნა, ადამიანებს, შემდგომ თაობებს მცდარი აზრი ქონდათ ამ სიტყვის წარმოშობის შესახებ და მათ ბუდა ხორცისმჭამელი ადამიანი ეგონათ. ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია.

Q: ხორცის ზოგიერთი მოყვარული ამბობს, რომ ხორცს ყასბისგან ყიდულობს და ცხოველებს თვითონ არ კლავს, ამიტომ ხორცის ჭამა შეუძლია.

M: ეს კატასტროფული შეცდომაა. უნდა იცოდეთ, რომ ყასბები კლავენ ცოცხალ არსებებს, რადგან ადამიანებს ჭამა სურთ. ლანკავატარა სუტრაში ბუდამ თქვა: „ხორცისმჭამელი ადამიანები რომ არ იყვნენ, აღარ ექნებოდა ადგილი ხოცვას. ამიტომ ხორცის ჭამა და ცოცხალი არსების მოკვლა ერთი და იგივე ცოდვაა. მრავალი ცოცხალი არსების მოკვლის გამო გაგვაჩნია ბუნებრივი და ადამიანის ხელით შექმნილი უბედურებები. ასევე ჭარბი ხოცვა იწვევს ომებს.“

Q: ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ მცენარეები ვერ წარმოშობს შხამიან ნივთიერებებს, როგორცაა შარდმქაჯა

და უროკინაზა. მათ, ვისაც ხილი და ბოსტნეული მოყავს, იყენებენ პესტიციდების დიდ რაოდენობას, რაც საზიანოა ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ასე არ არის?

M: თუ ფერმერები მარცვლეულისთვის იყენებენ პესტიციდებს და სხვა მაღალტოქსიკურ ნივთიერებებს, როგორცაა ნეოციდი, ამან შეიძლება გამოიწვიოს სიმსივნე, უნაყოფობა და ღვიძლის დაავადებები. ისეთ ტოქსინებს, როგორცაა ნეოციდი, შეუძლიათ ცხოველების ცხიმში შეწოვა. როდესაც ხორცი იკვებებით, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს ორგანიზმში ხვდება მოცემული მაღალი კონცენტრაციის პერსტიციდები და ცხოველთა ცხიმში მათი ზრდის მანძილზე დაგროვებული სხვა შხამები. მოცემული დაგროვება შეიძლება ცამეტჯერ აღემატებოდეს ტოქსინების დაგროვებას ხილში, ბოსტნეულსა და მარცვლეულ კულტურაში. შეგვიძლია ხილის ზედაპირზე გავრცელებული პესტიციდების გაწმენდა, მაგრამ ჩვენ ვერ ამოვიღებთ პესტიციდებს ცხოველთა ცხიმიდან. ადგილი აქვს დაგროვების პროცესს, რადგან პესტიციდებს გააჩნიათ დაგროვებისაკენ მიდრეკილება. ამიტომ ეს ავნებს სურსათის მომხმარებელს.

